ლიტერატურული გაზეთი

№4 (260) 28 თებერვალი - 12 მარტი 2020 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი



სოსო მეშველიანი

შაშვი ანუ დაგვიანების მიზეზი

სულ ნახევარი წუთით შევყოვნდი,
შაშვისთვის რომ დამეგდო ყური,
რომელიც თუთის ხეზე გალობდა
გადასასვლელთან, პატარა სკვერში.
უცებ წითელი აინთო და
კიდევ ერთი წუთით მომიწია დგომა,
ეს დრო კი საკმარისი აღმოჩნდა —
ტრამვაის რომ გაესწრო,
რომელიც ყოველ ათ წუთში გადის
და ავტოსადგურამდე მივყავარ.
ამასობაში ავტობუსმაც გამასწრო,
რომელიც ორმოცი წუთის ინტერვალით გადის
ზღვისპირა ქალაქიდან
მთებს შორის მოქცეულ პატარა სოფლამდე,
სადაც სამუშაოდ დავდივარ.
შემდეგ პიკის საათმაც მომისწრო,
ახლა კი საცობში გაჭედილი იმაზე ვფიქრობ,
როგორ ავუხსნი ჩემი დაგვიანების მიზეზს
პაკოს და სალვადორს.
შაშვი კი აგრძელებს გალობას
უკვე ახმაურებულ ქალაქში,
ერთადერთი მსმენელის გარეშე დარჩენილიც.

დასასრული
დასაწყისი N 259

3

— ხამონის ღორი არ მოსულა? — იკითხა ერთხელ მამაჩემმა. თურმე ბიძაჩემს გულისხმობდა, ბაზარში დაენახა, ხურმას რომ ყიდულობდა. რაც იმ ქალს გადაეყარა, მართლაც ასე გამოიყურებოდა.

თავის კნეინას წაუღებდა, ჩვენთან რატომ მოიტანდაო, დამარცვლით აღმოთქვა მამაჩემმა, კარზე კაკუნის ხმა რომ გაისმა. ზღურბლთან ბიძაჩემი იდგა სუსხიანი ამინდის ფონზე, თითქოს საავდრო ღრუბლები მოეყოლოს. მზერაშიც შეატყობდი, სიძე-ცოლისძმა ერთად რომ ვერ ძოვდნენ.

— აგერ, ხურმა მოვიტანე! — თქვა ბიძაჩემმა, მაგრამ შინ არ შემოსულა.

ცელოფანი სახელურზე ჩამოკიდა, თავის დას მგრძნობიარე თვალებით გახედა და მას შემდეგ ჩვენ სახლში აღარც მინახავს. დედაჩემს ძმაზე აუგს ვერ დააცდენინებდი. შენ რომ გული გეჩვენებინა, იმ ოხერ ქალს არ გადაეკიდებოდაო, საყვედურობდა მამაჩემს, მაგრამ ბოლოს მანაც ხელი ჩაიქნია და მხოლოდ შვილზე დარდობდა.

— იოსების ამბებზე დიდად მეფიქრება! — დამიმარტოვა ერთხელ ეზოში, როცა ჩამქრალი ცეცხლის გაღვივებას ვცდილობდი და იმაზე ვფიქრობდი, ცეცხლს ნაკოცონარზე ალბათ იმიტომ ანთებენ-მეთქი, მიდამოს ნაკლები გადატრუსული ადგილი რომ დამჩნეოდა. დედაჩემი კი თავისას განაგრძობდა, დიდი ხანია, არაფერი მოუწერიაო. დადიოდა ალბათ დედაქალაქში გაჯგიმული, თითქოს ჩვენ არაფერზე გვედარდოს, — იქნებ გენახა, ჩვენ ერთმანეთი გვყავს, ის კი სრულიად მარტოა!

ახალწლებზე მართლაც წავედი. დედაჩემმა ფქვილის ტომარა გამოფერთხა და შიგნით ქილები ჩააწყო. ცოტაოდენი ფულიც გადმომცა, გამოზოგე, რომ გეყოსო. დედაქალაქში უთენია ჩავაღწიე, ასე მერჩია, დრო რომ მეტი მქონოდა. სისხლის და ხორცის მოძებნა ადვილი საქმე არ იქნებოდა ცივ და უცხო ქალაქში, სადაც ლამპიონები ციმციმის ნაცვლად შემცივნულებივით ცახცახებდნენ, ხოლო დეკემბრის ცაზე მზე თოვლში ჩავარდნილ ნათურასავით ბზინავდა. ჯერ სამხატვრო კოლეჯს მივადექი, ფუნჯით დახატულს რომ ჰგავდა და მტრედების გუნდიც სახურავის შემადგენელ ნაწილად აღიქმებოდა. კარიბჭის ზანზალაკები ისე ჟღარუნობდა, თითქოს ზღაპარში გპატიჟებსო და ბაღჩაც ისეთი მოვლილი იყო, ცივილურობის მთავარი საიდუმლო გაკრეჭილ ბუჩქებში მდგომარეობსო. დარწმუნებული ვარ, პერსონალმა მათხოვრად ჩამთვალა. ასეთ და ასეთ ვინმეს ვეძებ, იოსები ჰქვია, ბევრჯერ გაუღია ჩემთვის მოწყალება და მოკითხვა მინდა-მეთქი. მაგ ქუჩის ბიჭმა მოწყალება როგორ გაიღოო, გაიკვირვეს და ამრეზით მაქციეს ზურგი. კოლეჯიდან პირველივე სემესტრში გაერიცხათ. მხოლოდ კარისკაცმა მიმასწავლა გზა. ასე მახსოვს, საბავშვო ბაღს რომ ანგრევენ, სადღაც იქ ცხოვრობსო. ერთ ბარზეც თქვა, შორიახლო რომ მდებარეობდა, ეგეთი თავზეხელაღებულები იქ იკრიბებიანო.

ქუჩაში ბლომად ხალხი ირეოდა. მოსახლეობაზე მზრუნველი სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდა, მოქალაქეებს გაოგნებული სახეებით რომ ეარათ. მალე იმ ბარს მივადექი. დახლთან კონიაკს აგემოვნებდნენ. ცხელი ყავა არ მაწყენდამეთქი, გავიფიქრე. ფინჯანი ზიზღით შემივსეს. მათი ნება რომ ყოფილიყო, ახლოსაც არ გამაკარებდნენ, მაგრამ კომერცია უარს არ ცნობდა. გვერდით მაგიდას ორნი უსხდნენ — ერთს ბერეტი ეხურა, მეორე უქუდოდ იჯდა. ნახატები დროულად მოგვაწოდეს, ოფისს რომ დაამშვენებს, ისეთია, მაგრამ ჩარჩოები ჩამორჩა და იმასაც მალე დაგვაწევენო, აღფრთოვანებით ყვებოდა უქუდო. ბოლომდე მაინც ვერავის დაეყრდნობიო, მის ენთუზიაზმს არ იზიარებდა ბერეტიანი, არგუმენტად კი ეს მოჰყავდა — გაორებული საზოგადოება მუდამ ისეთ სისტემას შექმნის, რომელსაც ეყოლება მომხრეები და მოწინააღმდეგები. ფილოსოფიის კათედრის გამგესავით მსჯელობდა, წინ კი ვარდისფერი შენობა აღმართულიყო, ფართო აივნებით და შუშაბანდებით. სარკმლებიც მშვენიერი ჰქონდა. აბა, ის ღარიბული რაფები ჯობდა, აგრიჩში რომ გადააწყდებოდი, მთელ ხიბლს მხოლოდ კაქტუსის ქოთნები რომ ანიჭებდათ?! აქედან ნამდვილი ქალაქური ხედი გადაიშლებოდა, ფანჯრიდანაც კორპუსი გამოჩნდებოდა და აივნიდანაც, სულ დაგავიწყებდა პროვინციას. უქუდო კი ლაპარაკს განაგრძობდა, ბოლო ხანებში არ ჩანდითო, ეუბნებოდა ბერეტიანს, რომელსაც ეტყობა მოსწონდა, თქვენობით რომ მიმართავდნენ. ციხეში ვიჯექი და იმიტომაცო, პასუხობდა მრავალმნიშვნელოვნად. მერე კი ხმადაბლა და დიდხანს თათბირობდნენ, თითქოს საქველმოქმედო პროექტს ახორციელებენო. ისეთები ჩანდნენ, ტყავიდან ამოძვრებოდნენ მიზნის მისაღწევად.

— ცხოვრება ყველას სისტემაში იქცევს, ადამიანებს კი ურჩევნიათ, ცხრილის რომელიღაც ნიშში განთავსდნენ! — ამტკიცებდა უქუდო, — ხომ გსმენიათ, ცხოვრება კიბეა, რომელზეც ზოგი ადის და ზოგი ჩადისო.

— ცხოვრება კიბე ადრე იყო, — თქვა ბერეტიანმა, — ახლა ლიფტია, რომელიც იჭედება!

— შესაძლოა ასეც იყოს! — უცებ დაეთანხმა უქუდო.

— შენ რა, წვერს უშვებ? — თემა გადაიტანა ბერეტიანმა.

— ჰო, მოყვასი გარდამეცვალა!

— ვიცნობდი?

— არა მგონია! — თავი გადაიქნია უქუდომ, — თქვენ? თქვენ რატომღა უშვებთ წვერს?

— მტერი მყავს ცოცხალი! ცხონებულ მამაჩემს არ უნდოდა, ამ გზას დავდგომოდი!

უცებ ჰოლში მჭახე ხმა გაისმა, თითქოს შუშა გაიბზარაო. ბერეტიანმა მექანიკურად ჯიბისკენ წაიღო ხელი, ქურთუკში პისტოლეტი ედებოდა, მაგრამ დერეფანში აყირავებული სკამი შენიშნა და დამშვიდდა. მიმტანს ლანგრით ჭიქები მოჰქონდა, ფეხი რომ წამოეკრა. მერე ცოცხი და აქანდაზი მოარბენინა და ნამსხვრევების აკრეფას შეუდგა, მაგრამ როგორი გულითადობითაც არ უნდა გამოედო თავი, ხელფასიდან მაინც დაუქვითავდნენ.

— ამ ქალაქში ვინც მოეხეტა, ყველანი ციებ-ცხელებამ მორეკა! — თქვა ბერეტიანმა, იქნებ მეც მგულისხმობდა.

— ვინც კანონებს წერს, ფულიც იმას აქვს და საზოგადოების ბედსაც ის განაგებს! — თქვა უქუდომ, რომელიც ორ წუთში ერთხელ მაინც ოხრავდა, თითქოს რიტუალს ასრულებსო. დროს არაფრით გადააცილებდა, — სისტემის შენარჩუნებაზე ზრუნავენ და წესდებებსაც იმიტომ წერენ, მაგრამ თვითონ პირველნი დაარღვევენ იმ კანონებს, რომლის დაცვასაც სხვებს აიძულებენ.

ბერეტიანმა სიგარეტს მოუკიდა. საფერფლეს მოვატანინებო, წამოხტა უქუდო, მაგრამ ბერეტიანმა ანიშნა, საჭირო არ არისო და ფერფლის დასაფერთხად ურნისკენ ისე გაემართა, თითქოს მოქალაქეობრივ გმირობას ჩადისო.

— აგერ, იო მოდის! — წამოიძახა უქუდომ.

ჩემი ძმა შორიდანვე ვიცანი, თურმე მას ელოდნენ.

— იზაბელაზე ხმა არ გაიღო! ხომ იცი, ყველა ცნობილ ყაჩაღთან იწვა! — გააფრთხილა ბერეტიანმა.

— ვითომ იომ არ იცის? — მხრები აიჩეჩა უქუდომ.

— საიდან უნდა იცოდეს?

— მაგისთანა ლამაზ გოგონას ჩვენები ისე გააჩერებდნენ?

— არა მგონია, იცოდეს და არც უნდა გაიგოს; ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან! იზაბელა ნარსულში იყო ხელიდან წასული, თორემ მომავალს უმწიკვლოებას დაუკავშირებს! — სახეზე ღიმილმა გადაურბინა ბერეტიანს.

გული დამწყდა, ნუთუ ჩვენი მოდგმიდან ყველას მიწაზე უნდა ეხოხა, ნუთუ ვერავინ ვერ უნდა წამომდგარიყო ფეხზე ხინჯის გარეშე. იოსები მათ მიუახლოვდა და მერე დიდხანს ისაუბრეს. ზურგით ვიჯექი და რომ არ შევენიშნე, გახედვა არც მიცდია. რაღაც სიტყვები კი გავიგონე, ბერეტიანი ჩემ ძმას ფურგონზე უთითებდა, მთელ შეფუთვას შიგნით რომ ჩადებ, ბარში მომაკითხავო, შეიძლება მოსულიც დაგხვდეო. მერე ჩემი ძმა ბარიდან გავიდა და ხალხის სიმრავლეს შეერია. მეც წამოვდექი და ერთიხანობა ფუჭად ვიყიალე, მაგრამ თვალი ვერსად მოვკარი. გაჩერებასთან ტრამვაი იდგა.

— იმ ქუჩაზე გაივლის, საბავშვო ბაღს სადაც ანგრევენ? — ვკითხე მგზავრებს.

— ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, დაანგრევენ თუ არა! — ანჩხლად გამეპასუხა ფაშფაშა ქალბატონი.

— ოჯახში მივდივარ, იქ ცხოვრობს! — ახსნას შევეცადე, მაგრამ ქალბატონს, ფუტკრის ნეტარი მზერით ტკბილ მოგონებათა თაფლში ჩაძირულს, არაფრის გაგონება სურდა, მხოლოდ თავისას მიერეკებოდა, — იმ ბაღში დავდიოდი ბავშვობაში, ეზოში დიდი ვერხვები იდგა, ის ვერხვებიც მოჭრეს, მერე ალბათ შენობასაც მისდგებიან!

— მერე?

— რა მერე? — გამომაჯავრა ნიშნისმოგებით.

— ეს ტრამვაი იქ ჩაივლის?

— ჩავლით კი ჩაივლის, მაგრამ რაღა აზრი ექნება ჩავლას შეცვლილ გარემოში?

ტრამვაი მძიმედ დაიძრა, თითქოს ეპოქალური მნიშვნელობის პასუხისმგებლობა დაეკისრაო. როცა ჩამოვედი, ჩემი ძმის შესახებ გავიკითხე. მალე მივადექი. ჩემი დანახვა აშკარად გაუხარდა, მაგრამ აღტაცება დიდად არ გამოუხატავს. აქეთ სიძუნწის გამო იქირავებდი-მეთქი ბინას, გავეხუმრე. რის სიძუნწე, როგორც წესი კვირაში ერთხელ გაძარცული მხვდებაო. მერედა გიღირს? ვკითხე. ამაზე არ ვდარდობ, ქირას სხვა იხდის, ხოლო წასაღები მაინც არაფერი გამაჩნიაო. შინ რომ შემიძღვა, ჩემების ამბავი გამომკითხა. ტომრიდან მურაბის ქილები ამოვაწყე და მადიანად შეექეცით. მერე ჭურჭელი გავრეცხეთ, გამშრალებისას თეფშიც გამიტყდა, მაგრამ იოსებს არაფერი უთქვამს. წვრილმანი ბუნება არ ჰქონდა.

— შეიძლება აქ დავრჩე? — მივმართე მას.

— რამდენ ხანსაც გენებოს!

ტახტზე წამოვწექი და ძილი მომერია. მესიზმრა, თითქოს მე და ჩემი ძმა ცხენებზე გადამჯდარნი მინდვრებს მივთეღავდით. უცებ იოსებმა სხვა მხარეს გააჭენა, ხმას ვეღარც ვაწვდენდი. როცა გამეღვიძა, ქუჩას გავხედე. ლამპიონები უკვე ენთო, ბუზღუნა ბავშვებივით თავჩაქინდრული იდგნენ.

— წასასვლელი ვარ! — წამოდგა იოსები, — საჭმელი კარადაში აწყვია. დილით გასვლას თუ დააპირებ, გასაღები ჭილოფის ქვეშ დადე!

— მე არ გამიყოლებ?

— არ მინდა, ჩემთან ერთად დაგინახონ, შენი გამოჩენა საქმეს გაართულებს!

— მაშ დილამდე არ მოხვალ?

— ვნახოთ! — მხრები აიჩეჩა.

კარგ ამბავზე არ მიდის-მეთქი, გავიფიქრე. მერე ჩუმად ავედევნე. ბნელში მიყოლა ბლანტ ნაზავში გაღწევას ჰგავდა. მქრქალ ანარეკლებს ატორღიალება სჩვევიათ. წამდაუწუმ აქეთ-იქით ვიყურებოდი. მალე შევნიშნე ჩემ წინ ზანტად მიმავალი, თითქოს ბორკილებს მიათრევსო. მაწყობდა ეს ოქროს სიზანტე, თვალთვალს მიადვილებდა, გაჩირაღდნებულ მოედანზე კი საგრძნობლად აჩქარდა, ვინმეს თვალში რომ არ მოხვედროდა. ჩემი კოჭლობაც მაშინ გამოვლინდა. მერე ერთ მიყრუებულ ქუჩას ისევ ნელა შეუყვა. მალე ისეთ ადგილას აღმოვჩნდით, კაცის ჭაჭანება რომ არ იყო. ირგვლივ მხოლოდ ყრუ და დაბრეცილი ქოხმახები მოჩანდა, ერთ მხარეს კი ტყე და მდინარე. ჯიხურს მოხერხებულად ამოვეფარე, თუკი დიდხანს მოგვიწევდა ყოფნა. სადღაც კარი გაჯახუნდა და ერთ-ერთი სახლიდან ვიღაც გამოვიდა. თავიდან იმ ბერეტიანს მივამსგავსე, მაგრამ სხვა აღმოჩნდა. ეტყობა, ელოდა ჩემ ძმას. სიტყვებს მკაფიოდ გამოთქვამდნენ, ერთგვარი როხროხითაც კი, თუმცა იმდენად შორს ვიყავი, კარგად ვერ ვიგებდი. ოთახიდან მკრთალი სინათლე გამოდიოდა, გაზქურა თუ ენთო. ჩემმა ძმამ მისვლის მიზეზი ამცნო, მომეჩვენა, რომ ჯაჯღანა ხმა ჰქონდა და საქმეც ჯანჯღლდებოდა. ორივეს ერთნაირი ფართხუნა შარვლები ემოსათ. მან შინ შეიპატიჟა, მაგრამ ჩემა ძმამ, აქვე მოვილაპარაკოთო, დაიჩემა. იქაურობა ისე ყარდა, თითქოს ბლომად თევზი გამოეშიგნოთ. უცებ მდინარესთან რაღაც ნივთმა გაიღო ზღართანი. ჩემი ძმა შეცბა — განა მარტონი არ ვართ? ძაღლი იქნებოდა, ან კატა — დაამშვიდა დამხვდურმა. ნუთუ მომეჩვენაო, თქვა ჩემმა ძმამ და უცებ სახეში შემართული მუშტი სთხლიშა. იმის ნაცვლად, უკან გადავარდნილიყო, წინ დავარდა, თითქოს ხელი უბიძგესო და გონება დაკარგა. იოსებმა ზედ გადაალაჯა და ზღურბლისკენ გასწია. ეტყობა საბაბს ეძებდა, თორემ არავინ გამოჩენილა. უკან რომ გამობრუნდა, შალითაში გამოხვეული გრძელი საგნები გაედო მხარზე. წაქცეულს ერთი დახედა და სიბნელეში მიიმალა. მე უკან მივყევი. ცოტა ხანში ბათქა-ბუთქი ატყდა, ის კაცი გონზე მოსულიყო და თოფი გამოეტანა, მაგრამ კარგა მანძილზე ვიყავით დაშორებულნი. მერე იოსებმა გზა გადაჭრა და შალითა ხევისკენ მოისროლა, თვითონ კი მდინარეში დურთა თავი და გაღმა ნაპირისკენ გაცურა. სიმძიმეს ამიტომაც მოიშორებდა. ის კაცი მალე გამოჩნდა, მაგრამ ჩემ ძმას ვეღარ მიასწრო. ერთი-ორჯერ კი გაისროლა და მდინარის შხეფები წამოშალა. შიშისგან ხის ვარჯს ამოვეფარე. შემთხვევით რომ გადამყროდა, ვეტყოდი, უსახლკარო ვარ და ქუჩაში დავწანწალებ-მეთქი. თუმცა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მან ერთხანს კიდევ იტრიალა, მერე კი ბილწი გინებით გაბრუნდა უკან. შუაღამეს დაველოდე, შალითა ზურგზე მოვიგდე, გვარიანად მძიმე რომ იყო და გზას ტყე-ტყე გავუყევი. სინათლეზე გამოჩენა არც მიფიქრია. ერთგან შევისვენე და შალითა გავხსენი. ძველი თოფების კოლექცია იყო. მთვარის შუ-

ქზე შვიდი ლულა თეთრად ბრწყინავდა, თითქოს ვერცხლისგან მოესირმათ. მერე ისევ განვაგრძე გზა, მხოლოდ ნაგვის ურნებთან ვჩერდებოდი დროდადრო, თვალს თუ მომკრავდნენ, ჩემს მაწანწალობაში ეჭვი რომ არ შეპარვოდათ. არადა, მთელი არსენალი მომქონდა, ერთ რაზმს ეყოფოდა. ასე წვალებით მივაღწიე მოედნამდე. ფურგონის კარი ჭრიალით გამოვაღე და შალითა შიგნით მოვათავსე. კარის გაღებისას კი ყრუ ჭახანი გაისმა. იო, შენ ხარ? — შემეხმიანა ვიღაც. არც გავპასუხებივარ, ბარისკენ უბრად გავემართე. ვიფიქრე, ჩემ ძმას გავაფრთხილებ, თუკი მოვა-მეთქი. ბერეტიანი უკვე იქ ელოდა. ჩემი ძმა მართლაც მოვიდა და პირდაპირ მისკენ გაეშურა, გზას მუჯლუგუნებით იკაფავდა. ალბათ რაღაც სათქმელი ჰქონდა მოფიქრებული. ბერეტიანი ბარონივით იყურებოდა, თითქოს მისთვის ყველაფერი მზამზარეული უნდა მიერთმიათ, ყველანი მის სამსახურში უნდა მდგარიყვნენ, ასე უფრო მართებული იქნებოდა, ეტყობა საქმეების თავკაცი იყო, მაგრამ საითაც არ უნდა გაეწია, სკანდალებში გახვეულს სტვენა-სტვენით მოუწევდა უკან დაბრუნება. ჩემი ძმის საქმე სხვაგვარად ყოფილა, ჩემსას არ ჰგავდა, მაამებლური ხმით ორიოდე კაპიკს უწყინრად რომ დავცინცლავ ხოლმე გამვლელს. ჩემმა ძმამ ლაპარაკი რომ წამოიწყო, ბერეტიანს სახე მოეღუშა. მზერა ისეთი ბოროტი გაუხდა, თითქოს ჯოჯოხეთის მაყურებლად დაენიშნათ. ჩემი ძმა კი სასტიკად გადაღლილი გამოიყურებოდა, ეტყობა უკან მიბრუნებულს შალითა ეძებნა, მაგრამ სასჯელისგან გაქცევა არც უცდია. ამასობაში ვიღაც კაცი გამოჩნდა, ეტყობა ის იყო, ფურგონში რომ გამომელაპარაკა. ყველაფერი რიგზეაო, თქვა, იოსები ჯილდოს ღირსიაო.

— შვიდივე ლულა ადგილზეა?

— შვიდივე!

— მაშ ხუმრობა გყვარებია, იო! — სახე გაებადრა ბერეტიანს, — ესეც ჰონორარი სიმამაცისთვის! სერიოზული საქმე რომ გამოჩნდება, ყოველთვის მოგაწვდენ ხმას! — თქვა მან და ფულის შეკვრა გაუწოდა ჩემ ძმას, რომლის სახეზეც გაოცება აღბეჭდილიყო. საქმის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა. თვალები ისე უბრწყინავდა, როგორც ბრეზენტის შალითაში გახვეული ლულები ლაპლაპებდნენ იქ, მთვარის შუქზე.

იქიდან რომ წამოვედი, სახლთან მისული სახელურს დავეჯაჯგურე, მაგრამ ვერაფრით გავაღე, საკეტი თუ ჩაიშალა-მეთქი, გავიფიქრე. ჭილოფის ქვეშაც არაფერი იდო, მაგრამ უცებ კარი გაიღო და ზღურბლზე ჩემი ძმა აისვეტა. შიგნიდან ჰქონოდა ჩაკეტილი. ალბათ ფულს ითვლიდა. გულჩვილობას გადაჩვეული თვალები ამოტვიფრულს უგავდა. მის მზერაში ბევრი რამ იყო ყურადსაღები, თითქოს ორჭოფობით დაღლილი წვრილმან დეტალებს მნიშვნელობას აღარ ანიჭებსო.

— ის ლულები შენ მოიტანე? — მკითხა ჯიქურ.

დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. სიმართლე რომ გავუმხილე, გული დაწყდა, ამ ამბებს კარგი არაფერი მოჰყვებაო, თქვა რიხით — მაშ უკვე გცოდნია, ცუდ წრეში რომ ვტრიალებ, მაგრამ მთლად დაღუპული არ გეგონო, საცოლე მყავს, დღეს გაგაცნობ სწორედ, თეატრში დავპატიჟებ!

მერე ერთად წავედით რომელიღაც დაფხავებული შენობის სალაროში ბილეთების შესაძენად. დარწმუნებული ვიყავი, მისი საცოლე ერთი იმათთაგანი იქნებოდა, ამოუწურავი სურვილების ჩამონათვალს დიდხანს რომ ანდომებენ, მაგრამ სინამდვილეში ბროლის იდუმალ დედოფალს ჰგვანებია. ჩემი ძმაც გამოწკეპილი ვინმე ბრძანდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება მჩებოდა, ოღონდაც მას რაიმე ეთხოვა, წამსვე მოკურცხლავდა აღსასრულებლად, გრძელ დერეფნებს მიაშურებდა. ასეთ გრძელდერეფნებიან დაწესებულებებში იშოვება ფული, ოღონდ იქ მისასვლელ გზებს უფსკრულები დარაჯობენ, ზრახვები კი ბუნდოვნებაში იკარგება, რადგან მკაცრი ცხოვრება გახემებულ პერანგს ჰგავს, პროფესიონალი მკერავის მიერ მკვრივი ძაფით მოქსოვილს, კელაპტრის ცეცხლივით სათუთი მოძრაობებით.

— ეს ჩემი ძმაა, გაიცანი!

გოგონას ბაფთა ოქროსფერი ზონრით შეენასკვა, მზერაც ისეთი ჰქონდა, ორნი რომ შემოვლენ და პირველის დანახვაზე სახეზე გამკრთალი ღიმილი, მეორის დანახვაზე ზედ რომ შეეყინება.

— არ ვიცოდი, ძმა თუ გყავდა! — ეტყობა დედმამიშვილები მის გეგმებში არ შედიოდა. გული კი დამწყდა, იოსებმა ჩემი ამბავი ალბათ იმიტომ დაუმალა, ხეიბარი რომ ვარ-მეთქი.

— იზაბელა! — მან ხელი ფაქიზად გამომიწოდა.

— საჰაბი! — გავუწოდე მეც და როცა გამოვტაცე, გაშვერილ ხელში იოსებმა კონვერტი ჩაუდო.

— ეს რა არის, მოსაწვევი? — დაინტერესდა იზაბელა.

— მოსაწევი გერჩივნა? — ჩაეცინა იოსებს.

ჩალისფერი კანი ჰქონდა იზაბელას, ცაცხვებიან ქუჩაში ამაყად მიმავალს, ვიკინგების ასულივით ცეცხლთმიანს და ჭორფლიანს. უღიმღამო თეატრი ლოთებისა და მეძავებისთვის გეგონებოდა

განკუთვნილი. სცენაც ისეთი ხარაჩოებით მოერთოთ, მაყურებელი სპექტაკლის დაწყებამდე რომ დაეზაფრათ. კუთხეში ნესტით გაჟღენთილი ნაჭრები ეყარა, ხარაჩოების მოსაწყობად უვარგის საქონელსაც იყენებდნენ. ამის ოსტატები იქნებოდნენ, ხარჯები რომ შეემცირებინათ. არტისტებს გული ვულკანივით უძგერდათ, სიტყვების ნაცვლად კი ლავას აფრქვევდნენ. მთავარ გმირს ერთი ციცქნა, მაგრამ მგზნებარე გოგონა თამაშობდა, რომელმაც სპექტაკლის დაწყებისთანავე ისე შეჰკივლა, კინაღამ გული შემიწუხდა. გარეთ გავალ და ამათ იქ დაველოდები-მეთქი, გავიფიქრე, თუმცა მომერიდა. საიდან გააჩნდა ამ გამხდარ სხეულს ესოდენ უსაზღვრო შესაძლებლობა. მისი ხმა მიტინგის მომწყობ კომიტეტში რომ გაეგონათ, თავიანთ რიგებში უსიტყვოდ მიიღებდნენ. სპექტაკლის ბოლომდე კიდევ ბევრჯერ იკივლა. დასასრულს კიდევ ერთხელ შევნიშნე, ოვაციებისა და აპლოდისმენტების ფონზე, საგრიმიოროში საკაცით რომ გაჰყავდათ მოსასულიერებლად. გარეთ გასვლისას სიმშვიდე ვიგრძენი. დამრეც და საცალფეხო ქუჩას ყოველი მეორე სახლის იქით კიბეები ჰქონდა ჩატანებული. ზოგან, ვიწრო ბორდიურზე გვერდულად გიხდებოდა გავლა. ტენტებგადაფარებულ ნანგრევებს მოსარკული მინები ირეკლავდა. დამთვალიერებლები ჯგუფებად დადიოდნენ. ადგილობრივები ალმაცერად გაჰყურებდნენ, რომელთაგან ზოგიერთი ისეთი ხეპრე და უხეში ჩანდა, იფიქრებდი, შარს ეძებენო. პასუხად წყვილები მშვიდობიანად იღიმებოდნენ, თითქოს თაფლობის თვე ედგათ. ვიღაც ფაშფაშა ქალბატონი სარწეველა სავარძელში ესვენა და გარუჯვის მიზნით მზისთვის სახე შეეშვირა. გარემო მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად გამოიყურებოდა, სანამ შეღამება თავაშვებული ცხოვრების სცენად არ გადააქცევდა. ჩვენ რომელიღაც კაფეში დავსხედით, სადაც დამლაგებელს სკამები აეყირავებინა და ფეხზე შვიდი ლულა თეთრად ბრწყინავდა, ორნი რომ შემოვლენ და პირველის დანახვაზე სახეზე გამკრთალი ღიმილი, მეორის დანახვაზე ზედ რომ შეეყინება.

— ასეთი რამ ცხოვრებაში არ გამისინჯავს! — აღვნიშნე მე და იზაბელას გადავხედე, რომელსაც ისეთი გამოგნებული თვალები ჰქონდა, ფირუზის ნაკეთობა გეგონებოდა.

ნატიფ სახეზე ჭორფლი ეყარა, თითქოს ვარსკვლავებიანი ცის სიღრმიდან გიმზერსო, შორეული და ნარნარა ხმა კი ძილისმომგვრელად ზემოქმედებდა. ეშხიანი აღნაგობით მთიელ გოგონას წააგავდა, მოქარგული ზედა უნდა ცმოდა და ხელში დოქი სჭეროდა, მხარზე შემოდგმული. ქალი კი არა, ფერწერის ზეიმი იყო. მისი ყურადღება რომ არ მიმექცია, ნახატების თვალიერებას შევუდექი, შესაშური ოსტატობით რომ იყო შესრულებული. ტილოზე აბჯრით შემოსილი რაინდი გამოესახათ, ისეთი შეგრძნება გეუფლებოდა, დეზების წკარუნი და ჯაჭვების ჟღარუნიც მალე გაისმებაო, მოპირკეთებულ იატაკზე დაცვენილი ნაპერწკლები ყვითელი წერტილებით გამოეხატათ. მუზარადი და უხეში შესამოსელი, ელვაშესაკრავიანი ზონრები და ეშვებივით კბილანები რომ უბრჭყვიალებდა, მთელ სახეს უფარავდა, თითქოს ფიქრი ეკრძალებოდა და ზემდგომთა განკარგულებას ზედმიწევნით ასრულებსო. ლომს ჰგავდა, გალიაში მორჩილებას რომ აიძულებენ. კარგი დრო ვატარეთ, მაგრამ საღამოს ისეთ თავსხმაში მოვყევით, სახლში ძლივს შევასწარით. ფანჯრის მინას შხეფები ესხმებოდა. გუბეებსა და სანიაღვრეებში წყალი ყანყალებდა და ბუყბუყებდა. ისინი ფანჯარასთან იდგნენ, საათობით შეჩერებოდნენ წყლის სამეფოს და ერთ ჭერქვეშ ყოფნა უხაროდათ. იმ დღეს იზაბელა ჩვენთან დარჩა. დილით უკვე გადაღებული იყო. ჩემ რძალს იატაკი საგულდაგულოდ მოეხეხა და ნოხებს ამშრალებდა. ნაწვიმრის კვალი შორეული ეკლესიის ოქროსფერ გუმბათებს კიდევ უფრო ბრჭყვიალას ხდიდა. სახურავს პრიალი გაჰქონდა. მბზინავი ლითონი მზეზე კაშკაშებდა. მაღაზიის ვიტრინებს გრძელი ჯაგრისებით წმენდნენ. ვიღაც სანდლებით მიფრატუნობდა, წინდებიც სველი ჰქონდა. ქუჩაში იმდენი გუბე იდგა, თითქოს ზვირთებს ჩამოევლოს. იმ საღამოს საყოველთაო ხმაურში ჩემმა ძმამ მშვიდად განმიცხადა:

— საჰაბ, შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი!

— თქვი!

— ხვალ აქედან მივდივართ! ბერეტიანმა ბლომად ფული მომცა. ცოტას შენც დაგიტოვებ, დანარჩენი გზაში დაგვჭირდება მე და იზაბელას!

— მაინც სად მიდიხართ? — ფულზე უარის ნიშნად თავი გადავიქნიე და ჯიბეზე მივანიშნე, საკმარისად მაქვს-მეთქი.

— ჰოლანდიაში! იზაბელას დეიდა და ბიცოლა ჰყოლია იქ, სამუშაოს გაგიხერხებთო, შეჰპირებიან. წითელი ფარნების ქუჩაზე ქალები მუდამ ჭირდებათო!

ეს სიტყვა საეჭვოდ მივიჩნიე, ჩემმა ძმამ კი, თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, განმიმარტა:

— ხომ არ გგონია, იზაბელა ძალიან მეხატებოდეს გულზე. ფული ექნება და მეც მომხედავს!

იგი ჩემ თვალში დაპატარავდა. სიყვარულს უცნაური თვისება აქვს, ზეიმად თუ არ აქციე, ტანჯვად გექცევა. ის კი თურმე არავითარ აღმატებულ გრძნობებს არ განიცდიდა. ახლაღა მივხვდი, როცა უკვე ღრმად ჰქონდა შეტოპილი, როგორ აგვარებდა ჩემი ძმა ფინანსურ საკითხებს. ყოველთვის მიმაჩნდა, ხოლო იოსების შემხედვარეს კიდევ უფრო განმიმტკიცდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფულის შოვნის ერთადერთი პატიოსანი გზა მათხოვრობა იყო.

— უნდა გამიგო, საჰაბ, არჩევანი არა მაქვს! რომ დავრჩე, დიდი ხნით ჩამაჯენენ! — განაგრძობდა იოსები — შეწყალების მთხოვნელი კი არ ვარ. დაყრილ ფარ-ხმალს იარაღად არ მივიჩნევ! შენ შეგიძლია ამ სახლში დარჩე. კიდევ ექვსი თვის არის წინასწარ გადახდილი! — დარწმუნებული ვარ, ბერეტიანის ამბავი იქნებოდა.

— დედა მაინც გენახა წასვლამდე, ხომ იცი, ინერვიულებს, მასზე ძვირფასი კი ვინ გვყავს! — პათეტიკამ ღაწვები წამომინთო, — იქნებ მხოლოდ სამშობლო?

— სამშობლო? — მან მოღუშულ არემარეს ცივად გახედა და მხრები გულგრილად აიჩეჩა, — აწი სამშობლო აქედან მიმავალ ჩრდილად თუღა ამირეკლავს!

სადგურზე რომ ვაცილებდი, ხმა არც ერთს აღარ გაგვიღია. მატარებლის დაძვრამდე მხოლოდ იზაბელა თუ იტყოდა რამეს. ხშირად ურთიერთობები თავისი დასასრულით ხდება მნიშვნელოვანი.

4

სადგურიდან სახლში რომ მოვბრუნდი, უჯრაში რუკების ატლასს გადავაწყდი. ჩემ ძმას ზოგიერთი ქვეყანა, ეტყობა რომლის ნახვაც ეწადა, ფანქრებით შეეფერადებინა, ხოლო სანიშნედ ფურცლის ნაკუწი ჩაედო. ეტყობა, გადახვეწა ადრევე ჰქონდა განზრახული. იმის გაფიქრებამ, რომ შესაძლოა ვეღარასოდეს მენახა, სევდა მომგვარა. ვინც სამშობლოს ტოვებს, ოქროსძიებელს ემსგავსება, დაბრუნება ხელცარიელს რომ უწევს. ჯობს, რომელი ხრიოკიც გებოძა, განძიც იქ ეძებო. ერთიხანობა სხვაგან არც მიფიქრია გადასვლა. უცნაური გათვლაა — სახლს ერთი აგებს, ქირას მეორე იხდის და ცხოვრებით კი მესამე ცხოვრობს. ამეებზე ვფიქრობდი, ვიღაცებმა რომ მომაკითხეს. იოსებს ეძებდნენ. მხრები ავიჩეჩე. კიდევ მოვალთო, დამიბარეს. მართლაც მოვიდნენ და აგდებულად მელაპარაკნენ.

— ვეღარ გავიგეთ, სად გაქრა იოსები? ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ? არადა კარგი საქმე უნდა შეგვეთავაზებინა!

— მე არ გამოგადგებით?

— შენ? — ღიმილით გადახედეს ერთმანეთს, თითქოს რაიმე საოხუნჯო მეთქვას, — იმ ბარში გვინახიხარ, რას საქმიანობ?

— ვმათხოვრობ! — თავი მოვისაწყლე, — ყავას უფასოდ მასმევენ!

— ჰოდა, რა გინდა? გზაზე მდგარხარ! — სიცილი დამაყარეს.

მერე სტუმრობას მოუხშირეს, ბოლოს კი დამემუქრნენ, თუ არ გვაპოვნინებ, შენ თავს დააბრალეო.

დასასრული მე-6 გვერდზე

სოსო მეშველიანი

ზამთარი. ღამე. აგონია.

ცხელი შუბლით ვგრძნობ სიგრილეს კედლის,
მე ვდნები. თოვლი ამოსცდა სარკმელს.
ნაძვის ტოტები სველი და ნედლი
მხოლოდ ფიქრებში დახრილან მძიმედ...
ცხელი შუბლით ვგრძნობ სიგრილეს კედლის,
ვდნები და მაინც არ ვკარგავ იმედს.

თოვლი ხმას ყოველს ჩაახშობს ღამით,
მგლის ყმუილს, ძაღლის ნერვიულ ყეფას,
სახლში ვერ აღწევს მცირედი ჩქამიც,
თოვლით დაგმანულ ფანჯრების მიღმა...
თოვლი ხმას ყოველს ჩაახშობს ღამით,
მე კი მინდა, რომ ამ ღამით იმ ხმამ

იმგვარად შემძრას, სუნიც კი ვიგრძნო
საკვამურებთან გაჭვარტლულ თოვლის,
ჩემს უსიცოცხლო თვალებსაც ვინძლო
არ გადაედოთ მინების ჭირხლი.
ჯერ ისევ ვსუნთქავ, საბანსაც ვიძრობ,
ბოლომდე რომ არ ჩამტენოს წიხლით

დილეგში ბედმა თუ უბედობამ.
და უცებ ეს ხმა:
— შეხედე, მამი,
ნაძვი როგორ ჰგავს თოვლის დედოფალს,
მთვარის შუქზე რომ გახედავ ღამით.

მალფხ*

ჩიტი დარღვეულ ბუდეს ამთელებს,
ობობა წვიმით დაწყვეტილ ქსელს და
პოეტი ისევ დაშლილ სტრიქონებს
(ყველა განგების ნებით თუ ძალით),

წვიმა კი, მხოლოდ ძველ განცდას ტოვებს —
ნაკელს და მიწას ფეხქვეშ მოზელილს —
და კვირტებგაშლილ ცაცხვის ნედლ რტოებს
ასე ხმაურით რომ ხრავს მოზვერი,

ვიღიმი, ვუმზერ მის სველ ნესტოებს,
მძაბავს და მაინც რაღაცით მომწონს.
მიზეზს ვერ ვხვდები და არც დავეძებ.
ძირს ლოკოკინის მბზინავი ლორწო
ხმება შხამიან სოკოს ხავერდზე.

* მალფხ — გაზაფხული სვანურად.

გამქრალი ხმები

„მე მომწონს ის, რაც ბუნებაში გაუგებარია ჩემთვის:
ადამიანურიც და არაადამიანურიც“.
ჯონ ფაულზი

ის შორეული,
მოგუდული ხმაც გაქრა ძაღლის,
ზამთრის გრძელ ღამეებში
ასე გულივით რომ უცემდა
ჩემი სოფლის გაყინულ სივრცეს.
ჩაიკარგა იგრიკას ღამეების იქით,
მუჟღვერის ბნელი ღამეების იქითაც.
და ბოლოს, როცა ჭრიჭინებიც გაუჩინარდნენ,
ღამე სულ უფრო დასევდიანდა,
ამ ღამეული, იდუმალი ხმების გარეშე.
მწიფობისთვის დამძიმებული ჰაერით,
ხეზე ობლად მოფრთხიალე ჩიტით...
ციმციმებს კომშის ხის ფოთლებშორის
ათი ათასი სინათლის წელიწადით
დაშორებული ვარსკვლავი,
ვდგავარ,
უსასრულობაზე ვფიქრობ და მწიფე ნაყოფს ვუმზერ,
რომელიც მოწყვეტაზეა.

სიჩუმე. ჟამი. ამაღლება

ნებდები,
ძალა გამოცლილი, ნოემბრის ამინდს,
გაჯიუტების დროც არ გრჩება, — „აწვე არს ოდეს...
ყოველთათვს ჟამი არს და ჟამი“ — დიახ ეს ჟამი,
აქვავებს სულს და ქარაგოზით* არბილებს ლოდებს.

მოაქვს ნაკადულს მიტოვებულ წისქვილებ შორის
ხმელი ფოთლები, წიფლნარების სიზმარი — სევდა...
გუბდება ჩემში. ციდან სოფელს დაჰყურებს ქორი,
გადაირბენენ ღამე მგლები ჩირგვიან სველ და

დათრთვილულ მინდორს,
დაარღვევენ დუმილს ძაღლები,
ბნელში აჩრდილი მიაკითხავს ნაცნობ ნასახლარს,
მოყვება მწუხრი, ყოველივეს, წუხილს რაც ახლავს,
ჩამოშლილ ფუძეს ყრუ ქვითინით ჯვარს გადასახავს.
და ვარსკვლავებით გამოითვლის დროს ამაღლების.

* ქარაგოზი — სქელი ხავსი.

დავიწყებული სტრიქონების გამო

გაუჩინარდა გონებიდან.
ასე უცებ გაქრა და ჩაინთქა
მეხსიერების ბნელ უფსკრულში.
მაინც მიზიდავს რაღაც,
რაღაც მაინც დარჩა
იმ ყოვლისმომცველ სიცარიელეში.
იქნებ ესეც ლექსია,
დარჩენილი, სიტყვების მიღმა,
მოულოდნელად გაწყვეტილი სიტყვების აცმა.
— გადაუფრინა ისლის ტევრებს ყივყივით იხვმა,
მწუხრს შეატოვა სიმარტოვემ, ესოდენ მკაცრმა.

წვიმიანი ზაფხული 2019

„მზეო თიბათვისა“.
გალაკტიონი

დალპა ნამხრევი სათიბებში, ღონდები, ალბათ
იონჯაც ასე ზეზეულად, გაშავდა, დალპა.
რა მოთმინება! კაცი ლამის
სიმყარეს კარგავს,
— ეს ყოველივე მაინც რას გავს?!
— არაფერს არ გავს!..
ასე წინასწარ განვჭვრიტე, თუ ენამ მიყივლა,
ბოსტანში ლაღად ახმიანდა მწვანე ყიყინა.
და თუ ჩამთვლიმა —
სიზმრად ვხედავ ჭაობის გნომებს,
თიბათვის მზეო, გამოჩნდი და პირობა მომეც,
ხმას გავიგონებ ჭრიჭინების,
ან ხვალ და ან ზეგ,
დახედე გლახაკს, ახლა ნუღარ გადგები განზე,
ისე წვიმს, ნესტი ბუდეებსაც ჩამოშლის მერცხლის,
რა მოლოდინი! უკვე გულიც გაწყალდა კვერცხის.
როგორ მამძიმებს უმოძრაო ჩრდილები ღრუბლის,
ხავსი მოაწვა ხის აივანს და კარის ზღურბლი
გამოიარა ლოკოკინამ, მბზინავმა შავად,
თიბათვის მზეო, შენ გჭირს რამე, თუ მე ვარ ავად?!

ნაავადმყოფარი ტყე

„Der eiserne Cherub von Akra“.
Paul Celan

მთენთავს, სიფხიზლეს გარსივით მაცლის
ხმაური წვიმის —
თითქოს ცომივით
არბილებს სხეულს, ვნებისგან დაცლილს,
მაინც ნახევრად მძინარე კაცის
გონება სიტყვებს (ათასჯერ გაცრილს)
იზიდავს, იკრებს — „ქერუბიმი ვიყავი აკრის“.
უშფოთველ სულსაც უხეშად ანჯღრევს
მძაფრსუნიანი ყვავილი კაკლის.

წვიმით დატბორილ სოფლის ბონდორთან
ცის მეწამულ ფერს ირეკლავს გუბე,
ხევიდან ხევზე გადაწვა ჩრდილი,
როცა შეერწყა ღრუბელი ღრუბელს.

ჩარჩა ნისლებში აჩრდილთა ქორო,
— დრო, ძაღლყურძენას სველი ტევრით და
შამბით დაფარავს ბნელ ღრმულებს მიწის
და შიგნით ჩაშლილ კოშკებს ტერმიტთა.

* * *

რა საცოდავად ცახცახებენ
ძლივს მოხელთებული ფიქრები
დანადგარების გამაყრუებელ ზუზუნში.
როგორ წყდებიან და იკარგებიან
მეხსიერების ბნელ უფსკრულში,
შემდეგ რომ შეუძლებელი ხდება მიგნება.
მაინც რას ელოდებით მისგან,
ვინც ლექსებზე ფიქრობს და
ხველებით ამოაქვს დაფშვნილი მინის მტვერი
გაჭვარტლული ფილტვებიდან?
რომლის თავშიც გუგუნებს რკინის საჭრელი
დაზგა,
თვალებიდან კი წითელი ნაპერწკლები სცვივა.
როგორ შეიწოვს მისი ტვინი
შაშვებით სავსე კედარს?
როგორ შეიგრძნობს მისი სხეული
ზღვიდან მობერილ ნიავს?
როცა მათ შორის ბეტონის კედელივით
აღმართულა
წვიმით დაორთქლილი შუშაბანდი.

შიმშილის მსხვერპლი

„მეორე მსოფლიო ომის დროს ჩემს სოფელში მოკლეს
გერმანელი დესანტი ბიჭი, რომელიც საკვებს ეძებდა.
გვამი კი ფერმის ბოლოში დააგდეს“.

ხმა იდუმალი ჩამყვება ძილშიც,
სიზმრებში ვხედავ ფორმიან „ტურისტს“,
ვინც სამიზნემდე გამოყვა შიმშილს
და მიწად ექცა ლუკმები პურის.

ავსებს სიბნელე სინათლის ღრიჭოს.
აჩრდილი უსტვენს ცარიელ მერმისს,
სად „სარაბანდა“ საბრალო ბიჭო,
სად ნანგრევები ღორების ფერმის.

მაინც რა ბედის ვარსკვლავზე გაჩნდი,
სად უხმობ სტვენით ჰენდელს და მოცარტს...
ასე ნელ-ნელა ვშორდები აჩრდილს,
მიახლოვდება რიჟრაჟი როცა.

ძველი რვეულიდან:

მელიის ტყავი

ეს ფუმფულა და მბზინავი ბეწვი
მაგონებს ჩემი ბავშვობის ზამთარს,
დათოვლილ ხევებს, გაყინულ ღელეს —
ხმაც რომ მოყვება ღამეულ მგზავრთა.

უცებ უბრალო ფიქრის ნაპერწკალს
მოგონებები აქცევენ ნაღმად —
რომ ცხადად ვიგრძნო, ჩემი ბავშვობა
როგორ მიყვება ჩირგვიან აღმართს.

მაგონებს ტყეს და ყინულის მწვანე
ლოლუებს, მწვეთარს ფიჭვების ხავსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავიწყებს მძიმე, დახიწვულ ყოფას,
მავსებს სევდით და ბავშვობით მავსებს.

მავსებს ტკბილ-მწარე წარსულის წლებით,
არც მთლად ზღაპრით და თეთრი გედებით...
უცებ მაფხიზლებს ბარმენის ხრინწი
უხეშად:
— მორჩა! ჩვენ ვიკეტებით.

ნათელი და ბნელი

თითქოს ვერ ხვდები, რას გულისხმობენ
სასოწარკვეთილი ადამიანები
ამ შეძახილში „ბნელა!“
ისე ნუ გაიბრიყვებ თავს —
ამ საყოველთაო სიბნელეში
შენც ფარვანასავით მიგასრისონ იმ ნათელ წერტილს,
სულაც, შენით ამოქოლონ ის სინათლის ღრიჭო,
შენ რომ პოეზიას ეძახი.
და მაინც გიჭირს დაჯერება,
არადა მართლა ბნელა.
და ეს სიბნელე სულაც არ ჰგავს
ხევებში ჩამოწოლილ უკუნ ღამეს,
ნახირიდან წამოსულს რომ წამოგეწევა.
ხან რომ ღელეში ჩაგიცდება ფეხი,
ხან რომ ხეს მიეხლები შუბლით,
ხანაც, ხარს წაავლებ კუდში ხელს,
რომელიც შენზე უკეთ აგნებს გზას.
ამ სიბნელეს არ ახლავს სასოწარკვეთა,
ამ სიბნელეს მუსიკა ახლავს,
უცნაურად ნათელი და იდუმალი,
„Night on Bald Mountain“-ზე
მძლავრი და შემზარავი,
უფრო ჯანსაღი,
ვიდრე მუსორგსკის პათოლოგიურ შიშზე აგებული
კუდიანების არია.
და მაინც გაკრთობს რაღაც,
რაღაც მაინც შეგიკრავს სუნთქვას...
აი, ეს კი სხვა სიბნელეა,
ლოდივით მძიმე და უძრავი,
რაზეც ეს სასოწარკვეთილი ადამიანები გაიძახიან:
„ბნელა!“
„ბნელა“.

წასვლა

გასხლტება ბნელში,
გაიელვებს თვალივით კატის,
იღბალი.
ასე უხალისოდ დავტოვებ კადიზს.
ხვალის იმედზე,
დღევანდელზე ხელჩაქნეული,
ამასობაში, მეგობარო,
ცხოვრება გადის.

მძიმე სამუშაო დღის შემდეგ

მეტროს აფიშაც იუწყება
კონცერტებს გრიგის.
სადღაც მუსიკის გურმანების
დადგება რიგი,
შენ კი დამტვერილ ზურგჩანთიდან
აიღებ მისტრალს,
ბნელ-ბნელ გაყვები მატარებლის
შემზარავ ხრიგინს.

ბურლონის* ხუმრობა

რაღაც ბიბლიურ ხილვას ჰგავდა
იმ დღეს მერცხალთა
ასე შემოჭრა, შემოსევა.
წმენდდა, რეცხავდა
რაღაც მანქანა დასვრილ ასფალტს,
ტროტუარს-ქალაქს
ჩიტების სახით ბურლონი თუ გამოეცხადა.

* ბურლონი — ეშმაკისეული ხუმარა არსება ესპანურ მითოლოგიაში.

უიმედობა

აზრი რომ არ აქვს
და არც იშლი ამ მოთქმა-ღაღადს,
ამ სიბნელეში რაღაც ჩარჩა,
აქ ჩალპა რაღაც...
ბოლოს პოეტიც, ყველასაგან გაბრიყვებული,
სახედარივით თუ დაღეჭავს
ამ წყეულ ქაღალდს.

* * *

ჩემს ლექსებში აგრძელებენ შრიალს
ნეშომპალად ქცეული ფოთლები —
პირიქით ჯობდა, ყოფილიყო.
ველურს და შინაურს
დავეძებ...
როგორც დაეძებენ
სინათლეს წითელი
ბაბუაწვერები.

* * *

გაიქეცი,
გაექეცი ანგელოზებს,
მათ არ ჰქონიათ ფრთები,
მათ არ ჰქონიათ ცისთვალები
ხელში და შერეული შროშანები
გვირგვინებად,
გაიქეცი, გაექეცი მათ, ვინც
სიკვდილის წინ მოვლენ,
ფრთები არ ჰქონიათ,
გულზე მეგობრის ნაჩუქარი
ქვა, როგორც დიდი გასაქანი,
სანამ სასაფლაო გამოჩნდება,
გამძიმებს ...
დათვმა რომ უნდა დაიძინოს,
იმ ბუნაგს შლი და ასახლ-კარებ,
სამპირად იკრავ მძივებს, ქარვისას:
„არინე, მარინე, თეკლე...“

წუხელაც გავათენე

როგორ გინდა თავი მოიტყუო?
მოკვეთილ მუხლებში
ძალა დაიბრუნო?
ტყის დედოფალივით
გადაეგო ღამეს?

ყველაფერს ეშველება,
ყველაფერს, ყველაფერს,
სულერთიანად ეშველება.
ყველაფერს ეშველება,
ყველაფერს, ყველაფერს
რასაც სული უდგას,
ეშველება...

ჩემმა გოგონებმა,
ჩვენ ჩავიწევითო,
მთხოვეს სიკვდილის წინ
მათ გვერდით დაწოლა.

* * *

ამოვისუნთქეთ
და ღმერთებს დავცინეთ,
ღმერთები გამოვიდნენ ღრუბლებიდან,
ვარსკვლავები ტყვიამფრქვევის ლენტზე აასხეს
და მზერა ჩვენგან გადაიტანეს
სხვა რჯულის მიმდევრებზე,
სხვა ჯიშის მგლებზე,
რომელთა შიშით გაწყვეტილი
ცხვრების შვილებისთვის
ტანსაცმელს, ფეხსაცმელს,
საკვებს და ტკბილ სიზმრებს
ვაგროვებთ...
გთხოვთ დაგვიკავშირდეთ,
ამ სტრიქონს ბოლოში
ექნება წერტილი,
ბრმა ამულეტივით
წყალსგატანებული
ძახილის ნიშნების
მაგიერ.
როცა ხეები მიდიან,
მე — ვრჩები.

ნათია გიორგაძე

* * *

არსად არ ჩადის მზე,
არც მე ვარ მარტო,
და არც შენ იხედები უკან...
თმაში რომ პეპელა ჩავიმაგრე,
რადგან არ მიყვარდა ყვავილები,
არამედ სალამურა...
როცა თავს უკრავენ ღარიბებს,
მე ვხდები ათასჯერ უკეთესი,
მე ვხდები მდიდარი...
ლექსებს და მოთხრობებს მიკვეთავენ,
მე ვწერ და ვკითხულობ ყურადღებით
საკუთარ ახოვანში...
როგორც სამარიდან აღებული,
მტვერივით ძლიერი, უმნიშვნელო,
ჰაერში ვიფანტები...

რომ გულის ფიცარი
შემაშველონ,
ან გულისტკივილით
შემაგროვონ
ყოველთვის...

როცა ლითონის ხურდა ფულით იმ ალილოდან ამ ალილომდე ველით...

წყევლა: მიწის ქვეშ გაიცინე
ანუ კუბოში, დამყვება აგერ სამი თვეა,
იღვიძებს დილით ჩემთან ერთად,
მაღვიძებს ღამით და მე ვაღვიძებ
მკვდარ დედაჩემს, — მიშველე, დედა!
— მიშველე, დედა,
მეშინია, იმ ქალის წყევლის,
ხელგამოწვდილი ქალის წყევლის,
რადგან ეს წყევლა დავიმსახურე,
იმ უხერხული უფულობისგან
თავდასაღწევად,
რომელშიც ვცხოვრობ,
მე შევაგებე მას ღიმილი,
როგორც იმედი, მე — ჯანმრთელმა
და ხელგაუწვდელმა,
მას კი ეწყინა, ჯვარედინად
აღაპყრო ხელი, რადგან ჩათვალა
რომ დავცინე... და მომაწყევლა,
მთელი ქვეყნის სიმწრის სანაცვლოდ.
სიკვდილი სჯობნის საშინელებას,
სიკვდილი სჯობნის შიშის ზარს და ქარს,
სიკვდილს უთხარი, დედაჩემო,
არ მიმატოვოს, არ გამაფხიზლოს,
თუ შენ გვერდით არ მეყოლები.

* * *

ხეზე ეკიდა მკვდარი,
პირველი აქტის ბოლოს
ყველა ტიროდა ირგვლივ,
კაცი იყო თუ ქალი,
ახლა, აქედან ზუსტად
არავინ იცის, საით
გაემართება ხალხი?
არავინ იცის ზუსტად,
რაა სრულყოფა, სრულქმნა?
რაა წყვდიადი?
— მშიერი ბავშვები,
მოხუცები, თქმულება
ღმერთზე თუ ქვიშასავით
მოცლილი ხელები...
ცრემლი რომ ჩამოსდიოდა
იმ ხალხის თვალებში
მოქცეულ ფრინველებს,
ყვავილებს, ცხოველებს,

აგრიჩელი ხეიბრები

დიმიტრი წიკლაური

დასასრული

აქ აღარ დამედგომებოდა. ესენი მოსვენებას აღარ მომცემდნენ, მაგრამ არც შინ დაბრუნება მეწადა. მაშინ გადავწყვიტე, აგრიჩში წავსულიყავი, გორმახების სიახლოვეს, წინაპრების მიწისთვის დამეხედა. დილითვე გავემგზავრე და შუადღისას უკვე იქ ვიყავი. სადგური, ცოტაოდენი სიახლის გარდა, ძველებურად გამოიყურებოდა. მხოლოდ ზოგიერთი ადგილი მეჩვენა შეცვლილი, ადრინდელი ხიბლი რომ დაჰკარგვოდა და ძველ მნიშვნელობას ვეღარ შეიძენდა. მაგალითად, ხიდი მდინარეს წაეღო და მოსახლენი იძულებულნი იყვნენ, შორიდან მოეარათ. სადგურის გასნვრივ ფანჩატურის ძელაკები აეგოთ. მაღაზიაში მყიდველი ცოტავდებოდა. ძველმანები აღარ იზიდავდათ. ჟანგიანი და გაღუნული ხარახურა ბევრგან ეყარა. ძველს ვინღა კადრულობდა, ბრჭყვიალა ლურსმნები დახლებს ზნექდნენ. მეყვავილე კეკლუცად იწონებდა თავს, თითქოს იმ ყვავილზე უკეთესი ყოფილიყოს, რომელსაც ყიდდა. ისეთი ქალი ჩანდა, თხოვნაზე უარს რომ მაშინვე გეუბნება, ხოლო როცა გაიაზრებს, რა ჰკითხე, თანხმობა ეუხერხულება, რახან უკვე უარი გითხრა. პირველად პაპაჩემის საფლავზე ავედი, წარწერებიანი ქვა გადავწმინდე და ერთხანს მდუმარედ ვიდექი. წამოსვლისას იმაზე ვფიქრობდი, ეს საქციელი შვების მომტანი თუ იყო. გზაზე თითო-ოროლა გამვლელი გადამეჩეხა. დიდის ამბით მომესალმნენ, როგორც სოფელში ჩვევიათ. დარწმუნებული ვარ, ვერც მიცნეს. ერთ დროს მოკირწყლული მხარე მიტოვებით გავერანებულა. თუმცა ფაბრიკის ქუჩაზე ახლად შემოკავებული ტერიტორიები შევნიშნე. მერე ჩვენი ხეივნიანი ნაკვეთიც დავინახე. ზოგიერთ ტოტს ვაშლი ზედვე შელპობოდა. ალბათ კონკურენცია რომ გაქრა, გაკრეფვაზე ფიქრით თავს აღარც იწუხებდნენ. ჩვენ მხარეს რომ გადავუხვიე, ძაღლები შემეფეთნენ. ისეთი ყეფა ატეხეს, თითქოს მეფეთა საგანძურს იცავდნენ, არადა ერთი დაფხავებული ჩიხი იყო. ყვირილით ვიშორებდი, ამ თქვენ აშმორებულ შუკებში გავლით ვარ-მეთქი. რახან ჩემსას არ ვიშლიდი და გზას განვაგრძობდი, დაშოშმინდნენ და წკმუტუნს მოჰყვნენ. სუფთა ჰაერზე უფრო მეტად ვიგრძენი შიმშილი. ეტყობა, ასფალტის მძაღე სურნელება უმადობის წყაროცაა. არასოდეს მყვარებია ქალაქი თავისი ცივი შენობებით. დეკორატიული დასახლება დემოკრატიის საზომად სულაც არ მიმაჩნდა, არ ვთვლიდი, რომ ბოლი რაც უფრო გამჭვირვალეა, მით უფრო ხარისხიანი იქნებოდა საწვავიც. შეშაზე დანთებული ცეცხლის სურნელს არაფერი მიჯობდა. აქაურებს, ფერმკრთალი ქალაქელებისგან განსხვავებით, ღაჟღაჟა სახეები ჰქონდათ და არსებობის საკითხსაც სხვა ჭრილში განიხილავდნენ. ძველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, ადრინდელ მოსაზრებებს რომ ეყრდნობიან. ამიტომაც ეს მხარე სიახლისთვის მუდამ შეუვალი აღმოჩნდებოდა. თუმცა მძაფრი ახალგაზრდობა იმსახურებდა მშვიდ სიბერეს, მაგრამ ადამიანები დასახიჩრებული ცნობიერებით აგრძელებდნენ არსებობას. ის, რაც ჩემთვის იყო ძვირფასი, მხოლოდ ჩემთვისვე დარჩებოდა ასე. ამას სხვები ვერ გამიგებდნენ. ბუნების სიმშვენიერე კი გხიბლავს, მაგრამ ჭრილობებს ვერ გიშუშებს და ვერც შიმშილის გრძნობას გიოკებს, მხოლოდ მონატრებით გმსჭვალავს. შორიახლო ბავშვები გამოჩნდნენ, ჟოლოთი მოთხუპნულ ტუჩებს ილოკავდნენ, დასალიერს კი ისე მისჩერებოდნენ, თითქოს იქითაც ბევრი ჟოლო ეგულებოდათ. მალე ჩვენს სახლს მივადექი. ჩამოქცეული კედლები მთელ ინტერიერს აჩენდა. მეზობლად ვიღაც აკორდეონზე უკრავდა სევდიანად. შორს, სადაც ადრე მამაჩემი მუშაობდა, ქარხანა აღარ ხმაურობდა. ვეება ტურბინაც გაყუჩებულიყო, ოდესღაც ხვნეშით რომ იწოვდა ზეთს. ანჯამებიც ისე ჭრიალებდა, გეგონებოდა, მორყეული ჩარჩო სახსრების ტკივილს უჩივისო. მისი ხმა ქარის ხმას ერთვოდა. შებინდებისას სხვა ბგერებიც ემატებოდა, თითქოს ორკესტრი სრული შემადგენლობით გამოცხადდა. წარსული მოგონებათა ადიდებული წყალივით ისე ჩაგკარგავდა, როგორც პირდაფჩენილი ორმო, რომლის ამოვსებას საშველი არ ადგა.

მზის ჩასვლისას სივრცე ამოქოლილ ხვრელს დაემსგავსა, ნაცრისფერი ცა დათოვლილ მინდორს. დასალიერზე ძნელად აღსაქმელი ხდებოდა ნათურები, ისედაც უმწეოდ რომ ბჟუტავდნენ. განდევნილი მზე ჰორიზონტთან მცირე ხნით შეჩერდა, თითქოს სამყაროს კიდეს ებღაუჭებაო, მაგრამ კამათი მხოლოდ მცირე ხანს გაგრძელდა, სინათლე დაყაბულდა და წყვდიადმა ზეიმით გახედა არარას. გახუნებული ვარსკვლავები ძვირფასი ნატეხებივით აბრჭყვიალდა, თითქოს მთვარიანი ღამე მკრთალ თითებს გაუფერულებულ ოქროში ურევსო. ვარსკვლავები სიმცირის გამო კი არ ჩანდნენ წერტილებივით, არამედ სიშორის მიზეზით. ღამე რომ მიილია, ეს წერტილებიც გაქრა. აღმოსავლეთით სინათლემ იმატა და ლანდშაფტის მოხაზულობა გამოიკვეთა. გამთენიისას მამალი თავგანწირვით აყივლდა, ეტყობა დედლებს შთააგონებდა, ჩემი ყიჟინა მზის ამოსვლის აუცილებელი პირობააო. თავად მზე კი უჩინარ მომვლელს ოქროსფერთმიანი ჩვილივით ამოჰყავდა ჰორიზონტის მრუდე აკვნიდან. მერე იისფერმა შუქმა ჩარდახები გააჩახჩახა და სივრცე ნაცრისფრად განათდა, თითქოს კოლბა შეიმღვრაო. სამყაროს დარაჯი, ვისაც დედამიწის შთამბეჭდავ ვიზუალზე ზრუნვა ეკისრებოდა, იმ დღეს ალქიმიკოსივით იქცეოდა. გადამეტებული შუქი არც ვარგა. დამაბრმავებელმა სინათლემ მოვარდნა იცის, მრავალგან აშკარას ხდის მიწის გაცვეთილ ზედაპირს. ლამპიონების იაფფასიანი ნათურები ოდნავ ბჟუტავდა, განსხვავებით დღის სინათლისგან, რომელსაც უძლეველი წყარო გააჩნდა. როცა ინათა, სახლ-კარის დათვალიერებას შევუდექი. სველი ბელტები კასრის სალტეებივით ჟანგისფრად ბრჭყვიალებდა. ჯერ მთელი ეზო გადავქექე, მაგრამ თუნუქის ქილების მეტი არაფერი მიპოვია. ლუდის ბოთლები ბლომად ეყარა. ჭუჭყიანი ქილები და შუშის ნამტვრევებიც გაიელვებდა აქა-იქ. ჭინჭები გორად იდგა, ქვეშ ერთი ძველი ლანგარიც ეგდო, სასწაულად რომ არ წაეღოთ. ძენძებში ქექვა არ მეხალისებოდა, თორემ კიდევ ბევრ რამეს გამოვჩხრეკდი. ძველ სარკეში ჩემი უძინარი და შეშუპებული სახე დავლანდე და წამით შევჩერდი. კომოდი მეფის ტახტივით უდრტვინველად იდგა, ეტყობა იმ მაგიდის მსგავსად ვერ დაძრეს ადგილიდან. ეს ნივთები წარსულთან მაკავშირებდა, მაგრამ მე აღარ მეკუთვნოდა. მერე უკანა ეზოში გავედი. ჭავლებად ალიცლიცებულ ტბორს, ლამის ჭაობად რომ ქცეულიყო, ზედაპირზე თეთრი მცენარეები წინწკლებივით აჩნდა — გეგონებოდა, შაქრის პუდრი მოაყარესო. ზოგან შავი ფერი ერეოდა, თითქოს მელანი ჟონავსო, მსახიობ ქალს მთავარ როლზე უარს რომ ეტყვიან და ცრემლები წამოუვა, ხოლო ტუში მთელ სახეს აუჭრელებს — როგორც მკითხავს მოუვიდა იმ დღეს, ბიძაჩემთან ერთად რომ სეირნობდა წვიმაში. დედაჩემის რეაქციის გახსენებამ ღიმილი მომგვარა.

მერე საკმარისად დიდხანს ვცხოვრობდი ამ ჩაჟალტამებულ პირველყოფილ გარემოში, სადაც შეშით და ქვანახშირით დატვირთული ვაგონებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ცივი, კრიალა და სასტიკი ღამეები. დილაობით საშოვარზე გავდიოდი, საღამოობით კი მშრალი ქარი ცივი სახლისკენ მიმიძღოდა. მე გვირგვინივით მოოჭვილ ცას ავყურებდი, დაწინწკლულ ჭერს რომ მაგონებდა. მთვარიან ღამით დედამიწა უშველებელ ტორშერს ჰგავდა, ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ კი სასანთლეს, ბევრი ბრჭყვიალა შანდლით, მაგრამ განთიადის დადგომა სურათს უცებ შეცვლიდა ხოლმე, თითქოს უცხო ფერმწერები მოსულიყვნენ განსხვავებული საღებავებით. თუნუქის სახურავები ფოლგასავით ბრჭყვიალებდა. ზაფხულში აქაურობას მწერების მოსაბეზრებელი ზუზუნი აახმიანებდა. სადაც გუბურაა, ქინქლებიც ხომ იქ ჩნდება. მინდვრებს ისე გაცელავდნენ, თითქოს ნაყოფს კანი შემოაფცქვნესო. მაგრამ ჯერ ადრე იყო პაპანაქება, მხურვალების მიზეზით მიწის ზედაპირზე ქვეწარმავლების ამომცვენელი. ჯერ ზამთარი იდგა, როცა ქარიშხალს ამინდის სასოწარკვეთილებად აღიქვამენ.

ცხოვრება ადამიანს მრავალჯერ შეაჯანჯღარებს, როგორც ლაბორატორიულ კოლბას ქიმიური შიგთავსით, თითქოს ეფექტის მისაღწევად იღვწოდეს. მას გაძლება და მოსვენება არ უწერია, რადგან ნამდვილი სამშობლო ენატრება. წარსული შესაძლოა ძვირფას, მაგრამ გახუნებულ რეპროდუქციას ემსგავსება, ხოლო შორი, თოვლიანი გორაკები ქაღალდის ნაგლეჯებს, თითქოს დიდი მთები დაანაკუწესო. არ ღირდა ცხოვრების ფშუტე თავთავებთან გატარება, ფარატინა ფანჩატურებთან წანწალი და იმ სანოვაგით გამოკვება, რასაც მოვიხელთებდი, ერთადერთ საქმიანობად ყურყუტი რომ დამრჩენია, სიღარიბის ზღვართან და ოჯახების დანგრევის მიჯნასთან ხეტიალი და სიცარიელეში ცქერა, თითქოს მზე იმიტომ ჩადიოდა, მიდამო რომ ბინდბუნდს გაემსჭვალა. არაფერი რჩებოდა გამოსაკიდი. რასაც ვტოვებდით, ფუჭად ვეპოტინებოდით, რადგან ამაოება მეყსეულად ეპატრონებოდა, ძველი იერსახე რომ წაშლილიყო და ახლებს გაუცხოების შეგრძნება არ გასჩენოდათ. სამყაროს შემადგენლობაში ელემენტების უმეტესობა ხომ ფონის შექმნას და ხარაჩოების მოწყობას ხმარდება. მე კი, რახან აქაც უცხოდ ვიგრძენი თავი, იქითკენ გავწიე, საითაც ცოცხალი დედ-მამა მეგულებოდა. შუადღისას, როცა მზე ღრუბლებში მიიმალა განმანათლებელი პედაგოგივით, ნახევარ განაკვეთზე რომ მუშაობს, ჩემ ბარგი-ბარხანას მოვუყარე თავი.

5

საღამოს უკვე ქალაქში ვიყავი. შინ შესვლისას დედაჩემი უილაჯოდ გადამეხვია — ასე რა უნდა გამხარებოდა, როგორც შენი დანახვაო, ატირდა. მერე გაზქურაზე ჩაიდნით წყალი შედგა, მერე ჩაის ჭიქებში ჩამოასხა და შაქარი ჩაყარა. ერთხანს კოვზით ურევდა. არომატმა ხასიათზე მომიყვანა და სხაპასხუპით ვუამბე იოსებზე, საუკეთესო ბედში ჩავარდა და უცხოეთში გაემგზავრა, ცოლად კი ულამაზესი ქალი ჰყავს ფირუზისფერი თვალებით-მეთქი. ნეტავ დამანახაო, ინატრა. ბოლოს ამოიოხრა, შენ რომ წახვედი, შენი დაც მალე წავიდაო.

— სად წავიდა?

— მასწავლებლად მიიწვიეს ერთ მაღალმთიან სოფელში, კარგი ანაზღაურება დაუნიშნეს, მაგრამ მხოლოდ ზაფხულობით შეძლებს შვებულებით ჩამოსვლას!

— მაშ ოცნება ახდენია, ერთხელაც იქნება, ვესტუმრები!

— საჰაბ! ლამპის შუქზე დამენახე, შენი ყურებით გული მინდა ვიჯერო! — თქვა დედაჩემმა და ისევ გადამეხვია. მისი კაბა მეუცხოვა წყვდიადივით ფარჩა-სარჩულით.

— შავები რატომ გაცვია, დედაჩემო?

— ბიძაშენი გარდაიცვალა, ვეღარ გაუძლო ამდენ დავიდარაბას!

— ვერ გაგვაგებინეთ?

— ხმა სად მოგვეწვდინა? შენ რომ წახვედი, ეგ ამბავი მალევე მოხდა. აქედან არც ისე შორს დავკრძალეთ, ჭაობების იქით, ადრე ძველი სასაფლაო ყოფილა, — ხელი სარკმლისკენ გაიშვირა, თვალები კი ისეთი ჰქონდა, გულის ტკენას რომ არიან შეჩვეულნი, — ხანდახან ვიტყვი ხოლმე, ჯანდაბას, ეცხოვრა იმ ქალთან, ოღონდაც ცოცხალი ყოფილიყო!

— ხომ იყო იმ ქალთან! — დავამშვიდე მე.

— იყო, მაგრამ გაორებული! — ბერეტიანის ნათქვამი გამახსენდა, გაორებულ საზოგადოებას რომ განმარტავდა ბარში.

— სიკვდილის სულაც არ ეშინოდა ბიძაშენს! — განაგრძობდა დედაჩემი, — ასე იძახდა, მთელი ცხოვრება მშიშარა ვიყავი და ახლა მაინც გამოვიჩენო სიმამაცეს. აქეთ ჩვენ გვამხნევებდა. ვერ ვუპატრონე ჩემ საწყალ ძმას! ხმა ვერც შენ დას მივაწვდინეთ. კუბოს სულ რამოდენიმე მივყვებოდით. ხშირად დავფიქრებულვარ იმ დღეებზე, ცხოვრება რაც უნდა ჩხრიკო, ბოლოს ყველაფერზე გული დაგწყდება. გახსოვს ის კაცი, ბიძაშენის მეგობარი, მაშინ ავეჯი რომ მოაზიდინა, ისიც გარდაცვლილა. მკითხავიც კი სადღაც გაქრა, ვიღაც გადამდგარ ოფიცერს გადაჰკიდებია კარტის ქაღალდებით, ყავის მარცვლებით და ქარვის კრიალოსნით ხელში...

სამგლოვიარო გარემოში ოთახში მიმოვიხედე და უცებ შიშით შევყვირე:

— მამაჩემი სად არის?

— ძინავს! — სასწრაფოდ შესძახა დედაჩემმაც, ორი შემხვედრი მატარებელი ერთმანეთს რომ მიაკივლებს. მეყსეული რეაგირება ჩემს დასამშვიდებლად მოახდინა, მერე კომოდის იქით მდგარ დასაკეცლოგინისკენ გამახედა, სადაც მამაჩემის სილუეტი დავლანდე. ზამბარის ჭრიალი ყრუდ გაისმა და დედაჩემმა ხმადაბლა განაგრძო, — გუშინაც მორიგე იყო. კომისია ჰყოლიათ, რადიოს გამოგონების რომელიღაც წლისთავი აღენიშნათ. რა ქნას საწყალმა, წვალობს რაც შეუძლია. გინდა, გავაღვიძო?

— ეძინოს, ხვალ ვნახავ!

მერე ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ რადიოს ხმა ისმოდა დერეფნიდან. სევდიანი მელოდია ჟღერდა, მუსიკის ბგერები გარკვევით ისმოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ გაარჩევდი.

რამდენი რამე მომხდარა, მე რომ წავედი, მალევე!

გარეთ ბავშვებმა სიცილით ჩაიარეს. ნუთუ ადამიანი უნდა განადგურდეს, კაცობრიობამ სიცოცხლე რომ განაგრძოს — სევდიანმა ფიქრებმა მომიცვა. ამხელა ოჯახში ყველა თავის გზას დასდგომოდა, მე და დედაჩემი კი ვისხედით და ათას რამეზე ვლაპარაკობდით. ვინ იცის, ასეთი ლაპარაკი კიდევ როდისღა შედგებოდა. როდის დავსხდებოდით ასე ერთმანეთის პირისპირ, თანაც იმგვარი მოწიწებით, ერთმანეთის ხეიბრობისთვის თვალი რომ აგვერიდებინა.

დეგიუტი

მა

დავით ოქროპირიძე

სამყარო ლიტერატურის ჩარჩოებს შიგნით ვერ მოექცევა, ლიტერატურას ჩარჩოები და საზღვრები არ აქვს. ვერც ლიტერატურა მოექცევა სამყაროს ჩარჩოებში, რადგან სამყაროსაც, თავის მხრივ, საზღვრები და ჩარჩოები არ გააჩნია. თუმცა ეს ორი მაინც ერთმანეთის გარეშე ვერ გაიხარებს.

რაფიელ მარტიროსიანმა ცალი თვალი გაახილა და რაფაელ სანციოს „ჯოვანი სანტის“, ანუ მამამისის ნახატს, მოჰკრა თვალი. რაფიელმა გახელილი ცალი თვალის ერთი შევლებითაც კი იგრძნო ის მდგომარეობა, რომელშიც რაფაელ სანციომ მამამისი გამოსახა. ნაღვლის ბუშტი აწუხებდა, მარცხენა ხელი გაჭრილი ქონდა და რაც შეეხება თავს, ეკლის გვირგვინი მსუბუქადაც კი მოეჩვენა თავის თავის ტკივილთან შედარებით. ამ აღმოჩენაზე გახელილი ცალი თვალი ოთახს მოავლო და მძინარე მამამისი შეამჩნია. შემდეგ წამოიწია საწოლზე და წამოჯდა. მარჯვენა ხელით მეორე თვალიც მოისრისა და დაამთქნარა. გაახსენდა, რომ დილით გაზმორება სხეულს გაღვიძებაში ეხმარება. გაზმორების შუა ფაზაში არ იყო, თავი ისე ატკივდა, წამოიკვნესა. დაბადების დღე, რაფაელი.

„რაფაელი — 6 აპრილი. მერე დაღამდება, კიდევ დაღამდება და შენი დაბადების დღეა“ — ეუბნება მამა.

„რაფიელი — 8 აპრილი. მერე დაღამდება და კიდევ 362 დაღამება დარჩება რაფაელამდე. მერე დაღამდება, კიდევ დაღამდება და ჩემი დაბადების დღეა.“

თავი ფრთხილად მოიფხანა. ნაკერი ჯერ კიდევ ტკიოდა და თავბრუც ეხვეოდა. მაღალ საწოლზე ვიღაც პირღია იდიოტი მიყუდებულა და ხვრინავს. ვაჰ, უცებ შერცხვა. სხვენში, მესამე სართულზე, სტუმარს სძინავს. სტუმარი ძმაკაცმა მოუყვანა.

მამამ შვილს რაფიელი ორი მიზეზით დაარქვა. პირველად 6 აპრილს ელოდებოდნენ და მამა რაფაელის დიდი მოტრფიალე გახლდათ. სახლის კედლებზე გემოვნებიანად დაეკიდა მისი ნახატები, არც ზედმეტად და არც ალაგ-ალაგ. მაგრამ რაფაელს მაინც ვერ დაარქმევდა. ჰოდა, მეორე მიზეზი იქვე მოიფიქრა.

„ნახე, რა სომხურად ჟღერს — რაფიელ. აი, სევდანარევი სიხარულით რომ დაიკვნესებ ისეთია“ — ამბობდა ცრემლმომდგარი მამა და ორსულ ცოლს თავზე ხელს უსვამდა.

წამოდგა რაფიელი. „მინუტკა“ დაადგა. სხვენში ასასვლელ კიბეს შეუდგა და გზად პირზე წყალიც შეისხა. გუშინ ძალიან მთვრალები რომ ამოვიდნენ მამისეულ სახლში, ახსოვდა. გზაც ახსოვდა, მაგრამ აქ რაები ჩაიდინეს — ეგ აღარ.

კიბეზე კაპიუშოიან გოგოს ძინავს. რაფიელმა ცბიერად, მაგრამ ზრდილობიანად შეხედა. ნამდვილად არ ახსოვს, იმედია, ვინმე ბოზი არაა. მარა ასეთი ახალგაზრდა და ბოზი ცოტა საეჭვოა.

თუმცა რაფიელს არც პატიოსანი ოჯახის გოგო აწყობდა. სხვენის კარების შელება და სტუმრის თავის უეცარი წამოწევა ერთი იყო. რაფიელი წუთიერად დაიბნა, მაგრამ ხელად გაულიმა. სტუმარმაც გაიღიმა და თავი ბალიშზე დაასვენა.

„როგორ გეძინა, ძმაო?“

„ღმერთივით, რა ხედია, ბიჭო.“

ღმერთივით როგორ გეძინა, შე კაი კაცო? ვინ ჩემი ფეხებია ნეტა ეს ტიპი ან რა უნდა ჩემს ოჯახში?! ა, ხო თემუკამ მოათრია. რაფიელს უცებ ისევ გაახსენდა რაფაელის ნახატი. რაფაელის მამას ხომ უკან ორი ანგელოზი უდგას. თემუკა ის მარცხნივ მდგომია, ხოლო „თემუკა ანგელოზს“ რომ უყურებს პახმელიიანი თვალებით, ეს ტიპი. რა ჯანდაბა ქვია?!

„ყავა, დავლიოთ?“ — შეთავაზა.

„არ ვსვამ ყავას. გაიხარე, ტო. ისედაც შეგაწუხეთ. ბიჭო, მაგარი მთვრალი ვიყავი გუშინ. მოვიხოდები და წავალ რა.“

„არა, კაცო, რა შეწუხებაა, თან პახმელია უნდა გამოვიდეთ.“

თემუკამაც გაიღვიძა, ის მოჭუტული თვალიც გაახილა და კაი ჯიშიანი მოზვერივით გაიზმორა.

„რაფიკ, კაცურად, მიდი, წყალი მომიტანე რა.“

ვინაა შენი რაფიკა, რაფიელი, რაფაელის გამო დამარქვეს, შე კარგმოტყნულო.

* * *

რაფაელ სანციომ ჯერ ორი თვალი გაახილა, მერე ორივე დახუჭა, მერე გაიღიმა და ქშინვა გამოუშვა. ოჰ, ჯინას ძუძუები რა მშვენიერი რამ იყო. რაფაელი მარდად წამოდგა და უცებ საშინელი კვნესა აღმოხდა. თავზე ხელებმიჭერილი მივიდა ფანჯარასთან და დარაბა გამოაღო. გრილმა ნიავმა დაუბერა და მარილის სუნი მოიტანა. ფანჯრიდან ვატიკანის გალავანს და რამოდენიმე ტაძრის გუმბათს მოჰკრა თვალი. 26 წლის შესრულდა გუშინ და 6 აპრილის დილაც მზიანი და იმედების მომცემი ჩანდა. რაფაელმა სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვა, პაპს ერთი შეუკურთხა ვატიკანში ღამის გათენების უფლების მიუღებლობის გამო და ქუჩაში გამოვიდა. ჯერ ადრე იყო და ქალაქის უმეტესობას ეძინა. თუმცა მზე უკვე ამოსულიყო და კიბესთან მძინარე მთვრალიც მრავლისმეტყველად გაჩუმებულიყო.

ვატიკანის კარიბჭესთან გუშაგი არ ფხიზლობდა. რაფაელს ჩაეცინა, რადგან გაახსენდა, რომ თუ ქალაქს უფალი იცავს, გუშაგის სიფხიზლეს არ აქვს მნიშვნელობა, თუ პირიქით.

„სალამი, კამერდინერო“, — მიმართა მან ცოტათი ხმამაღლა.

„ვინ ჯანდაბა ხარ?“ — იკითხა შვეიცარელმა გვარდიელმა და მიქელანჯელოს დიზაინით შექმნილი ზიზილ-პიპილოიანი ტანსაცმელი შეაშრიალა.

„მიქელანჯელო ვარ, იდიოტო, კარი გააღე ფრესკები უნდა გადავღებო!“

„უკან დაიხიე, ყმაწვილო, ხომ არ გაგიჟებულხართ?“ — გვარდიელი ნამდვილად არ იყო ხუმრობის ხასიათზე.

„რაფაელი გახლავართ, ბატონო და კუკი არ ვარ, ჯავშნით ვიყო. გასწიეთ ეგ შუბი,“ — მიუგდო ზიზღნარევად ხელოვანმა.

როდის აქეთაა, რომ ხელოვნებას ძალადობაზე გაუმარჯვია, ამიტომ რაფაელი ცივად მოტრიალდა და გვარდიელს მადონა შეაგინა. სანამ გვარდიელი მოიფიქრებდა, ვინ იყო მადონა და რა კავშირი ჰქონდა მასთან, რაფაელი უკვე მოსახვევს მიეფარა.

* * *

დგას რაფიელი სტუმართან ერთად „ჯოვანი სანტის“ ნახატთან და მდუმარედ მისჩერებია. ეს სტუმარი კაი ტიპი აღმოჩნდა. დემეტრე ჰქვია და დინის ეძახიან. არ იფიქროთ, რომ დინი სახელის გამო შეარქვეს. თურმე ბავშვობაში, როცა მამამისმა „დინამოს“ სტადიონზე წაიყვანა, არ მოსწონებია სტადიონის სახელი. თუმცა არ მოეწონა არა, უფრო სიზარმაცემ სძლია და „დინამოს“ მაგივრად დინის ეძახდა. ჰოდა, შეარქვეს კიდეც. დგანან რაფიელი და დინი რაფაელის და „სანტის“ ნახატთან.

„რაფიკის გოგო ვინაა კიბეზე რომ სძინამს?“ — სომხურად უქცევს დინი და ცოტათი ეღადავება კიდეც რაფიელს.

„რა ვიცი, დინი, ძმაო. დილით მეც ეგ ვიფიქრე, მარა ვერაფრით ვიხსენებ და რო გაიღვიძებს ვკითხოთ“ — პასუხობს რაფიელი და „კარგმოტყნულიაო“ არ ფიქრობს, როგორც თემუკაზე.

„ბიჭო, ესეთი ბედოვლათი როგორ ხარ, მიგეფარებინა მაინც რამე“ — წუხდება დინი.

რაფიელს რცხვენია. ეს როგორ ვერ მოიფიქრა, ამის დედა ვატირე. ორი წუთის შემდეგ დინი ბრუნდება.

„რაფიელ, ძმაო, მშვენიერი სახლი გაქვს. აი, სურათები და ინტერიერი ეგრევე რენესანსში გაგდებს რა. პირველი ადგილია, სადაც სიმთვრალის მერე გამეღვიძა და ნაღდად მომეწონა.“

„წამოდი, რა გაჩვენო“ — რაფიელი ცბიერად და სომხური თავმოყვარეობის და სიამაყის ნაზავი ღიმილით მიუძღვება დინის ძველებური ხის კარისკენ.

კარი მშვენიერი სანახავია. ხის, ძველებური დიზაინით, რკინის ხელსაკიდით და ამბები. რაფიელი აღებს და გამოთაყვანებული დინის მზერას სიამაყის ღიმილით უყურებს. დინი კი ნამდვილად კარგი სანახავია. ოთახი არც ისე დიდია, თუმცა საკმაოდ მშვენიერია იმის გათვალისწინებით, რომ ჭერი „სიქსტის კაპელას“ ანალოგიურად არის მოხატული. ოთხივე კუთხეში მოლბერტი დგას და ზედ უმშვენიერესი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ნახატებია დაწყობილი. დინიმ უცებ იფიქრა, რომ გუშინ მოწეულმა მოსაწევმა ეხლაღა გაუხსნა. ეს სულაც არ გაკვირვებია, რადგან მოსაწევი დიდი-დიდი 2-3 საათის წინ ქონდეს მოწეული — გამთენიისას მოწიეს და ისეთი მაგარი გამოდგა, რომ თემუკასთან ერთად ადგილიდან აღარც დაძრულა და იქვე მიიძინა. აქ კი რაფიელმა კარი მოიხურა და უცებ სრულ სიბნელეში აღმოჩნდნენ. დინი დაიბნა. მართალია არ ჯეროდა, რომ რაფიელი სერიული მკვლელი ან შეშლილი იყო, თუმცა საქმე ისაა, რომ საერთოდ არ ახსოვდა ამ ტიპთან როგორ აღმოჩნდა და საერთოდ თემუკას ძმაკაცი იყო თუ არა, არც კი უწყოდა. გაისმა ასანთის ჩხაკუნი. რაფაელის და დინის სახეები წამით წითლად აბრიალდა ასანთის შუქზე. შემდეგ კი ასანთი უცებ მინელდა და ნელ-ნელ ოთახმა განათება დაიწყო. ეს რაღაც ჰოლივუდურ ფილმებში ზეთზე გადაკიდებულ პატრუქის მიერ, ცეცხლის გავრცელებას გავდა. ოთახის გარშემო ცეცხლის რკალი შეიკრა. ცეცხლი კედლების შუაში ენთო, რომელსაც წინ წითელი და მწვანე ფერის შუშები ედო და ოთხკუთხა რკალს კრავდა. დინი საკუთარ დაბოლილ თვალებს არ უჯერებდა. ღმერთო, გაახსენდა. ჩვენმა მეგობარმა დაბოლებამდე რამდენიმე საათით ადრე ხომ ამფეტამინი მიიღო და შეიძლება ახლა მის თავში ეს ტოქსინები ერთიანად გაიხსნა. თუმცა აქ რაფიელმა თითი ერთ-ერთი მოლბერტისკენ გაიშვირა. მოლბერტზე „ჯოვანი სანტი“ იყო გამოსახული. თუმცა — შეცვლილი. მას თავზე გვირგვინის მაგივრად თითქოს წითელი ცეცხლის სარტყელი ედგა. წვერი არა ლამაზად, არამედ გამაღიზიანებლად დამგვანებოდა თხის წვერს და მუქად, რაღაც ავისმომასწავლებლად ჩანდა. გვერდებზე მდგარი ანგელოზები, შეიძლება დაბალი და უცნაური შუქის გავლენით, სახეებწაგრძელებულნი ტანჯვის გამომხატველად ხარხარებდნენ. მარჯვენა ძუძუსთან კი ნახატზე არა ჩვეულებრივი ბუზი — არამედ სასტიკად გათანგული და ჩრდილ-გაწელილი მწერი კანკალებდა. ბუზის კანკალმა ჟრუანტელი მოგვარა დინის. იმისდა მიუხედავად, რომ ბუზის კანკალი ცეცხლის ალის თამაშის ბრალი იყო, მაინც დაინახა სურათის მთელი საშინელება და რაფიულს გახედა შეშინებულმა. რაფიელს სევდიანი სახე ჰქონდა. როგორც ჩანს, მასაც მშვენივრად ესმოდა სურათის არსი. რაფიელის სახეზე წაგებას შეგუებული კაცის გამომეტყველება იდო. რაფიელის სახე, იმ მომენტში, მშვენივრად გამოხატავდა გულის გატეხვას, ბედის შეგუებას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბრძოლის უნარიანობასა და უუნარობას ერთად. რა თქმა უნდა, ასეთი კაცის წინაშე თუ რაფაელმა ვერაფერი გააწყო, რაფიელიც ვერას იზამდა.

* * *

რაფაელმა ისევ გაუვსო სასმისი შვეიცარიელ გუშაგს. ცოტახნიანი ხეტიალის შემდეგ მას უცებ მოუნდა, რომ უცნობ გუშაგთან ერთად მოელხინა. უკვე მეათედ სვამდა რაფაელი მამის სადღეგრძელოს. გუშაგი სასაცილო ისტორიებს ყვებოდა და შემდეგ თვითონვე ბჟირდებოდა საკუთარ ხუმრობებზე. მეჩხერ ულვაშზე ღვინის წვეთები ეკიდა, ხოლო ცეცხლის ალზე მშვენივრად ჩანდა ქონისგან მბზინავი წვერი. რაფაელის პირს სიცილი არ მოშორებია. ღმერთო კათოლიკეთაო, რა მშვენიერია უცნობ კაცთან ქეიფი. შენ მისი არა იცი, მან — შენი. ზიხართ და ყვებით და ყვებით ისტორიებს. სასაცილოებს სულ, რადგან ნაღველის გაზიარება უცნობ კაცთან ძნელიცაა და გაგების იმედიც არ გაქვს. ისე კათოლიკე ღმერთებისგან განსხვავებით, რაფაელს ყოველთვის ბერძენი ღმერთები იზიდავდა. ღმერთი, მისი აზრით, ის დიადი არსება იყო, რომელსაც უნდა ეთაყვანო. კათოლიკეებთან კი პაპისა და იერარქიის მიხედვით მდგომებისათვის უნდა გელოკა საჯდომი. აი, საბერძნეთში კი იყო მთა, სიმაღლე, საიდანაც ღმერთები ადამიანებს, საცოდავ არსებებს, ზევიდან გადმოჰყურებდნენ და თან მათთვის სულაც არ იყო უცნობი მოლხენა. ეს უფრო ესმოდა და ახლოს იყო რაფაელთან.

„ჩვენ აქ ღვინის დასალევად ვართ“, — გაყვიროდა მთვრალი გუშაგი. „ჩვენ აქ მშვიდობის დასამყარებლად მოვედით, ჩვენ აქ ისეთი უნდა მოვილხინოთ, რომ ჩვენს წასაყვანად მოსულ ღმერთს შეეშინდეს და აქაურობას მეორედ არ გეკაროს“.

„ღმერთი, დიდი ხანია, აქაურობას აღარ ეკარება“, — აღმოხდა რაფაელს და განწყობა რადიკალურად შეეცვალა.

მამის აჩრდილი ახლაც არ ტოვებდა. ჩაფიქრდა. დარაჯს გახედა. იმას მშვიდად მიძინებოდა. სახეზე სიმშვიდე და კმაყოფილება ეწერა. ფშვინავდა. რაფაელს უცებ მოუნდა, ფუნჯი ხელში აეღო და დაეხატა. რა უნდა დაეხატა, არ იცოდა, თუმცა რაღაც ძალა ექაჩებოდა. ვატიკანში შეღწევა მისთვის სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. მოიცვა კაპიუშონიანი ლაბადა და თავისი სამუშაო ოთახისკენ ბარბაცით გასწია. გზაში წარბშეკრული ფიქრობდა აქაურობის ცუდ გავლენაზე. თავის ოთახში შესული მიხვდა, რომ აქ ღამის საათებში არასდროს ყოფილა და სინათლის წყარო უნდა ეპოვნა. იქვე მდგარ კელიაში შევიდა სანთლის სათხოვნელად, თუმცა არავინ დახვდა და საკურთხეველთან მდგარ წითელი ფერის სანთლის შუშის შანდალს სტაცა გაბრაზებულმა ხელი. მოლბერტზე ახალი ტილო მიაფინა და დინჯად დაიწყო ბუზის დახატვა. ბუზი მკრთალ ყვითელ ფონზე განათავსა. შემდეგ ქვევით ღმერთის ხელის დახატვა დაიწყო, თუმცა მთვრალს ისეთი არ გამოუვიდა, როგორიც უნდოდა. ბუზი წაქცეულს და ცოტათი გასრესილს გავდა, ხოლო ხელი ნაცვლად სწორისა, სულ მთლად დაგვალული გამოუვიდა. მთელი ღამე შეალია ნახატს. სატანა დახატა. სატანას გადაგვარებული და გაგიჟებამდე დანებებული ორი დაცემული ანგელოზი ეხატა გვერდით. გათენებისკენ ემოციებისგან დაცლილმა და მთლიანად საღებავში ამოდღაბნილმა მიიძინა კიბეზე.

დილით ჯერ ორი თვალი გაახილა, მერე ორივე დახუჭა. ვიღაცას მისთვის ლაბადა მოეფარებინა. ქშინვა ამოუშვა და ის იყო, უნდა გაეზმორა, რომ გაახსენდა, სად იყო და რაც ხდებოდა მის თავს. შიშით გახედა მოლბერტს.

...რაფაელი საკუთარ თავს, თვალსა და რეალობას არ უჯერებდა. ნახატზე ორი ანგელოზის კომპანიაში ქრისტეს მსგავსი, ტანჯული მამამისი მისჩერებოდა. დაიბნა რაფაელი...

შალვა საბაშვილი

ნაურმალი

მრავლად ბრწყინავს ენის ბაღში იაგუნდი, ძოწი, ლალი,
რა ლამაზი, ბევრისმტევი სიტყვა არის „ნაურმალი“!
წარმოსთქვამ და
სადღაც შორეთს გადაჰყავხარ დროის ისარს,
ისევ ნახავ უნეტარეს, ძვირფას დღეებს ბავშვობისას.
მიჰყვებოდი გზას მინდვრისკენ,
სადღაც ჩიტი სტვენდა წყნარად,
იყო წყვილი ნაკვალევი, სად ურემმა ჩაიარა.
ზოგგან სწორად მიდიოდა,
ზოგგან ლამაზ რკალებს სწერდა,
ბევრი მზერა მიიზიდა, ბევრი თვალი ჩააშტერდა.
ის ლამაზ ფიქრს აღმიძრავდა, არ უბნობდა რამე ავზე,
ხან ბრწყინავდა, მაშინ, როცა
ნაწვიმრის წყლით იყო სავსე.
ან რამ უნდა დაგავიწყოს, ან რით უნდა დაიბინდოს,
მიჰყვებოდა გზას უწყვეტად,
უცხო ელფერს სძენდა მინდორს.
მიხაროდა მისი ნახვა, მეგზურივით ჩანდა ველად,
არც ძალა არ გეყოფოდა
მისთვის გვერდის ასავლელად.
და დატოვა შენს ხსოვნაში წარუშლელი მარად კვალი,
სადაც ბრწყინავს სამუდამოდ
უცხო სიტყვა „ნაურმალი“.

გაჰყვები ფოთლებს

ქარმა ფოთლები გაირეკა პატიმრებივით,
ცივი საღამო თითქმის მზაა ატირებისთვის.

უხეში ძალა ეულ ფოთლებს მიაფრიალებს,
რუს პირას ვამჩნევ მიმობნეულ მტვრიან ფიალებს.

ფრენენ ფოთლები, ვუმზერ, არრა გამომრჩენია,
ერთურთს უსწრებენ, მერე ერთურთს ჩამორჩებიან,

გულო, აცივდა, ან რა უნდა შენს დარწმუნებას,
თან ცივი ღამე ახლოვდება შემაძრწუნებლად.

უხეში ქარი არე-მარეს დაამტვრიანებს,
ფოთლებმაც ისევ კარუსელი დაატრიალეს.

ფიქრით ავსილი, გულნატკენი, სევდით ძლეული,
შენ ამ ქარიან საღამოსთან კვლავ ხარ ეული.

და გაიფიქრებ, მოგონებით ჟამთა მოვლისას,
რომ ცივი ქარი დღეს შენ გიტევს პირველყოვლისა.

არც შეშინდები, შენს თავიდან გასვლას გარისკავ,
გაჰყვები ფოთლებს, გატაცებულთ ცივი ქარისგან.

რომ ჩემი სული არასოდეს დამცროგბილიყო

ის ჩემი სულის ლურჯ ზეცაში ენთო მზესავით,
ჩემთა მზერათა მონუსხვად და გასახევებლად,
ჩემი მარადი აღტაცების თვისკენ მგეზავი,
სივრცის უთვალავ ჭიშკრებთან თუ გასახვევებთან.

ის გაზაფხულის ნეტარ სურნელს აფრქვევდა ხეთა,
მზიურ ლაჟვარდის ფრთებით გადანაფარ რტოებთან,
და ჩემს სამყაროს სიზმარეულ ჭიკჭიკად მწვეთავ
უსაზღვროების სამეფომდე აფართოებდა.

ჟამი ელავდა მწვერვალისკენ მავალ ბილიკად,
ხან მზიან დარშიც კრთოდა ელვა, შუქთა მკვესავი,
რომ ჩემი არსი არასოდეს დამცრობილიყო,
ის ჩემი სულის ლურჯ ზეცაში ენთო მზესავით.

რაც არაფერი ეგადა

ვიღაცას თავი ეჭირა
განძის მფლობელის დარად,
ეგონა, რაღაც მოსტაცეს —
გამოსულიყო შარად.
მივუხვდი — მოსჩვენებოდა
თვისი ხრიოკი ზვარად,
ისე გულდაგულ ჩიოდა —
ეჭვიც არ შეეპარათ.
თავის წამიერ ხუხულას
კოშკს ამსგავსებდა მარადს,
მსგავსი რომ არსად შეექმნათ,
არც მთაში, არცა ბარად.
თუმც არვინ ებრძოლებოდა,
ფიცარს იხმობდა ფარად,
ყველას უკვირდა, ეს შარი
რა ძალამ გადაჰყარათ.
ამუნათებდა მოშურნეთ,
წყევლას ატეხდა ზარად,
ეს ჩხირი გამოჩორკნილი
ჩამითვალეთო თარად.
ებრძოდა ქარის წისქვილებს,
ოფლი სდიოდა ღვარად,
არ იჯერებდა, რომ მისთვის
ხელიც არ დაეკარათ.
ამგვარი კაცის სიტყვები
ჩასაგდებია არად.
რაც არაფერი ებადა,
რა უნდა მოეპარათ?

წმინდა პოეზია

ბევრი რამე უახლესმა ხანამ დაასამარა,
დარჩა წმინდა პოეზია თავისთავის ამარა.

დატკბეს თვითონ, თუ ძლიერ სურს!
სხვა მას არვინ უყურებს,
ხალხმა წაღმა რაც არია, ახლა მასვე უკუ-რევს.

ლექსს ხორკლიანს,
მშრალს თუ უხეშს არც ვინ აუხირდება,
მაგრამ წმინდა პოეზია აღარავის სჭირდება.

ახლა რაღაც სხვისკენ უხმობთ ახალი ბუნიობა,
მოეწყინათ ნეტარ ხმების უცხო ღვთაებრიობა.

აღარ უნდათ უკვე ყოფნა ზეციურის მეზობლად,
აღარ ძალუძთ აიტანონ მისი უხარვეზობა.

სიდიადემ აღძრა გრძნობა უკმარ-უმყოფინების,
ახლა ცერად უყურებენ მფლობელს სრულყოფილების.

უნდათ რამე გადახრილი, არა კეთილშობილი,
აღარ უჩანთ ძვირფას განძად მარგალიტი წყობილი.

გაჩნდა ირგვლივ სხვა კერპები: დოვლათი და დიდება,
სჯერათ, ის, რაც მოიპოვეს, მუდამ ახლოს იდება.

ახლა რაღაც სხვა იზიდავთ — მძიმე და ხორციელი,
რით მოხიბლავს, რას გაანდობს შორეული ციალი?

იყოს თვისთვის, ანათებდეს გაელვებულ მხარეებს,
აქ მისდევენ თავის ნაღველს, თავის სიმწუხარეებს.

დასცქერს ყოველს მშვიდი მზერით
ზეცის ლურჯი კამარა,
დარჩა წმინდა პოეზია თავისთავის ამარა..

ყრუ ჟამში

აღარ გცალია ხეთა თეთრად გადასაპენტად,
ახალი ჟამი გაუგებარ, უცხო მიზანს შლის,
თანდათანობით ყოველივე გადასხვაფერდა,
აღარსად მოჩანს, რომ გიყვარდა, ის პეიზაჟი.
რაღაც უცნობი, უცნაური ხანა ჩამოდგა,
ურიცხვ სევდათა შემგროვები, შემმკვრივებელი,
ამბავთმთხრობელი სულ სხვანაირ წყობებს ამოთქვამს,
ძველ ქარიშხალთა დავიწყნია შერკინებები.
ვიცი, ამაზე ბევრად რუხი ხანაც დადგება,
სამყაროს, დაღლილს სხვა სატანა გადაიბირებს,
აგერ, მინდორი სპილოების ჯოგმა დატკეპნა,
ვრცელ ჭალიანში მარტორქებმა გადაირბინეს.
სივრცეს მოედვნენ უმძიმესი არსებითები,
აჭრიან ენას, მასში რაც ხალასი ზმნებია,
მომეტებულნი დასავიწყად თარსე მითები,
წაშალე სულში, რაც ძვირფასი დაგსიზმრებია.
ვერ აგებინებს ბრძენი მეფე ვერაფერს ვეზირს,
კარვები არ ჩანს, ყოველს ხუთავს პაპანაქება,
შეცბუნებულთა რომელ მხრისკენ აიღონ გეზი,
სად მოისურვონ ხელახალი დაბანაკება?
იყო აღთქმები, მაგრამ ყველამ დაკარგა ძალა.
იყვნენ მზეები, მაგრამ ყველამ დაკარგა შუქი,
შორი მწვერვალი ბურუსებში გადაიმალა,
შავი უფსკრული ამოჰყურებს კლდეების ყრუ ქიმს.
ოდესღაც მომხდურს ყველა დროშა გადაუხიე,
ახლა კი დუმხარ, თითქოს ყოველს დანაზავები,
ან სულაც გაჰქრნენ, ან საითღაც გადაუხვიეს,
მარადიულნი რომ გეგონა თანამგზავრები...

ისრები

ჟამმა საგანთ ჯგროც არია,
ვდუმვარ და დარდს აგრე ვიტან,
ფიქრი გასაოცარია —
ბოლავს ყველა ნანგრევიდან.

არ ვარ ყრუ ან შურიანი.,
უცხო კოშკის მოვწნავ კარებს,
სევდა უცნაური არი,
ყველა ტყიდან მოწანწკარებს.

ვერრას ვპოვებ მომმაგრებელს,
რაგინდ ბევრის შემძლებარი,
შორეთითაც მომაგნებენ
დანაკარგის შეგრძნებანი.

დაგვსვან ზვიად ნაიბადაც,
ვარდთა თანამოსაგრე ვართ,
ყოველივე დაიბადა
მხოლოდ წუხილთ მოსაგვრელად.

მათი პოვნა ისრე მინდა,
რაც დავკარგე მიყოვნებით...
ამოქრიან ისრები და
მესობიან მიყოლებით...

გაბატონდება უცხო წყვდიადი

ხუხულასავით დაინგრევა კოშკი ყოველი,
ვინაც ზეიმობს, შეიქმნება ოდეს მგლოველი,
წარმოუდგენლად დაძველდება სუყველა ხედი,
ყველაზე ნორჩიც — ცისკრის პირველ სხივთა მწოველი.
სამყაროს სუნთქვით გაფურჩქნილი არცერთი კორდი
ჟამს აულაგმველს არ გადურჩეს მოუძოველი,
ცხადად შეიგრძნობს
თვის უსაზღვრო გულუბრყვილობას
ფიქრი, საოცარ ოცნებათა მიწყივ მქსოველი.
ზაფხული გავა, ლაჟვარდოვან მთების კალთები
ვერ გადაურჩეს ზამთრის სევდას დაუთოველი,
გაბატონდება სამუდამოდ უცხო წყვდიადი,
უცხო შუქების მინათებას სადაც მოველი...

შორეთს ეძებს ყველა ცეცხლი

ხატავს ფერთა გამა ოვალს,
სულის ბადეს შვენის,
ყველაფერი ამაოა,
გარდა შუქთა ცვენის.

ბაკმი, წითლად დანაფენი
ბადებს ფიქრთა ღივებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრი არ აქვს არაფერი
  მას, რაც არ ასხივებს.

არ მოსულხარ გულგრილ სტუმრად,
  უცხო ბაღნარს ქარგავ,
ვერვინ ჰპოვოს, რაც უჩუმრად
  სადღაც ჩაიკარგა!

შორეთს ეძებს ყველა ცეცხლი,
  ყველა გზა და მხარე,
ისე ქვეყნად ვერას შეცვლი,
  თუ არ იელვარე.

მიმოფენა მზენაფერი
  გამოარჩევს ახოს,
მისთვის ჩნდება ყველაფერი —
  ყველამ დაინახოს!..

ვერ მომაგო ხანამ...

რაღაც, მძაფრად ხშული
ხმები ესმის ყურს,
დაიღალა სული,
დასვენება სურს.

მიჭირს ხედთა ცნობა,
სივრცე სევდას ქსოვს,
მიილია გრძნობა —
ახალ კაშკაშს მთხოვს.

გარინდების ნანა
მომთენთავად ჟღერს,
გადახუნდა ყანა,
ნატრობს საწყის ფერს.

კაეშანი მკვრივი
გადაჰღვრია ველს,
მოღლილ წუთთა მწკრივი
ითხოვს რაღაც მწველს.

რა შეიქმნას, სანამ
სულს მოწყენა ღლის?
ვერ მომაგო ხანამ
რაც მწყუროდა, ის.

გამოჩნდება არად

უცნაური სული...
საღაც ტბასთან შევდექ...
დამშვიდდება სული
ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ.

არ მოიტანს ნობათს
ცათა სიცისფერე,
გაცივდება გრძნობა
ხანგრძლივ წვათა მერე.

გადიქცევი მხატვრად
მთვარის შუქზე, ნამო,
განქარდება ნატვრა
ასრულების გამო.

შორ სიღრმეში წავალს
მოწოლილი ჯავრი,
მიატოვებს სავალს
დაქანცული მგზავრი.

გული, უკვე წყნარი,
მკერდს არ დაეკვრება,
ყვავილები მჭკნარი
მიწას დაეყრება.

სივრცე კრთება ლანდად,
სადღაც გვიხმობს შარა,
რაც ყველაფრად ჩანდა,
გამოჩნდება არად.

შედედდება წუხილი

უთვალავჯერ ჩავქრი და უთვალავჯერ აღვენთე,
ჩნდებოდა და ქრებოდა შორეული წვევა,
შედედდება წუხილი, დიდხანს ერთგან ნაღვენთი,
შემკვრივდება, თანდათან სულ სხვად გადიქცევა.

ყოვლისმხედო, შენ მუდამ ბნელ საფრიდან მიმზერდი,
რამ იმსხვერპლოს გული ან რა წამალმა არგოს?
შეიძლება განათდეს საბოლოო მიზეზი,
შეიძლება მარადის ბნელშიც ჩაიკარგოს.

მოჩანს შორი კარავი და ვინც ღამეს ათევს შიგ,
მახსოვს: დილა ნოემბრის რა განწირვით ცრიდა...
რა შემიყვანს ნეტავი სამუდამო ნათელში?
რა გამიყვანს ოდესმე წუთისოფლის წრიდან?

თეონა ბითაძე

როცა მიყვარდი

როცა მიყვარდი, ცის კაბადონზე
სულ სხვანაირად კრთოდა მნათობი
და მე ყველასთან ჩემს ოცნებაზე,
ჩვენს სიყვარულზე ვლაპარაკობდი.
მე შენ მიყვარდი
და თან თვალები
მიციმციმებდა მზესავით ერთობ,
ვიდექი გულის ღია კარებით
და მოლოდინის კოცონი მენთო,
მაგრამ, არ იქნა,
არ მოდიოდი
და უშენობა კედლებში გაჯდა.
არსად იყავი... ამას ვჩიოდი,
ამაოდ დამრჩა თმენა და გარჯა
და გავიზარდე. გულს დარჩა ნაი-
არევი და დრომ ვერ მოაშუშა.
მიდის მას შემდეგ ცხოვრება — წყალი,
ზოგი მიღიმის,
ზოგიც პირქუშად
ჩამივლის გვერდზე — მდორე მდინარე,
მოიღუშება ცაზე მნათობი
და ვხვდები, თურმე, ჩვენზე კი არა,
ჩ ე მ ს სიყვარულზე
ვლაპარაკობდი.

მოკვდა სიყვარული

მოკვდა სიყვარული, შენ რომ გაიმეტე,
გაქრა აღმაფრენა, ცაში ატყორცნილი.
აღარ გელოდები ღელვით აივანზე,
აღარც გულისპირი დამაქვს დაკოცნილი.
ჩაქრა ვარსკვლავები, თვალებს რომ შვენოდა,
გულს კი შემოუჩნდა ღელვა და გვალვები.
გაჯდა ნელა-ნელა სულში უშენობა:
ახლა ყოველ დილით სევდას ვესალმები.
გრძნობის ნახანძრალზე დავალ გარინდებით,
მხრებზე მასხდებიან დუმილის პეპლები.
შენ ხომ ღრმა საუბრებს სულ თავს არიდებდი
და ამ სიჩუმეში ნელა იფერფლები.

* * *

მზე ჩამოადნა პატარა ქალაქს,
უხმოდ ელავენ ბინდში ვარდები.
მე შენზე ნატვრა სათუთად დამაქვს,
თითქოს საცაა, შემიყვარდები.
გაცრეცილ ღრუბლებს აკლია შუქი —
შენი თვალების მშვიდი ნათება.
ვიღაცას ჩემი მოწყენა უკვირს,
თუმცა არ ვიცი, რას მემართლება.
გარეთ კი დიდი, ზორბა სახლები
ზანტად ახელენ თვალებს — დარაბებს,
ასე იწყება დილა, ბავშვები
ურევენ ოთახს, წეწენ კარადებს.
მე მახსენდები ნახევრად მძინარს
და, ყავით ხელში, გადავხსნი ფარდებს.
რა ლამაზია ყოფა და დილა,
როს შეიძლება ვინმეს უყვარდე.

* * *

როცა ქალაქში, გამთენიისას,
ერთხმად ამბობენ სათქმელს ჩიტები,
ყველა საფიქრალს გულთან მივიტან
და სწორედ ამ დროს, შემეშინდები.
ვინ იცის, ცდება გონება ჩემი,
როდესაც სხივად და მხსნელად გსახავს,
ან იქნებ ფუჭი ოცნება მშვენის,
რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც გნახავ.
ზოგჯერ გინატრებ გამთენიისას,
როცა გარშემო მთელ ქალაქს სძინავს,
შენი სახელი დასდევს თილისმად
ყველა გზას, ქუჩას თუ ფანჯრის მინას.
მე უკვე შეგრჩი უცნაურ დარდად,
გულის კუნჭულში გარბენილ ჩხვლეტად,
შენ გაიხსენებ, როგორ გიყვარდი,
მაგრამ ვერ ახსნი, რად არ ვართ ერთად.
ასეა, ყველა თავისას იბრძვის,
ყველას თავისი ტკივილი თელავს
და ღიმილს იფენს სახეზე სიმწრით:
არ შეუძლია ტირილი ყველას.
გამთენიისას გაკრთება ფრთხილი
შუქი. ხმაურიც ერევა ქუჩებს.
ფათურობს სულში ათასი ჩრჩილი,
მაგრამ ვერაფერს ვერ გვაკლებს, ურჩებს.
მზეს მოუყევი შენი გულისთქმა
და ჩაუკვირდი დაბინდულ ფანჯრებს,
ეგება მუქი ფარდების მიღმა
შენი ტკივილის საშველი ჩანდეს.

უძილობა

სველ ქუჩას სწრაფად გაივლის ღამით
გვიანი მძღოლი. თუნუქის ქილას
ბორბლებქვეშ გასრესს, შეაკრთობს წამით
გოგოს, რომელსაც ჯერაც არ სძინავს.

გარეთ ცოდვილობს აგვისტოს წვიმა,
ჰაერს აგრილებს და ვერც აგრილებს,
ფიქრობს გოგონა: სადამდე მივალ?
ან ყოფას ვინღა გამიადვილებს?

მშვიდად ბჟუტავენ ქუჩის დარაჯი
ლამპიონები და რა რთულია,
როცა არ გშველის არც ლაპარაკი,
როდესაც მზერაც დანისლულია.

როგორც ბორბლებზე ასხლეტილ თუნუქს,
როგორც წვიმაში მობუზულ კატას,
ისე უყურებ შენს თავს, გაწურულს,
სატკივარს ებრძვი, ნერვებს რომ ფატრავს.

თავისას ცდილობს აგვისტოს წვიმა,
თავის გზას მისდევს გვიანი მძღოლი.
ლამპიონებთან სველი გზა ბზინავს
და ფანჯრის მიღმა ათენებთ ორნი:

შენ და ტკივილი.

* * *

როცა გავყურებ ღამის ქალაქებს
და გული ღელვით ოდნავ ქანდება,
ფიქრებში შენთან ვილაპარაკებ
და სინამდვილეც ახმიანდება:
ცაზე გაბაცდა მსუქანი მთვარე
და ვარსკვლავები ფრთხილად ქრებიან.
ერთი შეხედვით რომ შეგიყვარე,
შენი თვალები მუდამ მხვდებიან
გზაში, ქუჩებში, ფანჯრებში, ფიქრში,
ყველგან შენა ხარ და თან არა ხარ.
სხვა რაღა დამრჩა: პოეტურ სტილში
უნდა ვწერო და თანაც თანახმა
ვიყო ერთადერთ შემოხედვაზე,
ჩემკენ სულ წამით გამოქცეულზე
და მეღვრებოდეს ეგ ციცქნა სითბო
მთელს თმაზე, მხრებზე, სულში, სხეულზე.
ნეტავ, რას მირჩევ, როგორ ვიკმარო,
ეგ სითბო როგორ გავანაწილო?
უეცრად მთელი გული გავითბო
და მერე სევდის ღვარი ვაწვიმო,
თუ გულის კედლებს ამოვაფარო
მუდმივ მცველად და მუდმივ მალამოდ,
გამოვიგონო ჩემი ზღაპარი,
რომ მეუბნები ტკბილად: სალამი
და მერე ძალზე დიდხანს ვსაუბრობთ
თან ყველაფერზე, თან არაფერზე:
ზოგჯერ მიწყრები, როცა ვხმაურობ,
ხან კი, პირიქით, თავად მაქეზებ...
ასე გავყურებ ღამით მუქ ფარდებს
და ტკბილი ღელვით ოდნავ ვქანდები.
მე ერთი ნახვით კი შემიყვარდი,
მაგრამ, ვერასდროს ავხმიანდები.

ცოტნე ავსაჯანიშვილი

ბალადა ლაგუნა ვერელზე

ლაგუნა ვერელი ძალიან ნერვიულობდა და მაგრად ჩასტეპლერებულ მზესუმზირის პაკეტს ეჯაჯგურებოდა. თქვენი ინოვატორი დედა ვატირეო, რა კაი იყო ადრე, ცელოფანში ან ქაღალდში რო ეყარა და ხელს რო ყოფდი, სრაზუ იღებდიო — ფიქრობდა ლაგუნა.

ლაგუნა ოთხმოცდათექვსმეტი წლის აგვისტოში, აჭარაში დაიბადა, როცა მამამისი წყლის საყიდლად იყო გასული, დედა კი ჩუმად ჭყუმპალაობდა ზღვაში, რადგან ქმარი ორსულ ცოლს ტალღებთან დაჯახებას უშლიდა. ლაგუნამ სარფში მუცლიდან გამოსვლა დაიწყო და საბოლოოდ ბათუმში დაიბადა. ბედნიერი მამა ექიმს გადაეხვია და სახელი ჰკითხა, აქაოდა ჩემ ვაჟკაცს იმის სახელი უნდა ერქვას, ვინც გამოაძვრინაო. ასე ეწოდა ბიჭუნას ასლანბეგი. დედას ძალიან უტყდებოდა მის ბიჭუნას ბანძი სახელი რომ ერქვა, მაგრამ ქმრის ეშინოდა და ხმას ვერ იღებდა. თბილისში დაბრუნებულმა კი პადრუგებს ახარა, ზღვაში რადგან გავაჩინე ლაგუნიკო, ლაგუნა დავარქვიო. მას შემდეგ ასლანბეგი თბილისელთათვის ლაგუნად მოინათლა და მხოლოდ მამიკო ეძახდა ბიჭუნას ასლანს, ორიათასოთხ წლამდე.

ლაგუნა ვერელმა მზესუმზირის პაკეტი გახსნა და ილიაუნის წინ დაბირჟავდა. გონებაში ეწეოდა იქ მყოფი სტუდენტების სელექციას. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ყველაზე უწყინარი იერის მქონე ტიპისთვის სიგარეტი გამოერთმია. პიჟონები ჩემნაირ ტიპს რო ხედავენ, იბნევიან და სრაზუ იძლევიან თამბაქოსო — ფიქრობდა ლაგუნა. ლაგუნას თავი გადაპარსული ჰქონდა და შავი სათვალე ეკეთა. ტანსაც შავი როლინგი და დუტის კურტკა უმშვენებდა. უკვე მეორე წელი იყო, რაც ილიაუნთან ბირჟაობდა — მას შემდეგ, რაც ფილოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს, ეთო ზაზარაშვილს, თავისი გოგო დაარქვა.

დღეს ლაგუნა ძალიან ნერვიულობდა. რაღაც ძალიან გლობალური უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში. ეთოს არავინ ეკითხებოდა, მაგრამ იქნებ გაეტრაკებინა?! მერე არ იცოდა, რა უნდა ექნა ლაგუნას. არადა, მტკიცედ ჰქონდა ეთოს ცოლად მოყვანა გადაწყვეტილი. წილი ნაყარიაო, ფიქრობდა ვერელი. ისე იყო დაბნეული, რომ პიჟონებისთვის სიგარეტის გამორთმევაც კი არ ახსენდებოდა. ეთო იგვიანებდა. ლაგუნა ლიგამუსში ავიდა და დროის გასაყვანად ენგრი ბირდსის თამაში დაიწყო.

* * *

ვის რა შავ ქვად უნდა ნაზიბროლას ყვავილები, როცა ქალაქი ისედაც ყვავილებს მიაქვს. ქალაქში, სადაც მკვდარზე მეტი ყვავილია, რთულია მეყვავილის ყოფა. თანაც იმ მეყვავილის, რომლის ასორტიმენტიც საკმაოდ უბადრუკია. ნაზიბროლასთან არასდროს მიდიოდნენ შეყვარებული ბიჭები, რადგან მათ სატრფოთათვის მაღაზიაში ნაყიდი ყვავილების მირთმევა უყვარდათ. ამაზე ძალიან ბრაზობდა ნაზიბროლა — მისი აზრით, არანაირი სხვაობა არ იყო მის ვარდებსა და ფირმა მაღაზიებში გამოჭენებულ ვარდებს შორის გარდა ორი სხვაობისა, რომელთაგანაც ერთი უმნიშვნელო იყო, მეორე კი ნაზიბროლას უწერდა პლიუსს. პირველი ის, რომ ის ვარდები გარემო პირობების წყალობით გვიან ჭკნებოდნენ; მეორე კი ის, რომ ნაზიბროლას ვარდები გაცილებით იაფი იყო. ნაზიბროლა ბრაზობდა, იწყევლებოდა და წიკვინებდა, აქ იყიდონ, მერე წყალში ჩადონ და ჩემებიც კაი ხანს არ დაჭკნებაო. ნაზიბროლა იმაზეც წუხდა, რომ ვენოკების აწყობა ეზარებოდა და ამის გამო პანაშვიდების ბიზნესსაც ვერ ითვისებდა. ნაზიბროლა ძალიან იყო გაბოროტებული წარუმატებლობის გამო და მუდმივად ალმაცერად უყურებდა მის სიახლოვეს მჯდარ მეპაპიროსე ბაბოს, რომელიც კონსპირაციულად ყიდდა სიგარეტს ღერებზე და დღის ბოლოს საკმაოდ დიდ თანხასაც უყრიდა თავს.

მეპაპიროსე ბაბოს უმუშევარი შვილი პაპიროსის გაყიდვას უშლიდა, თუმცა ბაბო იძახდა, თვითონ ჩემს შვილს დღეში ორი პაჩკა პარლამენტი უნდა და ფული კიდე არა აქო. თან მეუბნება, არ იმუშაო, თან დღეში ორ პაჩკა პარლამენტს მთხოვსო. ისე გამოდიოდა, რომ მეპაპიროსე ბაბო შვილისგან მალულად ყიდდა სიგარეტებს იმიტომ, რომ შვილისთვის სიგარეტი ეყიდა. მეპაპიროსე ბაბო დღის ორ საათზე მოდიოდა რუსთაველის პროსპექტზე და საღამოს ექვსამდე უწევდა კონსპირაციული შრომა ქალაქის იმ წერტილში, სადაც ყველაზე მეტი პოლიციელი დადიოდა. მეპაპიროსე ბაბო საკმაოდ შემოსავლიანი ქალბატონი გახლდათ და რთულიც იყო მის ასაკში ისეთი სამსახურის დატოვება, რომელიც თვის ბოლოს მის პენსიაზე სამჯერ მეტ შემოსავალს დებდა. მეპაპიროსე ბაბო უკან არ იხევდა, მიუხედავად შვილის და კანონის წინააღმდეგობისა. მეყვავილე ნაზიბროლას კი ძალიან შურდა მეპაპიროსე ბაბოს წარმატებული საქმიანობის.

* * *

ლაგუნა ვერელი და ეთო ზაზარაშვილი ფალიაშვილზე სეირნობდნენ. ეთოს არ უყვარდა ლაგუნა, მაგრამ კაი ტიპი ეგონა და მაინც უხაროდა ხოლმე მასთან ერთად ქუჩაში გამოჩენა. აქაოდა, გოგოები იტყვიან — ვა, ეთო ლაგუნჩიკასთან დვიჟენიობსო და შეშურდებათო. ლაგუნამ ილიაუნის

უკანა კართან რამდენიმე სიგარეტიანი ტიპი დალანდა, მაგრამ გოგოსთან ერთად იყო და გამორთმევა გაუტყდა. არადა ბოლოს ხუთი საათის წინ ჰქონდა გაბოლებული და ლომკა აწვალებდა. ეთოს მრგვალ ბაღთან ლაღიძეში უნდოდა შესვლა, გინდა თუ არა, მწყურიაო. ლაგუნას სიგარეტის ფული არ ჰქონდა, რა ლაღიძეზე იყო ლაპარაკი. მრგვალ ბაღთან რომ მივიდნენ, ეთო მაინც ლაღიძისკენ წავიდა, ლაგუნამ ვეღარაფერი მოიფიქრა და უხეშად ჩაავლო ხელი გოგონას. ეთოს უკვე წივილი რო უნდა მოერთო, მაგ დროს გახდა ლაგუნჩიკა ნაზი და გოგონა რბილად მიიკრა მკერდზე. ეთო დაიბნა, მაგრამ თან გაუსწორდა. ლაგუნა ფიქრობდა — მგონი გამოვძვერიო, რა ლაღიძეო, ისაო, ესაო... შეიძლება ფული თვითონ აქო ეთოსო, მარაო, ტეხავსო რა. გოგომ რა პონტში უნდა იკისროსო. სანამ ეთო ხელახლა დაიწყებდა ლაღიძეზე წუწუნს, ლაგუნამ ახალი გეგმა ჩართო. წამოდი ეხლა ჩემთან უბანშიო და მსოფლიოში ყველაზე მაგარ ადგილს გაჩვენებო. საბჭოთა კავშირში ნამყოფი ხარო? შანსი არ არი, ვერ იქნებიო. წამოდი საბჭოთა კავშირი უნდა გაჩვენოო.

ლაგუნჩიკას ძალიან უნდოდა მოეყოლა ეთოსთვის ის, რომ ყველა გოგო აღიზიანებდა. უფრო სწორედ ის გოგოები, ვინც მის მიმართ ინტერესს იჩენდნენ. ლაგუნჩიკას ისე ძალიან უნდოდა ეთო, რომ ფიქრობდა, სხვებს რა პონტში ვევასები, თავი დამანებონო. არ იტყუებოდა ლაგუნა. მართლაც ევასებოდა უამრავ გოგონას მისი ბრუტალური ბექგრაუნდის თუ კიდევ უამრავი ქვენა ხიბლის გამო. და მართლაც აღიზიანებდა ჭაბუკს მისდამი გამოხატული ინტერესები. ეთოს საკაიფოდ დასაკერად იქნებ ამეების მოყოლა კიდეც გამოსდგომოდა ვერელს, მაგრამ უტყდებოდა გოგოსთან გოგოებზე ჭორაობა.

მერე მიხაილ რიაზანოვთან ავიდნენ, იმ ბაითზე რომელსაც ლაგუნა საბჭოთა კავშირს ეძახდა. მიხაილი გიტარაზე უკრავდა რუსულ რომანსს და პერიოდულად ცრემლებს იმშრალებდა. მავანნი ამბობდნენ, მაგას სადღაც ძალიან ბევრი ფული აქვს დამალული, ოდესმე მაგ ფულით ოცნებას აიხდენს და პეტერბურგში წავა თეთრი ღამეების სანახავადო. პეტერბურგი მიხაილისთვის დაბადებიდან საოცნებო ადგილი იყო. ხშირად ესიზმრებოდა ერმიტაჟის წინ მდგომი ბელა ახმადულინა. მიხაილ რიაზანოვს სინამდვილეში ნიკო კუპატაძე ერქვა, მაგრამ მიხაილ ბოიარსკის და ელდარ რიაზანოვის შეერთებით მიღებული კომბინაცია დაირქვა. მიხაილ რიაზანოვი მარტო ცხოვრობდა. კედელზე ლენინის, მაშინა ვრემენის და ალისა ფრეინდლიხის პოსტერები ჰქონდა გაკრული. ამ სახლში დღისით სულ ვისოცკი ისმოდა. ღამით კი სლუჟებნი რომანი იყო ჩართული ვიდეოპრისტავკაში. მიხაილ რიაზანოვს ბავშვობიდან საბჭოთა კავშირში უნდოდა ცხოვრება და ბოლოს ისე ქნა, რომ დასახლდა კიდეც მიკრო საბჭოთა კავშირში.

ლაგუნა რომ შევიდა, მიხაილს გადაეხვია. მერე ყურში რაღაცა უთხრა და ამაზე მიხაილი რუსული აქცენტით აყვირდა — შენ მე ის ხო არ გგონივარო, რა ქვიაო? ჰო, შეწყალების და თუ მაწუშკა ტერეზაო. შენ რაღაცა სირობის კეთება მოგინდეს და მე მოგეხმაროო, ეგრე სად არიო?!

არადა ლაგუნამ იცოდა, რომ მოტაცებული ეთოს დასამალად ამაზე უკეთეს ადგილს ვერასდროს მონახავდა, იმიტომ, რომ აქ ეთოს ვერავინ ვერასდროს იპოვიდა. ეთო საბჭოთა კავშირში იქნებოდა, საბჭოთა კავშირი კიდე არ არსებობს. ანუ ეთო არსად არ იქნებოდა, მაგრამ ლაგუნასთვის იქნებოდა, მანამ, სანამ საჭირო რასკლადი არ დაჯდებოდა.

ლაგუნამ მიხაილის მოტყუება გადაწყვიტა. მე ამ ყველაფერს შენთვის ვაკეთებ, ჩემთვის კი არაო. შენაო, ვიციო, რო ცხოვრებაში შეყვარებული არ გყოლიაო. ისიც ვიციო, რომანტიკოსი რო ხარო და ყოველ ღამე ირონია სუდბის უყურებო. ვერ დამაბოლებო. მართლა იმიტო ჰო არ უყურებ, რო სავეცკიაო?! იმიტო უყურებო, რო სიყვარული და ამბებიაო. ჰოდა, ეს გოგო რო მომყავს, ჩემთვის კი არ მომყავსო. ეს გოგო შენიაო. შენზე გიჟდება ბავშვობიდან და ეხლაც ჩუმად იმიტოა, რომ რცხვენია რამე გითხრას, გამოგიტყდეს, გეარშიყოსო. ცოტა ხნით აქ დაიმალეთ, სანამ ამბავი ჩაწყნარდება და მერე ლენინგრადში ან სადმე მოხევთო. მიხაილი კანკალებდა. ყველაფერი სჯეროდა, რაც ესმოდა. უყურებდა ეთუნას და უკვე მზად იყო, სტალინური რეპრესიებისგანაც კი დაეცვა უსაყვარლესი გოგონა, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეპრესიებს ამართლებდა. ლაგუნა კარისკენ წავიდა. გასვლისას დაუბარა, ოღონდ მთავარი პირობა ის არი, სანამ მე არ დავბრუნდები, არაფერი ისეთი არ უქნაო. მიხაილს ამის თქმა არ სჭირდებოდა. მისთვის უპირველესად პლატონური გრძნობები იყო აღმაფრთოვანებელი. ეთოს კი ეგონა, რომ ლაგუნა ლაღიძის წყლების საყიდლად წავიდა და მალე დაბრუნდებოდა.

* * *

გვარდა კე ლუნაა, გვარდა კე მარეე, და კვესტა ნოტე, სენცა ტე ვორეი მორირეე... — ღიღინებდა მეყვავილე ნაზიბროლა და იხსენებდა მოხევე მეყვარებულს, რომელიც ნიშნობის სუფრიდან გაექცა ათასცხრაასოთხმოცდარვა წელს. მეყვავილე ნაზიბროლას მოხევესთან თეფშით მიჰქონდა ნიგვზიანი ბადრიჯანი. სასიძო კი, კარისკენ იწევდა — თქვენ რა ხალხი ხართ, სადაც ცხოვრობთ, იქვე ისაქმებთო. მოხევე პირველად იყო კორპუსის ბინაში. მაშინ ნაზიბროლას ოჯახი ხილიანზე ცხოვრობდა. მანამდე ნაზიბროლა ბედნიერი გოგონა იყო. მას შემდეგ კი, ყველაფერი აირია. საქმროც გაექცა, მამაც აღარ იყო ლიმონათის ცეხის გამგე და საქართველოც დამოუკიდებელი გახდა.

მეპაპიროსე ბაბო საოცრად ბედნიერი იყურებოდა წინ მიმავალი ჭაბუკებისკენ, რომლებმაც მისგან ოთხი ლარის შეხვეული თუთუნი იყიდეს. ჭაბუკებმა მადლობა რომ გადაუხადეს, ბაბომ დანანებით მიაძახა — რა მადლობა, სიკვდილსა ვყიდი, რათ ეწევით, შვილებოო. სინამდვილეში კიდე ძალიანაც უხაროდა, რო ესე მარტივად გაჭრა ორი დღის სამყოფი პურის ფული. გულში იძახდა, არაფრის ბაბოო, არაფრისო, მაგრამ ძალიანაც სცხვენოდა, ესე რომ უხაროდა, იმიტომ, რომ იმასაც მართლა ფიქრობდა, ამ ბალღებს ჯანმრთელობა რო ენგრევათ, მაგაში მეც ვარ დამნაშავე, როგორც სხვა მეპაპიროსე ბაბოებიო. მეპაპიროსე ბაბო არც მკვლელი იყო და არც ბოროტი ჯადოქარი ამეებზე რომ არ ეფიქრა და სინდისს არ შეეწუხებინა. ძალიანაც წუხდა და ძალიანაც სტკიოდა. მაგრამ ვერაფერს იზამდა, პოსტ-საბჭოთა სამოთხეში არსებული დაუწერელი კანონების გამო.

მეპაპიროსე ბაბოვ, შენ გიტირებ ქუდბედიან ყოფას, თუ ვარ ნაზიბროლა დულარიძეო — გამწარებული ჯუჯღუნებდა დაბოღმილი მეყვავილე. უკვე შესამჩნევად მიმჭკნარ, გაბანძებულ ტიტებს ნერვიულად უცვლიდა ადგილებს, თითქოს ამას რამე მნიშველობა ჰქონოდა. არავის ადარდებდა ქალიშვილად დაბერებული მეყვავილის გულისტკივილი. არც ის ადარდებდა არავის, მეყვავილეს სუნამოს ყიდვა რომ უნდოდა და ფულს რომ ვერ აგროვებდა. არც ის, მოხევე შეყვარებული ისევ საოცრად რომ ენატრებოდა და მის შავ-თეთრ ფოტოს სამ წუთში ერთხელ რომ ეფერებოდა. რატომღაც ისევ სჯეროდა, რომ ერთ დღეს მაინც გაჰყვებოდა ახმახ მთიელს კავკასიის უმაღლეს და ულამაზეს სოფელში, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორმოცდაცამეტი წლისა გახლდათ.

— ყველა ადვილად გაკეთებული თუმნიანი თუ ძმრად არ ამოგადინო, მე არ ვიყო ნაზიბროლა დულარიძე! — ემუქრებოდა მეპაპიროსეს დაბოღმილი მეყვავილე.

* * *

საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გიორგი ზაზარაშვილი გაშმაგებული ეძებდა ლაგუნა ვერელს, რომელიც ბოლოჯერ ნახეს მის დაკარგულ დასთან, ეთოსთან ერთად. კაცი იფიქრებდა, პოლიციელს ეთო ფეხებზედაც არა ჰკიდია, ლაგუნაა მაგის დაო. იმ მომენტიდან, რაც გაიგო, ეთო ვიღაცა ლაგუნამ წაიყვანაო, სულ იმას გაიძახოდა, ლაგუნა უნდა ვიპოვო და დავბრიდოო. ან ეს ლაგუნა რა სახელია, ბარემ ვერარეჩკა დაერქმიათო. გიორგი ზაზარაშვილს ის ადარდებდა, რომ გაბედეს, მისი და მოიპარეს და ამით თავზე დააჯვეს. თორე ის, რო ეთო მოტაცებული იყო და შეიძლება ვიღაცა მანიაკებს სადმე გამოქვაბულში ყავდათ დაბმული, მეორეხარისხოვანი იყო გიორგისთვის. მას შემდეგ, რაც ეთუნა ათი წლის გახდა, გიორგი პოლიციაში მუშაობდა და დას იმდენად იშვიათად ნახულობდა, შეიძლება ქუჩაში ვერ ეცნოთ ერთმანეთი. სადღაც გულის სიღრმეში ალბათ კი, მაგრამ მკვეთრად და გამოხატულად პოლიციელ ზაზარაშვილს არც უყვარდა დაიკო. საერთოდაც, გიორგი ზაზარაშვილი არავის მიმართ გამოირჩეოდა სენტიმენტალური დამოკიდებულებით, გარდა ზემდგომებისა. სანამ პოლიციის აკადემიას დაამთავრებდა, გიორგიმ ორჯერ სცადა იურიდიულზე ჩაბარება, მაგრამ ჯერ ზოგად უნარებში ჩაიჭრა, მერე ქართულში. მაშინ გააცნობიერა, რომ სამყაროში გონებრივ შესაძლებლობებზე ქმედითუნარიანი ფიზიკური ზემოქმედების უნარია. და იყენებდა ფიზიკურ შესა-

ძლებლობებს, რამდენადაც ამის საშუალებას მისთვის მინიჭებული, განსაზღვრული პრივილეგიები აძლევდა. ეთოს გაქროზიდან ორი დღის თავზე გიორგი ზაზარაშვილს ლაგუნას ყველა ძმაკაცი ნაცემი ჰყავდა. ორდერი არ ჰქონდა, მაგრამ ლამის ყველა ახლობლის სახლიც გადაუტრიალა ლაგუნჩიკას. საკვირველი იყო ის, რომ ვერაფრით მიაგნო იმ კაცს, რომელიც არსადაც გაქცეულა და კვლავაც უშიშრად დააბიჯებდა რუსთაველზე, სიტუაციის დალაგების და შემდგომ ქვეყნიდან ეთოსთან ერთად წასვლის იმედით.

* * *

ლაგუნა ვერელი აღარ აპირებდა ცოლის მოყვანას. გადაწყვიტა, ეთუნა უღირსი ქალი იყო და სულ რაღაც ათი წუთი დასჭირდა საიმისოდ, რომ საცოლე ფეხებზეც დაეკიდებინა. აღარც მივაკითხავ იმ ნაბოზარს, იჯდეს მინი საბჭოთა კავშირში და თუ ოდესმე გამოექცევა, გამოექცეს რიაზანოვს, თუარადა მაგის დედაც იქ ვატირეო. სანამ ამდენს და ასეთ რადიკალურებს იფიქრებდა, ლაგუნიკომ მზიურის ამფითეატრთან ცემაში გაასია და იქვე დააგდო ჰიპსტერი თედო, რომლისთვისაც არაერთხელ გამოურთმევია სიგარეტი ილიაუნის სიახლოვეს, თუმცა ეგ, რა თქმა უნდა, არ ახსოვდა. ვერელის მიერ ჰიპსტერი თედოს ცემას და საყვარელი ქალის შეზიზღებას ერთი მიზეზი ჰქონდა. ჰაბიტუსის და მელირების მიუხედავად, თედო გამბედავი ბიჭი აღმოჩნდა და პირდაპირ მიეჭრა ლაგუნას — შენ ხო არ უბერავო, ჩემი გოგო დააბრუნეო, სამი წელია შეყვარებულები ვართო. ვერელს თავიდან სასაცილოდაც არ ეყო თედოს გამოხტომა. ჯერ ერთი, ეგ შენი შეყვარებული ჩემი ცოლია უკვეო და ეგეც რო არ იყოს, რა შენი შეყვარებული, სხვა ბიჭი ბაღშიც კი არ მიკარებია ეთუნასო. მაგაზე ჰიპსტერმა თედომ გაიცინა და ლაგუნიკოს მთლად გაგიჟება გადაწყვიტა — ბაღში არ ვიცი, მარა ჩემთან სახლში არაერთხელ მივკარებივარო. თან იქ მივკარებივარ, რასაც შენ შიშვლად არასდროს განახებსო.

და აი, აქ გადაერაზა ლაგუნიკოს. თან ისიც იფიქრა, ეს ჩმორი ტყუილად ესე არ გარისკავდაო. ეტყობა მართლა იმასშვებოდნენ და ეხლა არ ეთმობა, ენატრება და ბედავს, რო გამიტრაკოსო. მოკლედ, სასიძომ დაიჯერა, რომ თედოს ეთუნა გაფორმებული ჰყავდა და ამის შემდეგ თავის გოგოს ბოზი დაარქვა. მერე თედო მზიურის ბილიკებზე ხელის კვრით ჩააგორა და წაქცეულს ზედვე მიაყოლა რამდენიმე წიხლი. ეს ქათმები და წაკლები ვის აბანძებდნენო, კბილებს აჭრაჭუნებდა გამწარებული ლაგუნიკო.

მერე რუსთაველისკენ დაეშვა სიგარეტის საყიდლად.

* * *

ხელებს იფშვნეტდა შპიონი მეყვავილე ნაზიბროლა. წუთები რჩებოდა მისი მზაკვრობის ასრულებამდე.

მეპაპიროსე ბაბო უსაქმური შვილის ბავშვობას იგონებდა ბედნიერი სახით და გახვეული თუთუნის პოტენციურ მუშტრებს ათვალიერებდა. ამას რა მოკლე კაბა აცვიაო — დაიჯღანა ერთ გოგოზე.

იჭყანე, იჭყანე, შე ჩათლახო ბებერო, ეხლა ნახე რა მოგივა, ეხლა ნახე... — ფიქრობდა ნაზიბროლა დულარიძე.

გაბოროტებული პოლიციელი გიორგი ზაზარაშვილი ისედაც დაუნდობელი ვინმე იყო. დის დაკარგვის შემდეგ კი საერთოდაც მხეცად გადაიქცა.

ლაგუნა არკაში შემოვიდა და მალე რუსთაველზე იქნებოდა. უკვე ფეხებზე ეკიდა ეთოც და თედოც, მაგრად უნდოდა თამბაქოს გაბოლება.

გაცხოველებული პოლიციელი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა სიგარეტით მოვაჭრე ქალბატონს.

მეყვავილე ნაზიბროლა ფეხზე წამოდგა, უკეთ რომ ეყურებინა სეირისთვის.

ლაგუნა ვერელმა ნაზიბროლას სწრაფი ნაბიჯით ჩაუქროლა და მეპაპიროსე ბაბოსთან მიიჭრა. სამი წითელი მარლბორო მაიტაო, აჰაა, ლარნახევარია კაკრაზო.

მეპაპიროსე ბაბოსთან მის დასარბევად მოვლინებული გიორგი ზაზარაშვილიც მიიჭრა...

* * *

— ეს ლენინგრადია ჩემო სიხარულო. ჩემი ოცნების და ჩვენი სიყვარულის დედაქალაქი. როგორც იქნა, ჩამოვედით. რატომ ტირი? კარგი რა... ვიცი რომ გიყვარვარ და აღიარების გრცხვენია. ნუღარ გრცხვენია. მე ისედაც ყველაფერი ვიცი. ნურაფრის გეშინია ეთუნა. მე შენთან ვარ და... მოიცა, გცივა? ახლავე მივალთ სასტუმროში. ნუ ტირი, გთხოვ... ანდაც იტირე, თუ გინდა. არავის უთქვამს, რომ ლენინგრადს ცრემლების არ სჯერა? — არ აჩერებდა ენას მიხაილ რიაზანოვი და ატირებული ეთუნას დამშვიდებას ცდილობდა.

— თუ ღამეა, ყველაფერს რატომ ვხედავ? — სლუკუნით იკითხა პეტერბურგში გაღვიძებულმა ეთუნა ზაზარაშვილმა, რომელსაც არასდროს არაფერი სმენოდა თეთრი ღამეების შესახებ.

ოლანი ბიწაძე

სტუმრები იასამნისფერ ოთახში

სახლში დედ-მამასთან, ერთ ძმასა და ორ დასთან ერთად ვცხოვრობდი. დედა ყოველ დილით მოდიოდა ჩვენს საწოლებთან და ხელის მსუბუქი შეხებით გვახსენებდა, ბავშვებო, სკოლაში წასვლის დროაო. ბევრს ვებუზღუნებოდით, მაგრამ მერე დედა ბრაზდებოდა და ჩვენც მისი გულის მოსაგებად სასწრაფოდ ვიღვიძებდით.

როცა სკოლიდან ვბრუნდებოდით, სუფრასთან შემწვარი კარტოფილით გამოტენილი პირებით ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით და ერთმანეთს ამბების მოყოლას არ ვაცლიდით. სამეცადინოდ ცალ-ცალკე ოთახებში ვიკეტებოდით, საიდანაც ერთდროულად გამოდიოდა ოთხი ხმა, რომელიც ხან ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს გამცნობდათ, ხანაც ნიუტონის კანონებს. გაკვეთილების მომზადებას რომ დავასრულებდით, ნელ-ნელა ვიკრიბებოდით ჩვენს იასამნისფერკედლებიან ოთახში, რომელსაც ორი დიდი ფანჯარა და მომღერალი კარი ჰქონდა. ყოველთვის, როცა ამ კარიდან ვინმე შემოდიოდა ან გარეთ გადიოდა, ისე უცნაურად ჭრიჭინებდა, რომ სიცილით ვიხოცებოდით. მაგრამ მერე მამამ კარი გამოცვალა და მისი „მუსიკალური კარიერაც“ წარსულს ჩაბარდა.

იასამნისფერკედლებიან ოთახში თავს მაშინაც კი კარგად ვგრძნობდით, როცა ცუდად ვიყავით, იმიტომ, რომ ერთმანეთი გვყავდა. კიდევ დედას გამომცხვარი უგემური ორცხობილები, ჩემი ძმის გიტარა, მამას წიგნები და უზარმაზარი ფანტაზია გვქონდა, რომლითაც ერთმანეთს ვართობდით. ზაფხულში იქ სულ გრილოდა, ზამთარში კი ისეთი სითბო იყო, რომ დაჩუტულ სავარძელში მოკალათებულს ჩემს უმცროს დებთან ერთად ჩამთვლემდა ხოლმე და მამას ხელით მივყავდით საწოლებამდე. სიზმარში ყველას მამას წაკითხული წიგნების პერსონაჟები გვესიზმრებოდა. ეს იქიდან ვიცი, რომ დილით სიზმრებსაც ვუზიარებდით ერთმანეთს, როგორი მოსაწყენიც უნდა ყოფილიყო.

ასე ვატარებდით საღამოებს უგემური ორცხობილების ჭამასა და გემრიელი ისტორიების მოსმენაში, მაგრამ მერე ჩვენს იასამნისფერკედლებიან ოთახში ვიღაც უცხოები გამოჩდნენ, რომელთა გამოც დედამ ორცხობილების ცხობა შეწყვიტა, ჩემმა დებმა კი ჩხუბი დაიწყეს. ეს „უცხოები“ სახლში მამამ დიდი ყუთით მოიყვანა, რომელიც რაღაც სადენებით შეაერთა ელექტროჩამრთველში და აღარ გამოურთავს. ისინი ძალიან ჰგავდნენ ნამდვილ ადამიანებს და ნამდვილებიც იყვნენ. ჩვენთან სტუმრად მოვიდნენ და დედაც, ყველა ზრდილობიანი დიასახლისივით, მათ გვერდიდან არ შორდებოდა. საქმე ისაა, რომ „სტუმრები“ გამუდმებით ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, დედა კი სულ მათ უყურებდა. მე ეს სტუმრები ძალიან არ მომწონდნენ, რადგან ჩვენი სახლიდან არასდროს წასულან. ასეთი საქციელი კი, როგორც ჩემი ძმა ამბობდა, უზრდელობაა.

შემდეგ კიდევ ვიღაც გაჩნდა ჩვენს, უფრო ზუსტად კი ჩემი ძმის ცხოვრებაში. მისი ახალი მეგობარი ძალიან, ძალიან პატარა იყო, ოთხკუთხედი სახე ჰქონდა და მუცელზე ციცქნა ღილაკები. ამ „მეგობრით“ ჩემი ძმა თავის სხვა, ოღონდ უფრო დიდ მეგობრებს ელაპარაკებოდა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მისი დახმარებით იღვიძებდა კიდეც. დედა აღარ შემოდიოდა დილით ჩვენს ოთახებში. ჩემი ძმის „მეგობარი“ რეკავდა სკოლის ზარივით და ჩვენც აღარავინ გვიჯავრდებოდა, თუ ადგომა დაგვეზარებოდა. ჰო, ჩემი ძმის „მეგობარი“ საერთოდ არაფერზე ბრაზობდა. თვითონ ჩემი ძმა კი ხშირად უყვიროდა, ხელებს უტყაპუნებდა და მამას სთხოვდა, ახალი მიყიდეო. სულ მიკვირდა, ნეტავ, მეგობრები რატომ უნდა ვიყიდოთ-მეთქი.

იასამნისფერი ოთახი ყველაზე ნაკლებად მაშინ გახდა იასამნისფერი ოთახი, როცა მრგვალ მაგიდაზე ოთხკუთხედი ორყურა შავი მოწყობილობა დავდეთ, რომელიც არაფრით იყო გამორჩეული, მაგრამ ყველაფერი შეცვალა. დედა უკვე მეტოქეების გარეშე ერთობოდა თავის „სტუმრებთან“, რომლებიც ხშირად იცვლებოდნენ, მაგრამ არ ქრებოდნენ და მაშინაც კი, როცა ტიროდნენ, სახე საერთოდ არ უსველდებოდათ. ჩემი ძმა გიტარაზე აღარ უკრავდა. ჩემი დები გამუდმებით ფოტოებს იღებდნენ და სხვა ადამიანებს ისე ათვალიერებინებდნენ, მათი ფოტოალბომში ჩაწებებაც არ სჭირდებოდათ. მამა მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებს სახლიდან გაუსვლელად თავისი გახუნებული მაისურით ესწრებოდა და ჩვენც სიზმრებში მისი წაკითხული წიგნების პერსონაჟებს ვეღარ ვნახულობდით. იმიტომ, რომ მამა წიგნებს აღარ გვიკითხავდა.

სულ მეგონა, ყველა ადამიანის ცხოვრება ყუთს ჰგავს, რომელიც გარეგნულად სხვებისთვის უინტერესოა, თუმცა მთავარია, შიგნით მყოფი არ ფიქრობდეს-მეთქი ასე. ჩვენი ყუთი იასამნისფერკედლებიანი ოთახი იყო და დიდი შეცდომა დავუშვით, როცა ის სხვებს გავუზიარეთ. თანაც ისე, რომ „სხვებმა“ ამის შესახებ არც კი იცოდნენ.

ადრე ყველა, ვინც მიყვარდა, იასამნისფერ ოთახში ჩემთან ერთად ცხოვრობდა. ახლა დედა ესპანეთშია პედრო გონსალესის მდიდრულ სახლში და ელოდება, როდის იპოვის პედრო თავის ერთადერთ შვილს, მაგრამ დედას საკუთარი შვილები დაავიწყდა. ახლა მამაც ესპანეთშია, ოღონდ ბარსელონას საფეხბურთო მოედანზე და უცხო ბიჭებს გულშემატკივრობს, ჩემს სასკოლო შეჯიბრებაზე მხარდასაჭერად მოსვლა კი გამორჩა. ახლა ჩემი დები პარიზის მოდის კვირეულს ადევნებენ თვალს ისე, რომ მათ ვერავინ ხედავს. ჩემი ძმა კი ხმამაღალ მელოდიებს ისე უსმენს, აღარ ახსოვს, თვითონაც რომ შეეძლო ერთ დროს სიმღერა და დაკვრა.

გულწრფელად რომ ვთქვა, ძალიან მომწყინდა აქ მარტო ჯდომა. დაჩუტული სავარძელი გამოვცვალეთ და წესით ახალი უფრო კომფორტული უნდა იყოს, თუმცა მე რატომღაც სხვანაირად მეჩვენება. მაინტერესებს, ჩემები რას ფიქრობენ ამაზე, მაგრამ აქ არ არიან და ვერ ვკითხავ. ვიცი, სად უნდა ვიპოვო ისინი, მაგრამ არ ვიცი, როგორ დავაბრუნო.

მგონი, ჩემი წასვლის დროა. ზუსტად ვერ გეტყვით, ესპანეთში წავალ, პარიზსა თუ ჩინეთში, თუმცა სადაც არ უნდა წავიდე, იასამნისფერკედლებიანი ოთახი არსად დამხვდება. სწორედ ამიტომ საკუთარ „ყუთებს“ გაუფრთხილდით და თუ ოჯახის დაკარგვა არ გინდათ, დაიმახსოვრეთ, სახლში ისეთი სტუმრები არ უნდა შეუშვათ, რომლებიც უკან არასდროს წავლენ, თქვენი ცხოვრებიდან კი მათ გამო ძალიან ბევრი ვიღაც წავა.

ოლანი ბიწაძე

უსახელო მდგმურები

ჩვენი ქუჩის ბოლოში ერთი ორსართულიანი სახლია. სახლის პირველ სართულზე ოჯახის მდგმურები ცხოვრობენ, მეორე სართული კი თავად მფლობელ ოჯახს უჭირავს. ოჯახს ვუწოდებ,თუმცა ოდნავ თამამი ნათქვამია ორად-ორი ადამიანის ფონზე, რომელთაც სამოცდაათს მიტანებული ქალი და მისი ორმოცი წლის ვაჟი შეადგენენ. ერთმანეთს იშვიათად თუ დაელაპარაკებიან. ქალისთვის შვილის ცხოვრება დიახაც რომ მნიშვნელოვანია, მაგრამ დიდი ხანია, მიხვდა, რომ მისთვის რაიმეს დაცდევინების ამაო მცდელობას სჯობს, დრო მეზობლების ჭორების მოსმენას დაუთმოს.

პირველი სართულის ერთი პატარა ოთახი არანაკლებ პატარა გამხდარ ახალგაზრდა ქალსა და მის ბიჭუნას უკავიათ. ბიჭუნამ იცის, რომ მამა სადღაც უცხო ქვეყანაში ჰყავს და გაიზრდება თუ არა, მასთან აუცილებლად შეძლებს წასვლას, თუმცა, სამაგიეროდ, მთელმა ქუჩამაც იცის, რომ ბიჭის დედა საზღვარგარეთ უცხო მამაკაცისგან დაფეხმძიმებული „ჩერჩეტი ბოზია“, რომელმაც შვილს მისი წარმომავლობის ხაზგასასმელად ჰუსეინი დაარქვა.

— ჰუსეინა! — გაჰკივის სახლის აივნიდან ოჯახის დიასახლისი და ამაყად ირგებს მდგმურებზე მზრუნავი ქალის როლს, რომელიც, მისი აზრით, ძალიან კარგად გამოსდის და უხდება.

— რა გინდათ, ნანი ბებო?! — ეკითხება თავმობეზრებული ჰუსეინა ზემოთაპყრობილი მწვანე თვალების უნდო მზერით და ხმის ტონზე ეტყობა, ქალი გულზე დიდად არ ეხატება.

— დროზე შემოდი სახლში! დედაშენს ნუ ანერვიულებ!

თუმცა ჰუსეინას მისი პასუხი უკვე ფეხებზე ჰკიდია. უბნის ბავშვებთან ერთად დაღმართზე გარბის და უკან კარგა ხანს არ ბრუნდება.

ჰუსეინას დედა დიაბეტითაა დაავადებული. გამუდმებით წამლებს სვამს და შიგადაშიგ ექიმსაც აკითხავს, ან თუ საქმე ძალიან გართულდა, სასწრაფოს ექიმები აკითხავენ და საავადმყოფოში ხმამაღალი სირენების ფონზე მიჰყავთ.

ჰუსეინამ იცის, რომ დედა ავად ჰყავს და რომ ამის გამო უბანში ყველას ეცოდება, ამიტომ მეგობრებთან ხშირად ამით მანიპულირებს და სასურველ შედეგსაც აღწევს.

— დედაჩემი კარგად რომ იყოს, ეგეთ მანქანას მეც კი მიყიდდა.

წამში მას უკვე ახალი სათამაშო აქვს.

— დედაჩემი ფულს წამლებში რომ არ ხარჯავდეს, ველოსიპედი მეც მეყოლებოდა...

და ჰუსეინა მთელ საღამოს დასეირნობს ერთ-ერთი თანატოლის ველოსიპედით.

— დედაჩემს რომ შეეძლოს, ნაყინებს ყოველ საღამოს მომიტანდა.

მალე ჰუსეინა ჯოხიანი ნაყინის შოკოლადს ენით უხეშად უწყებს ტლაკვას.

— აბა, რა ვქნა, ნანი დეიდა?.. — ყოველ დიალოგს ასე იწყებს ჰუსეინას დედა. მარჯვენა ხელი დოინჯად შემოურტყამს წელზე და ნელი ნაბიჯით მიმოდის წინ და უკან, — თავს მოვიკლავდი, მარა მერე ჰუსეინს ვინ უპატრონებს. კაციშვილი მიმხედავი არ ყავს... რა წყალში გადავვარდე, არ ვიცი. ამდენ რამეს რით ავუვიდე...

— მამამისიც არ გეხმარება, ხო? — ეკითხება უკვე მეასედ ქალბატონი ნანი და პასუხის მოლოდინში ისე იტრუნება, თითქოს წარმოდგენა არ აქვს, პასუხი რა იქნება.

— უი, უი! რად მინდა მაგის შეხმიანება. ნეტა სულაც ნუ გამოჩნდებოდეს... ჰუსეინ! — მოულოდნელად კივილს უწყებს შვილს, რომელიც რომელიღაც ბავშვის მიმართულებით ქვებს იშენს და იგინება:

— ფუ, შენი დედა მოვტყან! — ჰუსეინამ მსგავსი სიტყვები უბნის „ბირჟავიკებისგან“, ციცქნა ტელევიზორიდან და თანასკოლელებისგან ისწავლა. ქვების სროლა კი... ქვების სროლას რა დიდი სწავლა უნდა. როცა გეუბნებიან, „ყლე“ ხარო, შეტევაზე უნდა გადახვიდე. ასე შეტევა კი საუკეთესო გამოსავალია.

— ენას ამოგაძრობ, ჰუსეინ! — დედა თითს დემონსტრაციულად უქნევს და შემდეგ დიალოგს განაგრძობს ქალბატონ ნანისთან. ყოველ ჯერზე ერთი და იგივე მეორდება. დედის შენიშვნებს ბიჭი ყურად არ იღებს და რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ წითელი აგურის სახლამოფარებული განაგრძობს „თავდაცვას“.

— ეგ ისეთ ასაკშია, ახლა უნდა მამის ხელი და ჯანმრთელი დედის ყურადღება, — ნესტანი ნანის მეგობარი და მეზობელია, რომელსაც ლოთი ქმარი და უამრავი მდგმური ჰყავს. ეს მისი სახლის სიდიდის დამსახურებაა. თანაც მისი არც ერთი მდგმური პოტენციური მომაკვდავი არაა. თუმცა, რა იცი, რა ხდება? ამ კითხვით ნანი თავს იმშვიდებს ხშირად. საქმე ისაა, რომ მუდამ უნდა იცოდეს, რა ხდება.

— ეჰ, ჩემო ნესტან, რაც მე მაგას ვარიგებ და ვუჩიჩინებ, მაგრამ ესმის? არ ესმის. ძალიან თავხედი ბავშვია. დედამისი კიდევ... რა ვქნა, რა გავაკეთო, ძალიანაც ვიცი, რომ უჭირთ, მაგრამ. მეც ოჯახი მაქვს, მეც მინდა ორი კაპიკი, — ამის თქმისას თვალებს ისე კარკლავს, გეგონება, შიგ თვალის გუგებში ოქროები ამოუვიდაო. მერე კარის ხმა ესმის და აივნიდან სასწრაფოდ დაბლა იხედება.

— მოხვედი, დედა?

— საღამო მშვიდობისა! — ამბობს მისი ვაჟი და სახლში სამზარეულოს კარიდან შედის. ნესტანი და ნანი ცოტა ხნით ისე ხრიან მზერას, იფიქრებთ, ერთმანეთის, რაღაცის ან ვიღაცის ასე ერთბაშად შერცხვათო, მერე კი ისევ განაგრძობენ ჩვეული ტემპით საუბარს.

ქალბატონი ნანი არასდროს ყვება, ზუსტად რატომ ცხოვრობს მისი ორმოცი წლის შვილი ჯერაც მასთან, როცა მისი ცოლ-შვილი ავსტრალიაშია, უბანში საამისო მოსაზრებებიც არსებობს. ყველაზე გავრცელებული მაინც ისაა, რომ ნანიმ რძალი სახლიდან გააგდო, ხოლო ვაჟმა კი ნანის დატოვება მაინც ვერ გაბედა. მას შემდეგ შვილი დედას თავის არც ერთ საქმეში აღარ რევს, რა თქმა უნდა, საუზმისა და ვახშმის მენიუს გარდა. ნანი სულ ცდილობს, შვილს გემრიელი კერძებით ასიამოვნოს, არც ბაზარში სიარული ეზარება და არც სახლის კართან მოსულ გამყიდველებთან ვაჭრობა.

ვახშმის შემდეგ ქალბატონი ნანის ვაჟი თავის საძინებელ ოთახში მიდის და დაძინებამდე უყურებს ნებისმიერ არხზე აღმოჩენილ ნებისმიერ საფეხბურთო მატჩს.

— ქალბატონო ნანი, ფულს ამ დღეებში გადაგიხდით...

— უყურე ერთი ამას ახლა! — ნანის მთელი სახე ეჭიმება და გაღიმებას თავაზიანობის გამოც კი არ ცდილობს.

— სოციალური დახმარების თანხა სულ წამლებში დამეხარჯა.

— მერედა, ამ დღეებში რა, ახალი დახმარება მოვა? — ქალი ალმაცერად იყურება.

— არა, არა. დედაჩემი გამომიგზავნის, — თვალებში იმედის ნაპერწკალივით უელავს რაღაც, — მაპატიეთ რა, დიდი ბოდიში.

— მე კი გაპატიებ, ჩემო კარგო, მაგრამ საქმეს ასე არ გამოადგება, — ნანი შიგნით შედის და ამით ანიშნებს, დიალოგი დამთავრდაო.

მეორე დღეს, როცა ჰუსეინას დედას ბინის ქირა აქვს, ქალბატონი ნანი ყავასაც კი უდუღებს და ჭორაობასაც არ ზარდება. თუმცა მოულოდნელად უსიამოვნო ცნობას იგებს.

— მე და ჰუსეინა თვის ბოლოს გადავალთ, — ნანი ცდილობს, არ შეიმჩნიოს თავსდაცემული ელდა და უბრალოდ კითხვას სვამს:

— სად?

— აბა, მე რა ვიცი, ნანი დეიდა. შეიძლება, სულაც სოფელში წავიდე დედაჩემთან.

— შვილო, სოფელში ყოფნა გამოადგება შენს მდგომარეობას?

— არც აქ ყოფნა ადგება, — ქალი თავს აქნევს, — ისედაც ფულს ტყუილად ვხარჯავ...

— მერე ბავშვი?

— სკოლაში ყველგან მიიღებენ, არ მიიღებენ და მეორე კლასის პროგრამას მეც კი ვასწავლი... — ცოტა ხნით სიჩუმეა. ნანიმ იცის, რომ რამე უნდა თქვას, ისიც იცის, რა უნდა თქვას, თუმცა დიდად არ ეხალისება. ბოლოს ხვდება, რომ უკეთესი დრო აღარ ექნება და ბედავს:

— თუ ეს გუშინდელის გამოა, საწყენად არ მითქ...

— როგორ გეკადრებათ, ნანი დეიდა! — აწყვეტინებს სასწრაფოდ, — განა მე ვერ ვხვდები, რამხელა სიკეთეს გვიკეთებთ? უბრალოდ, დიდი ხანია, ვფიქრობდი და ახლა გადავწყვიტე.

— ნუ, თუ ასეა... — ნანი ხელებს რაღაცნაირად შლის და არც ახლა იღიმება. კიდევ ლაპარაკობენ მანამ, სანამ ჰუსეინას დედა ქვემოთ დასაძინებლად არ ჩავა და მერე თხუთმეტ წუთში ყვირილს არ ატეხავს დახმარების მოლოდინში. ქალბატონი ნანი სასწრაფოს გამოიძახებს და მომაკვდავს საავადმყოფოში გადაიყვანენ. ექიმები თავებს ისე გადააქნევენ, თითქოს უკვე სამგლოვიარო პროცესიას მიაცილებენ. ქალბატონი ნანი ცოტა ხნით იმდენად იყო დაბნეული, რომ როცა ანკეტის შესავსებად სახელი ჰკითხეს, ვერც ჰუსეინას დედის და ვერც თავად ჰუსეინას სახელი ვერ გაიხსენა.

არ ვიცი, ზუსტად რა დაემართა იმ დღეს ჰუსეინას დედას, თუმცა სანამ მისი ცხედრის მოსვენებით მისი გარდაცვალების ამბავს გავიგებდი, უბნის ბავშვების დიალოგს მოვკარი ყური.

— შენ დებილი ხარ? ჰუსეინას არაფერი უნდა ვუთხრათ!.. — ოდნავ მაღალი ბიჭი მასზე დაბალს ზემოდან უყურებს და ხმამაღლა ეჩხუბება.

— რატო?

— რა რატო, კაი იქნება, შენ რო გითხრან, დედაშენი მოკვდაო? — ბიჭი ხმას არ იღებს, — შენი აზრით, ჰუსეინა ბევრს იტირებს ისე? — მიუბრუნდა მერე იქვე მდგარ გოგოს, — მე რო დედაჩემი მომიკვდეს, ხუთი დღე სულ ვიტირებდი, — ამას თავმომწონედ ამბობს. ისიც შვიდირვა წლისა თუ იქნება.

— მე...მე... — იწყებს დაბალი ბიჭი, — მე რო დედა მომიკვდეს, ხუთ თვეს ვიტირებ.

— რა სულელი ხარ, ხუთ თვეს ვერ იტირებ... მაგდენი ცრემლი არაა... — ბავშვები კამათს აგრძელებდნენ, მე კი მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ნეტავ ჰუსეინა მართლა როგორ მიიღებდა ამ ამბავს?

მიცვალებული ჯერ ქალბატონი ნანის სახლში მიასვენეს ერთი დღით, მეორე დღეს კი სოფელში წაიყვანეს ჯერ პანაშვიდებისთვის, შემდეგ დასაკრძალად. სანამ წაასვენებდნენ, ეზოდან დავინახე, ჰუსეინა კართან ქალბატონ ნესტანთან ერთად იდგა და მწვანე თვალებს კიდევ უფრო ამაყად აბრიალებდა. შეიძლება იყო კიდეც რაღაც დიდი მწუხარების მსგავსი ამ თვალებში, მაგრამ პირველი რაც გამახსენდა, პატარა ბიჭის ფრაზა იყო: „მაგდენი ცრემლი არაა...“

ამბობდნენ, ჰუსეინა სოფელში წაიყვანა ბებიამ გასაზრდელადო. მგონი, იმასაც მოვკარი ყური, რომ ქალბატონმა ნანიმ ქელეხში ოთხმოცი ლარი მიიტანა. ზუსტად იმდენი, რამდენიც მისი გაქირავებული ოთახი ერთი თვით ღირდა.

დებიუტი

დაჩი ახვლედიანი

უბრალოდ ვალსი უნდა იცეკვო

06:03. ჯერ ისევ სიბნელეა. ღამის ბურანი და ახალი დღის მოლოდინი ებრძვიან ერთმანეთს ჩემში. ამ ბოლო დროს ღამეს უფრო დავუმუღამე, ყოველთვის მოთმინებით მისმენს და არც იმაზე მიჭედავს, მაგარი უსუსური ტიპივით რო ვერ ვგუობ არისტოკრატთა ღაღადს. სწორედ ამიტომ ღამემ ეგრევე ჩაანაცვლა ხანდახან ძალიან მაგარი, ხანდახან კი მეოცნებე დღის სინათლე. მე კი მის მესინჯერში დავიწყე პირდაპირ წერა, არ ვიცი, რატომ, მარა ვიფიქრე, რო ასე უფრო მარტივია, რაღაცნაირად მასთან ახლოს ვგრძნობ თავს და ეს მიმარტივებს წერაზე კონცენტრირებას. ხან ჩემთვის მეკეტება, აძინოკი რომეო ვიჩითები. ხან მიყურებს, რაღაცნაირად და მარტო აღარ ვარ მერე. ნუ, კი ვიძახი, რო დარხეული მაქ, მარა სადღაც გულის სიღრმეში მაინც შემომრჩა იმედი.

ჰოდა, დავიწყებ... მოკლედ, უნივერსტეტში ვარ. თსუს საბჭოთა კორპუსია. მეექვსეს, ან სოც-პოლების კორპუსს ეძახიან. მაგისტრატურაზე ვსწავლობ და გვიან მეწყება ლექციები. სამსახური კი არ იშოვება ამ ქვეყანაში, მარა მაინც გათვალისწინებულია ადმინისტრაციის მიერ, რო თუ გაგიმართლა და მუშაობ, სწავლამ ხელი არ შეგიშალოს. ვცდილობ, კარგად ვისწავლო და სტიპენდია დავიადო, რომელიც რაღაც ნაწილს მაინც დაფარავს ჩემ მოკრძალებულ ცხოვრებაში. ან ბინის ქირას მოხოდავს, ან ლუდს ვიყიდი და დაბალ ფენებში შევექცევი განცხრომას. მოკლედ, შევუყევი ისევ და გავაგრძელებ იმ თემას, რაზეც გადავწყვიტე წერა.

ლექცია მიიწურა. დაახლოებით ერთი თვის წინანდელ ამბავს გიყვებით. მეორე ლექცია რვაზე იყო. დამირეკა ჩემმა მეგობარმა და მეკითხება — „დაჩი, როგორ ხარ, ცუდ დროს ხო არ გირეკავ?“ ვუთხარი, რო მე სულ მცალია. ჩემგან განსხვავებით მას ხანდახან არ სცალია. სრაზუ მომიჭრა — მოკლედ ბაქოში არი კინოფესტივალიო, 5 დღიანი. არც გასაუბრება გიწევსო, არც არაფერიო. საშენო პროექტიაო და ვიცი, რო თავს გაართმევო. ნუ ეს პროექტებიც დიდად არ მიზიდავს, მაგრამ ხელმოცარული სტუდენტისთვის, რომელსაც ვოიაჟები და თავგადასავლები ევასება, რატომაც არა?! თუ სრული დაფინანსებაა, ბოლობოლო სნაირედებზე ხო არ მივდიოდი სპარტაკასთან ერთად.

რომ ვთქვა, ბოჰემური ცხოვრება მქონდა-მეთქი, ეგრე არ არი. ბაქოს ვოიაჟამდე ჩვეულებრივი ცხოვრება მქონდა. ხანდახან არც ისე ჩვეულერივი, მარა მაინც არაფრით გამორჩეული. სწავლა და ძმაკაცები. არც ისე ბევრი, მაგრამ ნაღდები. ძმაკაცები და ჩემი ოჯახი ენგურს გაღმა. იქაურობას „ოკუპირებულ აფხაზეთს“ ეძახიან, ხან „აფხაზეთი ჩვენი ტკივილით“ მოიხსენიებენ. მამაჩემს არ უყვარს დიდად გრძნობების რახარუხი, მარა არც ისე მკაცრია. მოკლედ, ჯიგარი გულიანი კაცია, რომელიც ხან იმაზე დარდობს, რატო არ იბრძოლა აფხაზეთის ომში, ხან კი იძახის — რო მებრძოლა, აქ ვერ გაიზრდებოდიო. მე კიდე ჩემს დამწვარ სახლს ვის დავუტოვებდიო. მაგას არ უყვარს დიდად დღეში ხუთასჯერ მოკითხვები და ჭკუის დარიგებები. დედაჩემი კი ნამდვილად მებრძოლია და უეჭველი ვიცი, რო ყოველ დილას ჩემზე ლოცვით იწყებს. ბევრ რამეზე შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, როგორ ვარ.

გერმანელი არა, აფხაზი ბებია მყავდა, მაგრამ გერმანული პუნქტუალობა მიყვარს. ხანდახან ასევე მაგარი ეკონომიური ტიპი ვარ და გადავწყვიტე, თბილისის აეროპორტამდე ავტობუსს გავყოლოდი. მამენტ, როკფელერი რო ვიყო, თეთრი ტაქსითაც წავიდოდი. როგორც აღმოჩნდა, პირველი მე მივედი დილის 10-ზე აეროპორტში. მანამდე გაგონილი მქონდა, ახალი ავტობუსი ნებისმიერი გელიკზე სწრაფად მოძრაობს სიცოცხლით სავსე ქალაქშიო... გაფრენის დღეს ნამდვილად დავრწმუნდი ამაში.

ცოტახანში დანარჩენი მონაწილეებიც მოვიდნენ. მათ დიალოგს მოვკარი ყური, რო ერთი მონაწილე გოგონა ამწუთას გააღვიძეს და მას ელოდნენ. მანამდე რეგისტრაცია გავიარე და უკვე ჩასხდომის მოლოდნში, ეს ქერა გოგონაც გამოჩნდა. ვერ ვიტყვი, რო პეპლებმა დაიწყეს მუცელში ფრენა, მარა თვალი გავაყოლე. მერე გამახსენდა, რო ჩვენთან მაგაზე ჯარიმაა და თავი ხელში ავიყვანე. დილის შეგონება შემოვძახე ჩემს თავს — „როკფელერი არ ხარ, ხო არ დაგავიწყდა?!“

ქერა გრძელი თმა, გრძელი ფეხები და თვალები, რომელიც მართლა მიყვარდა უკვე. არც ისე ხალისიანად იყო ეს გოგონა.

მოკლედ, თბილისიდან ბაქომდე საათი და 20 წუთის გზაა, მე კიდე დასტოინი ტიპობაზე პრეტენზიის მქონე ვზივარ თვითმფრინავში, თვალები ნახევრად დახუჭული მაქვს და მისკენ ვიხედები. წნევა თვითმფრინავის გასწორების მერეც ვერ დამირეგულირდა. ბაქომდე ისე ჩავფრინდით, რომ იმ ბეჭედზე ვფიქრობდი, რომელიც ხელზე ეკეთა. ნიშნობის არ იქნებოდა, ამაზე თავს ვდებდი. ალბათ ძალიან ლამაზია და ტვინი რო არ გაუბურღონ გრუზინებმა (ჩვენთან ხომ ლიჟბი ქერა იყოს და უეჭველი დაიკერება)...

ფანჯრიდან მშვენიერი ხედი იყო — ჩემგან მარცხნივ. ჩემგან მარჯვნივ კი გოგონა, რომელმაც ამაფორიაქა და რომელსაც ასე ლამაზად ეძინა. ანგელოზი და ბანალური სიტყვების ხმარება არ მიყვარდა, მაგრამ უცებ ეგ სიტყვა მომაფიქრდა, მას რო ვუყურებდი. მანდ უკვე მიყვარდა. მაგრამ ერთი ნახვით შეყვარებებზე იმდენი მიღადავია ეს წლები, რო ამის აღიარება ჩემს თავთანაც კი გამიტყდა. ჩანთაში ჩე გევარას წიგნი მეგდო. მისი ბიოგრაფია ძაან ადრე მქონდა წაკითხული. მე-7 კლასში ვიყავი, მასზე რო გავიგე უბანში. ერთი ძველი ბიჭი იყო, ისპალნიტელი და სპრავედლივი კოსტა. ჰოდა, კოსტამ მითხრა ერთ დღეს უბანში, რა იყო, ბიჭო, ჩე გევარა ხო არა ხარ, რა რევოლუცია მოგიწყვია სკოლაშიო. კოსტას პათოსი არ შევიმჩნიე, მარა მაგ დღიდან ჩეზე ბევრი რამ წავიკითხე. ბაქოში წამოსვლამდე კი მეგობარმა ჩეს აქამდე უცნობ სასიყვარულო ინტრიგებზე მაჩუქა წიგნი. მეც თეთრი ღრუბლები როგორც გამოჩნდა, ძერსკი დარბაისელივით გავჩითე ეს წიგნი. ბაქოში ჩაფრენის მერე მივხვდი, რო წიგნი პროსტა მეჭირა ხელში, თვალები კიდე გოგოს მიშტერებოდა.

ამასობაში სხვა ენერგიას ვგრძნობდი და წინა ღამის უძილოც რო ვიყავი, ეგეც კი მიმავიწყდა. აქამდე თავი მაგარი ტიპი მეგონა და მარტივად ვახერხებდი კომუნიკაციაში შესვლას, ახლა ნამდვილად ვერ ვიყავი ხოდზე. ის ჩემს წინ მიდიოდა, მე კიდე მივყვებოდი და ვფიქრობდი, რა თემა უნდა გამეჩითა მასთან კონტაქტში შესასვლელად.

სიყვარული ვალსის ცეკვას გავს. შეგიძლია, თვალები დახუჭო, იგრძნო პარტნიორი და ყოველგვარი ზებუნებრივი ნიჭის გარეშე იცეკვო.

თვალდახუჭულმა უბრალოდ დაწყების წამი უნდა იგრძნო, მისი სურნელიც უნდა შეიგრძნო და როცა დადგება ბოლო ილეთის დრო, ხელი არ უნდა გაუშვა. უბრალოდ, ძალიან მაგრად უნდა ჩასჭიდო ხელი და დაიჭირო წამი.

გასასვლელში ულვაშიანი ტიპები სქელი წარბებითა და უკმეხი გამოხედვით ამოწმებდნენ ჩვენს პასპორტებს. ვფიქრობდი, გოგლიკო მაინც ვიყო, რო მეკაიფა ამათზე, მარა ეგეც არ წამადგებოდა დიდად... პასპორტში სომხეთის ბეჭედი მერტყა. აქ კიდე ეგ მაგარი პრობლემა იყო. ის გოგონა იდგა წყნარად და ისევ მოწყენილი იყო. ხანდახან გაიცინებდა, ხანდახან მისი ყურადღების ღირსიც კი ვხდებოდი და ჩვენი მზერა მაგნიტივით იზიდავდა ერთურთს. მიღიმოდა კიდეც, მაგრამ ღიმილშიც სევდა იგრძნობოდა. მელანქოლიკ პოეტს ნამდვილად არ გავდა. ისინი ხო ყველაფერზე სწუხან და უბრალოდ მიზეზს ეძებენ, ბედნიერები რო არ იყვნენ. ტკივილისაც შეუძლია ბედნიერებაზე არანაკლებ სხვა სამყაროში გამოგზაუროს და წერო, მხოლოდ წერო. რომ გაიღვიძებ, შეიძლება ეს სამყარო აღარ დაგხვდეს, მაგრამ დაგხვდება ნაწერი და ტკივილიც, რა თქმა უნდა. აქ სხვა რამე ხდებოდა უეჭველად, მისი თვალები კი ძალიან ღრმა და სავსე იყო.

ხშირად ადამიანები იქ პოულობენ მნიშვნელოვან წერტილს, სადაც არ ელოდებიან. მეც ცოტა ავღელდი და ჩემი თავის გამკვირვებოდა. არასდროს მქონია პრობლემა ადამიანებთან ურთიერთობისა.

ცოტა ხანი რიგში დგომით გავლიეთ, მერე მოვიკრიბე გამბედაობა, მივედი და იმდენ რამეზე ვესაუბრე, რო აღარც გავჩერდი, უცნაური კი ის იყო, რო რასაც მპასუხობდა, ვერ ვიმახსოვრებდი. თითქოს ისიც არ მაინტერესებდა, რა კითხვასაც ვუსვამდი. უბრალოდ მთავარი ის იყო, რომ მასთან ახლოს ვიყავი. მაგრამ თითქოს აფხაზურმა და სვანურმა სიჯიუტემ ერთად გაიღვიძა ჩემში და მაინც არ ვაღიარებდი საკუთარ თავთან, რომ ამ ქერა გოგომ ისე ამიჩქარა გული...

აეროპორტიდან გასვლისას გამარჯვებას ვზეიმობდი. გავიცანი და ისეთი ტრიუმფით გავედი შენობიდან, რომ გასასვლელთან წარწერებით მდგომი ხალხი ჩემი ფანკლუბის წევრებიც კი მეგონა. ისეთი კმაყოფილი ვიყავი, თავად ჩეც არ იქნებოდა კუბის რევოლუციის შემდეგ ესეთ აღმატებით ხარისხში...

ბედნიერება წვრილმანებშიც კი არა, ბედნიერება იმ წამებშია, რომლებსაც ვერ ვგრძნობთ. იმ წამებში, რომლებიც არასდროს დასრულდება. თან დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ და გვგონია, რომ ბევრად უკეთესი გველის წინ...

ამბიციური ტიპი არ ვარ და ვერ ვიტყვი, რომ რაღაც განსაკუთრებული ნიჭით ვარ დაჯილდოვებული და იმიტომ მომაქვს თავი მწერლად, არა, უბრალოდ, ემოციების გადმოცემა შემიძლია. ღამღამობით, როცა თავი მარტო მეგულება, სამყაროს კუთხეში მიმწყვდეული, თავისუფლების გასაღები წერა მგონია.

ერთი ის არ იცვლებოდა, რომ ყოველ დილით მაღვიძარას ნაცვლად, მოლას ხმა მაღვიძებდა, რომელიც მთელ ბაქოში ისმოდა. მეორე კი ის, რომ გაღვიძებისთანავე მახსენდებოდა გოგონა, რომლის ბეჭედიც მაგრა მჭრიდა. თუმცა ჩვენი სიმღერა უკვე ჩართული იყო, ჩვენ ვალსი უნდა გვეცეკვა, ვენის დარბაზში თუ არა, ბაქოს სანაპიროზე მაინც. არავინ იცის, წინასწარ რომელია მისი ბოლო ცეკვა, თუმცა ყველას გვახსოვს ჩვენი პირველი ვალსი. ჰოდა, ეს ჩემი პირველი ვალსი იყო.

მთელი დღე რა აღარ მოხდა, თუმცა მხოლოდ მას ვუყურებდი. ჩემს გვერდით იჯდა და მაინც მენატრებოდა. მთელი დღე უბრალოდ ვუყურებდი. საღამოს კი ხელი ჩამკიდა და მაგრად ჩავკიდე მეც. მეგონა, აღარ გავუშვებდი. მეგონა, სულ ასეთი ძლიერი ვიქნებოდი. ის კი ნამდვილად აღარ მიფიქრია, რომ ოდესმე ისე მარტივად გამიშვებდა ის ხელი, რომელიც ასე ძლიერ ცდილობდა ჩემს დაჭერას. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ სანამ გამიშვებდა, უფრო ძლიერად ჩამკიდებდა ხელებს.

არაა საჭირო ნობელის პრემიის ლაურეატობა მშვიდობის ან ფიზიკა-მათემატიკის დარგში. არაა აუცილებელი ჰოლივუდის ან ბოლივუდის ვარსკვლავი იყო და ყველაზე მთავარი... არაა აუცილებელი როკფელერობა. უბრალოდ, როცა შენი სიმღერა ჩაირთვება, ვალსი უნდა იცეკვო...

ცნობილი ლიეტუველი მწერალი გასპარას ალექსა დაიბადა 1945 წლის 15 დეკემბერს. პროფესიით ქირურგი-ტრავმატოლოგია. ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება 1993 წლიდან. მის კალამს ეკუთვნის ლექსების ხუთი კრებული და ხუთი რომანი, ასევე არაერთი ლიტერატურული წერილი. გასპარას ალექსას ტექსტების მიხედვით ლიეტუვაში დადგმულია სპექტაკლები. მისი პოეზია და პროზა თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ, პოლონურ, ლატვიურ, უკრაინულ და ქართულ ენებზე; დაჯილდოებულია რამდენიმე ლიტერატურული პრემიით. ლიტერატურული კრიტიკა ამ ავტორს ხშირად ლიეტუველ ჯოისად მოიხსენიებს.

გასპარას ალექსა



ჩვილი

ბაზარში შევხვდით, ზედ ჭიშკართან —
იმ უჩვეულო პანაშვიდის გადამკიდენი
ძლივს ვიდექით დაღლილობისგან:
ზღვასაც გაყიდის ჯადოქარი! —
ძმებს ბაგეებზე შეყინვოდათ თითქოს ნათქვამი —
არაწრფელი და შიშნარევი:
დავიჯერებდით, მაგრამ თვალებმა —
ვით ღველფში მყოფმა
ნაპერწკლებმა მზის აღმოსვლამდე,

მირიადმა ცოცხალმა თვალმა გააპო ნისლი,
სქელი ღრუბლები,
რომლებიც ქარმა სიღრმეთაგან ზღვების მორეკა;
უცნობი ძალა დაეუფლათ შეყვარებულებს,
ერთი შეხედვით მთელ სამყაროს უძღვნან სიცოცხლე.

აჰ! შვილები ცრუმეტყველების!
ქალებს ჩაესმით, როგორ არხევენ აბრეშუმის წამწამებს
ჯერაც მუცლად მყოფი ანგელოზები;
ჩვენ გავიღვიძეთ ნანგრევებში
ძველი ქალაქის იმ მუსიკისგან, ბნელ ფრესკებში რომ მოჟონავდა,
ჯვრებმა დაგვაფრთხო, მათმა როკვამ სამრეკლოებში;
ლოთი ნიადაგ
თავის სახელს იმეორებდა სახრჩობელაზე,
კატა კი — ბრმა და ავადმყოფი — ფეხზე ეკვროდა.

სუბაჩიაუსზე ისე უკვალოდ ჩაიკარგა ნანგრევებს
შორის მაღალ ქუსლებზე მდგარი ქალი,
არც უფიქრია მობრუნება,
ქალი კი არა, ალი იყო თითქოს, ფრინველმა
ფრთა აიქნია, ნაგვის გროვას მოსწყდა და
იმწამს ნისკარტში ბეწვით
ყველა სარკმლიდან გამიფრინდა,
სხვა სამეფოსკენ გაიკაფა გზა და სავალი.

მიტოვებული ტაძრის უკან, ეზოს სიღრმეში,
წაფერდებული ურნის ფსკერზე, ვით ბაგა-ბაღში,
ციცქნა ხელებით ხის ფეხსაცმელს ჩაჭიდებული
უშფოთველად კვდებოდა ჩვილი.

რა ხშირად ვხედავ კაფანდარა მოხუცს,
ჩაჩოქილს ტაძრის ყოფილ საკურთხეველთან;
იკრიბებიან იქ შავტუხა სიძვის დიაცნი,
მშიერნი და ჭირდათმენილნი,
უსიტყვოდ დგანან მიმსჭვალულნი მზერით იატაკს,
და მათ პეშვებში ველური ბლის ცრემლებს მტრედები
ისე კენკავენ, როგორც ხსოვნას მშვიდი დღეების.

სენტიმენტალური

ალიონია წაბლის ტოტზე მჯდარი ბეღურით,
დამადე მხარზე მძიმე თავი,
როცა უსმენართ წარუძღვები ჯვარცმის ზეიმზე.

ყველაზე წმინდებს სულის ხმლები ჩამოურიგე,
დიდია მათი მრისხანება — მარჯვედ დაჰკრავენ!
ჩვენ თუ ვიქნებით მათთან ერთად მაშინ,
როდესაც გამარჯვების იმედს დავკარგავთ?

როგორ გნატრობენ ოქროსფერი მუხის ტევრები,
ვიდრე ბილიკით მორონინებ,
ცოდვათა შენთა ნამსხვრევებით სავსე ბილიკით...
რა ბედენაა გამართლება?
ქედმაღლობაში აღრეული მოთქმა-სლუკუნი

და ფიცი-მტკიცი, სუფთა ფანჯრებს რომ აეკვრება?
უმთავრესია ძმათა შორის იყო უმწიკვლო,
მთელი არსებით შეიყვარო გზასაცდენილნი,
მძიმე ტვირთია ჭეშმარიტად, სიმწრით სათრევი.

დაუნდობელი წკეპლით როზგავს ნაზ გულს სიმართლე,
დაცლილი ზეცა მიგამსჭვალავს შეძარცვულ ტოტებს
და უჩინარი ხელი ფარავს თვალთა ირისებს,

ვარდისფერ კვირტებს კიდებს იქვე, ვაშლის ხეებზე —
უჩემნებართვოდ იშლებიან ვაშლზე კვირტები,
მწველი მზის ქარვას შეჰხარიან, იღიმებიან...

სიზმარში ნანახ სიტყვებს ვარჩევ,
ძველი კიბის ხმა მახსოვს, ღამით რომ ჭრიალებდა,
როცა ოთახში შემიძეხი,
ტევა არ იყო ირგვლივ მკვდარი ხელნაწერების,

ახალ და უცხო სამყაროებს ხსნიდნენ ისინი —
შავით მოსილი ჭორიკნები, ასკილს რომ კრეფდნენ,
უძვლო ენებს ასარსალებდნენ,
დინდგელის ენებს,
რომლებიც უკვე შეაწებეს მუშა ფუტკრებმა
თოთო ბატკნების — საკუთარი დების — პეტელით,
სიმშვიდის დამღადადებულთა უღვთო ტკივილით.

დილის ზარის წკრიალ-წკრიალში
საკუთარ ნატვრას თუ წამოკრავს ფეხს ჩემი სული,
ვსეირნობ ბაღში და ცხოვრებას თუკი ვაგრძელებ —
მხოლოდ შენთვის, ვერსადნანახო,
მხოლოდ შენი სხივით დამთვრალი!

ძმებს

სოფლით გაღმა გაბიჯებულო, თხუნელას ბიძაშვილო,
თეთრო გველის წიწილავ, გადმოახტი ხელჯოხს,
პირდაპირ დავითის ფსალმუნში
ისკუპე შოთხვის ბუჩქიდან.

ბოჩოლას ყურსაკიდი, ნომერი, ნუმერაცია —
ქათქათებენ მეწამული ღრუბლები
ციცინათელებზე დაფენილი ფიფქივით,
მოწამლულ წყალზე დაფენილი ფიფქივით.

არა, ეგ ლუდის ქაფი როდია, წყალია შეფერილი!
მაჩვის წყვილი თვალი, იუდას ბატკნის კუდი
გელამუნება ლოყაზე.

გასწი, გაქანდი! — ჩხავის რომელიღაც ფრინველი
სოფლის ბოლოში მდგარ მოყვავილე მუხაზე,
ჩვენივე მოდგმისგან რომ გვტიხრავს.

ყველა ზღვარი წაშლილა,
მხოლოდ ბუჩქნარია ირგვლივ,
მხოლოდ კვრინჩხი და პირზე დუჟმომდგარი
ველური ძაღლები.

სოფლით გაღმა გაბიჯებულო, წამოდექი,
შუაღამით გაწვება
შენი ჩრდილი, მაგიდებზე
პირთამდე გადავსებული,
ობმოკიდებული ფიალები გელის.

ჟანგი შესდგომია ბოქლომებს და ხელჯოხს,
რომელშიც მამონა გადამალე!
საკუთარ ძმას გაუყარე გულში ეგ ხელჯოხი,
ყურშიც გაუყარე, თვალშიც!

ათგზის, როგორც დეკალოგი გიბრძანებს!
ათ-ათი ნაჩხვლეტი დააჩნიე გულზე,
ყურზეც დააჩნიე, თვალზეც!
ზეცა ირეკლება იუდას ყულფიდან,
ეზოპეს საფლავში ჩაყრილა

ოცდაათი ვერცხლი.

* * *

ყველა პირობა, ყველა ძღვენი ქიმერებისთვის
მუხლებზე მდგარნი მიმოზების ვაგზალს მივეშთოთ
ან არას ნიშნავს.

დედოფლისთითა გაიკვირტა,
დედოფლისთითა გაიხვითქა,
ხრავს ძელიცხოველს.

წყევლათა სუნთქვა უძრავი წყლის ზეწარს აღელვებს,
ქვადქცეული ყოფა ცოცხლდება,
ხვნეშის და ოხრავს, იატაკზე გართხმული ფრთხილად,
ფრთხილად ჩურჩულებს, იჩურჩულებს აღსასრულამდე:
დაბრუნდი!
აღსდექ!

ვენახის მწვანე ტოტი
ჩარგო ქარმა შავ ხნულში.

უკვე მოისმის — რძე მოწვეთავს და წყლად იქცევა —
თვით ცრემლებზეც უიაფესი.

ზამთრის ღვთის ნებით
კოკისპირული წვიმისფერი პერანგით დგახარ
და თეთრ მინდორზე ღიმილმფენი სიკვდილს ამოწმებ.

თუკი აღსდგება, მხოლოდ ფიჩხის ცეცხლი გორაკზე —
ლაზარეს წმინდა ლოცვასავით,
როცა მოიწევს შენკენ ფეხებშესიებული,
სისხლმდინარე ტერფებს მოათრევს
ქვის გულებით მორთულ ბილიკზე.

ორი ბატონის სამსახურში ვერვინ ჩადგება!
შენც იმეორებ?
იმეორე და დაიხსომე!

ო, ეს ღამეც რარიგ ძველია...

ვიოლეტას

მარად ცოცხალი ობობები
აფერადებენ თვალთა მიმქრალ რქოვანებს
მახვილფუნჯიანი ფეხებით.

მხოლოდ ზეპურთა ხვედრია მწვერვალები,
მხოლოდ იმათი,
ვინც გარდაცვლილ ღმერთზე ბურტყუნებს,
ჩანასახების მსანსლავ მამონაზე.

საკუთარი ენები გადაგცდებათ,
სეტყვით გასიებული,
მოდიფიცირებული მუხის
მოგიზგიზე ნახშირით დამწვარი.

ღამ-ღამობით უძირო ტბის შროშანებში
ვმალავ საკუთარ სიბრაზეს,
მოწამლული მდინარის კალაპოტს ვანდობ,
სადაც თევზები მოთქვამენ და კოთხუჯი მღერის.

ჯოჯოხეთის თოკებით მიმაბი
ოცნებებში მარადმწვანე ხის ჯვარს —
ვწრიალებ ურჩხულის მოყვასივით.

ყოველ დილით ცხრა მახვილი დაგატყდება
გულის აქაფებულ ნაპრალებში
და მზის ნამსხვრევებს ანიავებს ქარი.

არასდროს მოვალ გამარჯვებით ამიერიდან.

თარგმნა რობერტ მესხმა



მაიკლ ბედარდი

ემილი

ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს ერთი ქალი, რომელსაც მითს ეძახიან. ქუჩის გასწვრივ, ყვითელ სახლში, თავის დასთან ერთად. მისი ოთახი ზედა სართულზე, მარცხნივ, ქუჩის მხარესაა. როცა ჩაივლი, თუ ფეხის წვერებზე შედგები, დაინახავ, სარკმლიდან როგორ დაჰყურებს მაღალ ღობეს.

ოცი წელია, სახლიდან არ გამოსულა. თუ ვინმე უცხო ეწვევა, უმალ გარბის და იმალება. ზოგი ამბობს, რომ შეშლილია.

მაგრამ ჩემთვის ის ემილია...

სახლში ახლად გადმოსულები ვიყავით, როდესაც კარის ჭრილში წერილი შემოცურდა. გავიგონე, როგორ გაიშრიალა და მის ასაღებად გავიქეცი. კარის ვიწრო ფანჯარაში მალულად გავიხედე. იქ არავინ მოჩანდა, გარდა თეთრად შემოსილი ზამთრისა.

დედა დარბაზში ვარჯიშობდა პიანინოზე, როდესაც წერილი შევიტანე. წერილი რომ გახსნა, კლავიშზე დაეცა ყვავილის პატარა ღერები. ისინი ავკრიფე. ყვავილები მჭკნარი იყო.

„ძვირფასო მეზობელო“ — წაიკითხა მან — „მეც ისე ვგრძნობ თავს, როგორც ეს ყვავილები. გამომაცოცხლეთ თქვენი მუსიკით. ჩემთვის ეს გაზაფხული იქნება.“

„წერილი ვისგან არის?“ — ვიკითხე

„არავისგან, ძვირფასო“, — თქვა — „ახლა გაიქეცი და ითამაშე. თუ ეს ყვავილები მოგწონს, შეგიძლია, თან წაიღო.“

და წერილი განზე გადადო.

ზედა სართულზე ყვავილები ჩემს ფანჯრის რაფაზე დავაწყვე ძველი სახლიდან მოტანილი შროშნის ბოლქვების გვერდით. მთელი ზამთარი ისინი ცივ და ბნელ საკუჭნაოში გვქონდა შენახული. მაგრამ მამამ თქვა, რომ მალე დავრგავდით და ეს ჩვენს სახლს უფრო შინაურს გახდიდა.

ქვემოთ კი, ბაღს თოვლის ქვეშ ეძინა. გზის გასწვრივ ნაკვალევი შევნიშნე, რომელიც ჩვენს სახლამდე მოდიოდა და ისევ უკან ბრუნდებოდა, ყვითელ სახლთან.

იმ ღამეს კიბის თავზე, ჩრდილში ვიჯექი. სასტუმრო ოთახის კარიდან ჭიქების წკარუნი ისმოდა. ხმები სიბნელეში ნელი ტივტივით ადიოდნენ მაღლა.

„შენ წერილი მითისაგან მიიღე?“ — იკითხა მამამ.

„ჰო, ის დღეს მივიღე, რამდენიმე დამჭკნარ ყვავილთან ერთად. უნდა, რომ მისთვის დავუკრა.“

„და წახვალ? ეს უბრალო მთხოვნელი არ არის, გესმის?“

„კეთილი, ძნელია, ამან არ დაგაინტერესოს. მაგრამ მაინც...“

როდესაც ფეხაკრეფით ჩემს ოთახში ვბრუნდებოდი, კიბემ გაიჭრიალა. საწოლზე ჩამოვჯექი და ქუჩას გავხედე. ოთახში სინათლე კაშკაშებდა. ჩრდილში ლანდი მოძრაობდა. ის ხანდახან ზის და მე მითვალთვალებს?

მამა შემოვიდა, რომ ჩემთვის საბანი შემოეკეცა.

„კიბეზე თაგუნიას ხმა მომესმა?“ — თქვა მან. — „მანდ რა გაქვს?“

ყვავილების პატარა კონა ვუჩვენე. ისინი ვიღაცამ მიმოყარა ლოგინზე.

„მაშ, ეს წერილთან ერთად იყო გამოგზავნილი? მაჩიტელები. რა ლამაზებია. მაგრამ ძალიან ნაზებია, ჩემო ძვირფასო.“

ყვავილები ფრთხილად დადო ფანჯრის რაფაზე და იდგა და გაჰყურებდა ქუჩას.

„რატომ არასოდეს არ გამოდის გარეთ?“ — ვკითხე.

„არ ვიცი, ჩემო ძვირფასო. ხალხი ათასგვარ რამეს ამბობს მასზე, მაგრამ სინამდვილეში არავინ არაფერი იცის.“

„მიმღერე ძილისპირული.“ — ვთქვი.

საწოლთან ჩაიჩოქა და წაიმღერა. სიტყვები ყვავილების ფანტელებივით მოეფინა ლოგინს. ყურს ვუგდებდი მათ ვარდნას და ჩამეძინა.

მეორე დღეს სახლს მუსიკა ავსებდა. მამასთან ერთად ვიყავი ორანჟერეაში და ყვავილებს ვრწყავდით. სახეზე მზე თბილად დამნათოდა.

ვიკითხე — „როგორ გამოიყურება ქალბატონი ყვითელი სახლიდან?“

„არ ვიცი, ჩემო ძვირფასო. ბევრს არ უნახავს პირისპირ. ამბობენ, რომ ტანმორჩილი ქალია და ყოველთვის თეთრებშია გამოწყობილი.“

ჩვენ ერთი ქოთნიდან მეორეზე გადავდიოდით. სვლის დროს მამა ყვავილებს მჭკნარ ფოთლებს აცლიდა.

„როგორ ფიქრობ, მარტოსულია?“

„ვფიქრობ, ზოგჯერ ასეა. ხანდახან ჩვენც მარტოსულები ვართ. მაგრამ მას და ჰყავს, რომელთანაც შეუძლია ურთიერთობა, და ჩვენს მსგავსად, მასაც აქვს ყვავილები და იმასაც ამბობენ, რომ პოეზიას ქმნის.“

„რა არის პოეზია?“ — ვიკითხე.

მან მჭკნარი ფურცლები მუჭში მოიქცია. „უსმინე, როცა დედა უკრავს. ის ვარჯიშობს და ვარჯიშობს მუსიკალურ ნაწარმოებზე, ხანდახან ხდება ჯადოსნობა და გეგონება, რომ მუსიკა სუნთქავს. შენში ჟრჟოლას იწვევს. სინამდვილეში, ამის ახსნა შეუძლებელია; ეს იდუმალებაა. და როცა ასე მოქმედებენ სიტყვები, ჩვენ მას პოეზიას ვეძახით.“

მზის ჩასვლამ ყვითელი სახლის ფანჯრები ოქროსფრად შეაფერადა. მალე ღამე დადგება. შროშნის ბოლქვები ფანჯრის რაფაზე დავაწყვე. ისინი ისე უფერული და მიმჭკნარი მოსჩანდნენ, როგორც მაჩიტელები, წერილს რომ მოჰყვა.

მამა ამბობს, რომ მათში ფარული სიცოცხლეა და თუ ჩვენ გაზაფხულზე ჩავრგავთ მიწაში, მზე და წვიმა გაახარებს.

ქვედა სართულზე დედა უკრავდა. ხვალ ის ყვითელ სახლს ეწვევა. ვთხოვე და დამთანხმდა, რომ წამიყვანდა. ამან, ცოტა არ იყოს, შიში მომგვარა.

ალბათ, ყვითელი სახლის ქალბატონსაც ეშინია — ვფიქრობდი მე. ამიტომაც არის, რომ იმალება. ამიტომაც გარბის, როცა უცნობი ხალხი ეწვევა ხოლმე. მაგრამ რატომ — ამას ვერ ახსნი. შეიძლება, ხანდახან თავად ხალხია იდუმალი.

მეორე დილით, ბაღში თოვლმა იწყო დნობა. ჩიტი მეჟოლია დასკუპდა შემორჩენილ ბალახზე. ეს გაზაფხულის ნიშანი იყო. ქუჩის გასწვრივ, მესერზე თოვლი ჩამოდნა. ზედა ოთახის ფანჯარაში ჩრდილი ამოიზარდა. ფანჯრის რაფაზე დავინახე ნაჩუქარი მაჩიტელები. რა საჩუქარი შემეძლო მიმეტანა ყვითელ სახლში?

დედას თავისი ახალი აბრეშუმის კაბა ეცვა, ის კაბა, რომელიც სიარულის დროს შრიალებდა. ჩემი კაბა თეთრი იყო, როგორც გამქრალი თოვლი. ჯიბეები გამოტენილი იმ რაღაცით, რაც მივიტანე. მამა იდგა და კარებიდან თვალს გვადევნებდა.

ხის სავალზე ჩვენი ფეხების ბაკუნი ისმოდა. ქუჩა სავსე იყო ტალახითა და გუბეებით, რომლებშიც ცა მალულად იჭყიტებოდა.

ღობის იქით გამოჩნდა ყვითელი სახლი და ჩვენც მივუახლოვდით მას.

„მობრძანდით“ — თქვა ქალმა, რომელმაც კარი გაგვიღო — „ოჰ, პატარა სტუმარიც გვყავს. ემილის ესიამოვნება.“

ცარიელ ჰოლში გაგვიძღვა, გავიარეთ კარი, კიბეების ხვეული და შევედით დარბაზის უკანა მხარეს.

ფარდები ჩამოშვებული იყო. ოთახი ცივი და ჩაბნელებული. პიანინო კედელთან იყო მიდგმული. მაგიდაზე, ქოთანში სუმბული ყვაოდა. ოთახში მეწამული სუნი ტრიალებდა. შევბრუნდი და დავინახე, თეთრებში გამოწყობილი არსება როგორ ადიოდა კიბეებზე.

„გთხოვთ, თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში.“ — თქვა ქალმა. „თქვენგან დიდი სიკეთე იყო, რომ მობრძანდით. ჩემი და შეუძლოდ გრძნობს თავს და შიშობს, რომ ვერ შემოგიერთდებათ. მაგრამ თქვენს დაკვრას მოუსმენს.“ სკამთან მიმიყვანა და დატოვა ოთახი.

დედა დაჯდა როიალის ტაბურეტზე. როცა დაკვრა დაიწყო, მისი თითები თრთოდნენ; ჩაბნელებულ ოთახში მუსიკის ხმა ჰაერში ტივტივებდა. თავისდაუნებურად, ხელები ჯიბეში ჩავიყავი და იქ ჩავმალე.

როცა დედა შეჩერდა, ჩემკენ შემოტრიალდა. ტაშის ხმა ჩამოუყვა კიბეებს და მერე პატარა გოგოსავით წყნარი ხმა გაისმა.

„ძვირფასო მეგობარო, მეჟოლიას სიმღერას აჯობე. კიდევ დაუკარი. მე უკვე ვგრძნობ გაზაფხულს.“

ახლა, როცა მუსიკის ხმა გაისმა, ჩუმად გამოვიპარე ოთახიდან. ფეხისწვერებზე ავიარე კიბე. ჩემი პატარა გული ჩიტის გულივით ფრთხიალებდა. ნელა ავუყევი კიბეს და მოსახვევში გავჩერდი.

იქ იჯდა თავიდან ბოლომდე თეთრებში შემოსილი ქალი. პირველად ვერ შემამჩნია. ის პაწაწინა სკამზე იჯდა. მის კალთაში ფურცელზე გაიელვა ფანქრის ნალევმა. მერე ამოიხედა.

„შენ პატარა ეშმაკუნა, შენ.“ — თქვა — „მოდი აქ.“ მის გვერდით დავდექი. ორივეს თოვლივით თეთრი კაბა გვეცვა. მის კალთაზე ფურცელს დავხედე.

„ეს პოეზიაა?“ — ვკითხე.

„არა, შენ ხარ პოეზია. ეს მხოლოდ ცდილობს, რომ იყოს.“ — მისი ხმა მსუბუქი და მყიფე იყო, როგორც მაჩიტელები ფანჯრის რაფაზე.

„მე თქვენ გაზაფხულის მსგავსი რამ მოგიტანეთ.“ — ვთქვი. ჯიბეებიდან ამოვიღე შროშნის ორი ბოლქვი და კალთაში ჩავუდე — „თუ მათ ჩარგავ, შროშნებად გადაიქცევიან.“

„რა მშვენიერია,“ — თქვა — „მაგრამ სინამდვილეში მეც რაღაც უნდა მოგცე.“ მისი ფანქარი ისე სწრაფად ამოძრავდა ფურცელზე, როგორც დედაჩემის თითები კლავიშებზე. მან დაკეცა და გადმომცა.

„ინებე“ — თქვა. „და ისე შეინახე, როგორც მე შევინახავ შენს საჩუქარს. ალბათ, დროთა განმავლობაში, ისინი ორივენი აყვავდებიან.“

მე ვიჯექი დარბაზში, სანამ მუსიკა ჟღერდა, მაგრამ ახლა მის სუნთქვას ვგრძნობდი. ხელით ისევ მოვსინჯე ჯიბე. ვფიქრობდი, ორანჟერეის იატაკზე მოთამაშე მზის შუქზე, მამაჩემზე, რომელიც ფოთლებს წყვეტდა და პოეზიაზე.

როცა დედამ დაკვრა დაასრულა, შემოტრიალდა და გამიღიმა. დარბაზში შემოვიდა ქალი ვერცხლის ლანგრით. მასზე იდო ხერესით სავსე ჭიქა და თაფლაკვერი.

„რა ლამაზად უკრავთ,“ — თქვა — „დიდად მადლიერნი ვართ, რომ მოსვლა შეძელით.“

ის ჩვენთან ერთად იჯდა, სანამ დედა ხერესს სვამდა და მე თაფლაკვერს შევექცეოდი. მერე წასვლის დროც დადგა. ჭიქაში ჩარჩენილი ხერესი ემილის თვალების ფერი იყო.

მალე გაზაფხულიც დადგა. ერთ დღეს მამა დამეხმარა ჩემი ოთახის ქვეშ შროშნის ბოლქვების დარგვაში.

„დარწმუნებული ვიყავი, რომ უფრო მეტი ბოლქვი იყო,“ — თქვა.

ვფიქრობდი ემილიზე, რომელიც თავის ბაღში, ღობის იქით, მიწაში ჩემს საჩუქარს ფლავდა.

მალე მზე და წვიმა ხელს შეუწყობს მათ ამოზრდაში. ფოთლები ამოიჭრება მიწიდან, და მერე შროშნები თეთრად გაიფურჩქნებიან. ესეც იდუმალებაა.

რამდენი, რამდენი რამ არის იდუმალება.

ვინც ვერ იპოვა ზეცა — მიწაზე,
მას ის ვერც ზემოთ ვერ დაინახავს.
რადგან ჩვენს ახალ საცხოვრის ახლოს
ანგელოზები დასახლდნენ ახლა.
სიყვარულით, ემილი.

თარგმნა მედეა ზაალიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2019 წლის ოქტომბერში მინსკში დაიბეჭდა ბელარუსის სახალხო პოეტ იანკა კუპალას (1882-1942) სონეტების კრებული 16 ენაზე. ეს სონეტები საბჭოთა ეპოქაში ანტირუსული პათოსის გამო არ გამოცემულა. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.



იანკა კუპალა

ბელარუსი

კაცი რომ მოჩანს, ზმანების მსგავსი,
მხრით რომ ატარებს ღარიბულ აბგას,
ჭაღარა თავზე ჩამოცმულ ფლასით
გზაზე დაგრეხილ ფეხებს რომ ადგამს,

სახე ხნულივით რომ დაჰღარვია,
გასწყალებია მზერა და თვალი,
მკერდი სუნთქვისგან რომ გადაჰღლია,
ვით მწარე ბედის ცოდვა და ბრალი,

ბელარუსს ასე ტანჯულს და სათუთს,
ბელარუსს ასე ჩაგვრაში ჩანთქმულს,
წელმოწყვეტილს და უბედურს ვხედავ...

კავსა და ნაჯახს თვლის ყოფნის მიზნად,
ქოხმახთა შორის ქცეული ხიზნად
თავის სამარეს სად ჰპოვებს ნეტავ?

* * *

განვლილზე ფიქრით აწვალოთ სული
რად გიღირთ, როცა დაკარგულია
ძველი დიდება?.. გაკრთა წარსული
და წამმა შთანთქა იგი სრულიად.

თქვენი მიზანი თუ ვერ სდევს სურვილს
და თუ ვერ სცდება უკუნ სადგურებს,
თქვენს გულში ეჭვი მოიკლავს წყურვილს
და ყველა იმედს გაანადგურებს.

სჯობს, დაეხსენით სევდას და ნაღველს,
კვნესას გულისას ნუ უსმენთ, დამღლელს,
გიყვარდეთ, სულს რაც ოცნებად ერთვის.

ხალასად ენდეთ დღევანდელ ნებას,
მშვიდად მიჰყევით გზად რუდუნებას
და იგი შექმნის მომავალს თქვენთვის.

* * *

დროა, მაცდური ჩავკლათ ოცნება
და თმენით ვდიოთ ფიქრებს, ეულებს,
დუმილის მადლიც მაშინ მოსწვდება
ჩვენს სურვილთა და სულის ხვეულებს.

ვინც მაცდურ კითხვებს გაგვიასმაგებს,
ჩვენ მათში უნდა შევიცნოთ მტერი.
მომავალს ჩვენი ხოტბა რას არგებს,
დღეის დიდება ხვალ არის მტვერი.

თუმცა, რარიგად გვხიბლავს ოცნება,
რა ვქნათ, თუ გული ხშირად მოცდება,
რომ ფიქრში ყოფა გაგვილამაზოს?

ჩვენ ხომ ასეთი ხვედრი გვეღირსა,
ვატაროთ გესლი ბედისწერისა,
რასაც ის მუდამ უხვად გვთავაზობს!

სამკალი

ვხედავ, ჯეჯილი უკვე დაპურდა,
ტყეც აკრავს ირგვლივ ყანის ნაპირებს...
ეს ხმა კი სწვდება კვნესით ჩემს ყურს და
ჩივის: „ჯერ მომკას არვინ აპირებს?!“

და ჰა, გამოჩნდნენ, მარჯვნივ თუ მარცხნივ,
მომკელნი, ძნებად რომ კრავენ სამკალს...
ისმის სიმღერა ქალის თუ კაცის
და დანასავით ხმარობენ ნამგალს.

მათს სიმღერაშიც მოჩანს ის სევდა,
მარადი კითხვით კვალში რომ გვდევდა —
ვიხილავთ იმ თვეს, იმ დღეს, იმ კვირას,

ბედნიერებას შევიცნობთ ოდეს?
მე კი ეს ეჭვი კვალდაკვალ მომდევს:
„რომ ვთესავ, ნეტავ მისგან ვიმკი რას?!“

მთელ მსოფლიოში

მთელ მსოფლიოში სიცოცხლის ძალას
თავისუფლება, სიკეთე ერთვის
და გზა, რომელსაც იმედი კვალავს,
ყველას ჰპირდება უკეთეს მერმისს.

მთელ მსოფლიოში საღ აზრთა ნათელს
მოუშთავს ქვეყნის საქმენი ბნელი,
იქ არ ტირიან და ქვეყნის მმართველს
არ მიუწვდება ავისკენ ხელი.

მთელ მსოფლიოში რეკენ ზარები,
ხალხმა ხუნდები შესაზარები
ძირს დაანარცხა და ილტვის მზისკენ.

მთელ მსოფლიოში მართლისმჩენია
საქმე, რაც უფალს გაუჩენია.
ჩვენ კი... ბორკილთა წკარუნსღა ვისმენთ.

შენ, წინაპართა მიწავ...

შენ, წინაპართა მიწავ, გჯეროდეს,
არ დავინანებ არაფერს შენთვის...
თქვენს საფლავებთან ვიბრძვი მე ოდეს,
თავისუფლება სულს მაშინ ერთვის.

ბედნიერი ვარ, როს ჩემი სული
შენ მზის სხივებს და ვარსკვლავებს გმატებს,
როდესაც, თუნდაც წამიერ, სრული
სიკეთე შენში თავის მადლს ატევს.

მზად ვარ, ბრძოლაში თავი გავწირო
და ყველა ცოდვა გავინაწილო,
მზად ვარ, ვეკვეთო უკეთურს ათასს,

გავუძლო დარდს და განსაცდელს ერთად,
ოღონდ ამას გთხოვ — მამყოფე შენთან
და არ მომწყვიტო მშობლიურ კალთას.

ფუტკრები

ჩემს ბაღს მწკრივებად არტყია სკები
და მე ზუზუნი მესმის ისე, ვით
ღვთით კურთხეული ზაფხულის ხმები,
ტყე-ველზე ფუტკრის გუნდად მისევით.

სკებს დავკანკალებ შემოდგომობით,
საკუთარ ოჯახს ვუვლიდე თითქოს,
ზამთარშიც ვშრომობ, როგორც ვშრომობდი
მთელ წელს და ფუტკრებს არ ვაკლებ სითბოს.

როდესაც ვტკბები ნანატრი ჟამით,
როცა ფუტკარი დღითა და ღამით
აგროვებს ნექტარს და ამ ფორიაქს

უნდა მოსდევდეს ავსება ფიჭის,
ეს მთელი თაფლი (მე თქმაც კი მიჭირს)
მთლად ჩემს ახლობელ მეზობელს მიაქვს.

ჩვენი მამული

ოდითგან ვუვლით ჩვენს მამულს ასე:
ხან ვხნავთ და ვთესავთ, ხან ვწყემსავთ ნახირს...
გაზაფხული გვაქვს იმედით სავსე,
ზამთარშიც მოჩანს იმედი ახლის.

ხან რუსის ცარს, ხან პოლონელ პანებს
ვემსახურებით ხმლითა და ფარით
და რით გვიხდიან მადლობას რამეს? —
მხოლოდ საფლავზე დადგმული ჯვარით.

ამაოდ ვეძებთ ჩვენ შინ თუ გარეთ,
ცხოვრების ნაყოფს... ამაოდ ვღვარეთ
ოფლი და ველით ვინ როდის მოგვსპობს...

როდემდე უნდა ვიგლოვოთ ბედი
ანდა როდემდე ვუხაროთ ქედი
პანის ვარშავას და ცარის მოსკოვს?!

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004